

მარიამ ჩხარტიშვილი

ისტორიული მეცნიერების შესავალი

სალექციო კურსის კონსპექტური გამოცემა

თბილისი
2009

ისტორია არის არა მარტო გმირული წარსულის ფაქტების ხსოვნა, არამედ სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც გარდასული სინამდვილის რეპრეზენტაციას ახდენს რაციონალური შემეცნების გზით და სპეციფიკური დისკურსის მეშვეობით.

რა განასხვავებს ისტორიას ადამიანთმცოდნეობის სხვა დარგებისაგან (და, საზოგადოდ, ყველა სხვა მეცნიერებისაგან) და რა სახის ცოდნისა და უნარ-ჩვევებისა ჩამოყალიბებაა საჭირო იმისათვის, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი გახდეთ?

ეს წიგნი ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს. იგი შეიცავს ინფორმაციას ისტორიის საგანზე და კვლევის ობიექტებზე ანუ წყაროებზე, ძველ დროსა და შუა საუკუნეებში ისტორიული მახსოვრობის ფიქსირების ფორმებზე და ისტორიის პროფესიონალიზაციის ანუ ისტორიის მეცნიერებად გადაქცევის ისტორიაზე; ისტორიული შემეცნების თავისებურებებზე, მეთოდოლოგიებსა და იმ კონკრეტულ მეთოდებზე, რომლებსაც იყენებენ წარსულის რეკონსტრუქციისათვის; ძირითად ისტორიოგრაფიულ ცნებებზე და ტერმინებზე, რომელთა მეშვეობითაც მოქმედებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის.

© მარიამ ჩხარტიშვილი, 2009

უნივერსალი

შინაარსი

წინათქმა	5
თავი I ისტორიული მეცნიერების კვლევის ობიექტი და საგანი	10
თავი II ისტორიული წარსულის ფიქსირების ფორმები ძველ დროსა და შუა საუკუნეებში	21
თავი III ისტორიის პროფესიონალიზაციის ისტორია	30
თავი IV ისტორიოგრაფიის ძირითადი საზოგადოებრივი ფუნქცია და მისი გავლენა ისტორიულ ნარატივზე	53
თავი V მარქსიზმი და ისტორია	64
თავი VI გენდერი და ისტორია	72
თავი VII ისტორიის სწავლება და ბოლონიის პროცესი	77
თავი VIII ისტორიული წყარო	82
თავი IX ისტორიული შემეცნების წყაროთმცოდნეობითი ეტაპი და მისი როლი ისტორიული სურათის რეკონსტრუქციაში	88

თავი X

სპეციალური და “დამხმარე”
ისტორიული დისციპლინები

96

თავი XI

ისტორიული ფაქტი

104

თავი XII

ისტორიული კვლევის მეთოდები და ტექნიკა

111

ლიტერატურა

118

დამატება

მ. ჩხარტიშვილი. გენდერის კატეგორიის პერცეფცია
V საუკუნის ქართულ საზოგადოებაში
“წმ. შუმანიკის მარტვილობის” მიხედვით

124

წინათქმა

ისტორია ცოდნის სრულიად უნიკალური სფეროა. იგი უძველესი დროიდან დღემდე იზიდავს ადამიანთა გონებას და მიუხედავად იმისა, რომ მას მატერიალური დოვლათის შექმნის თვალსაზრისით გამოყენება არა აქვს, მისდამი საზოგადოების ინტერესი ყოველთვის ძალიან დიდი იყო. საქმე ისაა, რომ ადამიანთა ერთობებს (ეთნოსებს, ერებს) ისტორიის გარეშე არსებობა უბრალოდ არ შეუძლიათ, ისევე, როგორც არ შეიძლება იყოს პიროვნება საკუთარი ბიოგრაფიის ხსოვნის გარეშე. ისტორიულ შემეცნებას მართლაც ახლავს განუმეორებელი ხიბლი. ისტორია საშუალებას იძლევა გონების თვალით მოვიხილოთ ყველა ეპოქა, რამდენადაც ისტორიული შემეცნებისათვის არ არსებობს ქრონოლოგიური ბარიერები. მსოფლიო ისტორიის გაცნობა – ეს თავისებური მოგზაურობაა დროში, ესაა წარმოსახვითი შეხვედრები წარსულში მცხოვრებ ადამიანებთან.

სხვადასხვა ხალხის ისტორიის შესწავლა თავისთავად ძალიან ღრმა შემეცნებითი პროცესია, ისტორია პიროვნების საერთო კულტურის ნაწილია და ბევრი დაინტერესებული ადამიანი ამას თავისთავად აკეთებს. მაგრამ იმისათვის, რომ ამ დარგის ნამდვილი სპეციალისტი გახდეთ (და არა უბრალოდ ისტორიის მოყვარული ან სიძველეთმოყვარული), საკმარისი არაა მხოლოდ სხვისი დაწერილი გახსოვდეთ. აუცილებელია თქვენ თავად შეგეძლოთ ინფორმაციის მოპოვება ისტორიული წყაროებიდან და ამაზე დაყრდნობით ისტორიული ფაქტების აღდგენა.

სპეციალობის არჩევისას თქვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნათლად და მკაფიოდ გქონდეთ წარმოდგენილი რა განასხვავებს ისტორიას ადამიანთმცოდნეობის სხვა დარგებისაგან (და, საზოგადოდ, ყველა სხვა მეცნიერებისაგან) და რა სახის ცოდნისა და უნარ-ჩვევებისა ჩამოყალიბებაა საჭირო იმისათვის, რომ ისტორიის დარგის პროფესიონალად ჩამოყალიბდეთ. ეს წიგნი სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ. კერძოდ, თქვენ წარმოდგენა შეგექმნებათ ისტორიის საგანზე, ისტორიული მეცნიერების ისტორიაზე, ისტორიული

შემეცნების თავისებურებებზე, მეთოდოლოგიებსა და იმ მეთოდებზე, რომლებსაც იყენებენ წარსულის რეკონსტრუქციისათვის; იმ ძირითად ცნებებზე და ტერმინებზე, რომლითაც ოპერირებს დღეს ისტორიული მეცნიერება მსოფლიოში.

უკვე სამი წელია ვკითხულობ კურსს “ისტორიული მეცნიერების შესავალი” ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არჩევითი კურსი, რომელიც სავალდებულოა მათთვის, ვინც თავის ძირითად სპეციალობად ისტორია აირჩია. ამ სამი წლის განმავლობაში ჩემთვის ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენდა სტუდენტების მომარაგება ლიტერატურით. ცხადია, არა იმიტომ რომ სათანადო სახელმძღვანელოები არ არსებობს. უახლესი მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები მრავლად არის და ხშირად მათი ელექტრონული ვერსიები ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომიცაა, მაგრამ ისინი უცხო ენაზეა. ეს გადაულახავ დაბრკოლებას ქმნის სტუდენტების დიდი უმრავლესობისათვის, რადგან შესავალ კურსს, როგორც წესი, თავიანთ სასწავლო პროგრამაში რთავენ პირველი სემესტრის სწავლების სტუდენტები, რომელთაც ლიტერატურის გამოყენება არამშობლიურ ენაზე ჯერ კიდევ არ შეუძლიათ.

საგულისხმოა, რომ უცხო ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოებით სარგებლობისას დაბრკოლება მარტო ენა არ არის. ეს წიგნები უკვე თარგმნილიც რომ იყოს ქართულად, მაინც ძნელად გამოსაყენებელი იქნებოდა ჩვენი სტუდენტებისათვის. საქმე ისაა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოები დაწერილია კონკრეტული ქვეყნის და, მეტიც, კონკრეტული სასწავლო დაწესებულების ტრადიციების გათვალისწინებით, ისტორიის სფეროში სტუდენტთა მომზადების ადგილობრივი დონის შესაბამისად. ამიტომ მათი სიტყვასიტყვითი თარგმანები კიდევაც რომ ხელთ გვქონდეს, ნაკლებად გამოსადევი იქნებოდა ქართული სინამდვილისათვის, კერძოდ, კი ი. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, სადაც მე ეს კურსი მიმყავს.

აღნიშნულმა პრაქტიკულმა საჭიროებამ გადაამწყვეტინა ამ კურსის ფარგლებში ჩემ მიერ წაკითხული ლექციების ერთი

ნაწილისათვის თავი მომეყარა და მათი შემოკლებული ვარიანტები წიგნის სახით გამოქვეყნებინა.

“ისტორიული მეცნიერების შესავალი” არის თეორიული დისკურსის შემცველი კურსი. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, თეორია განსაკუთრებით უჭირთ იმ სტუდენტებს, ვისაც ისტორიისადმი აქვს ინტერესი ან ვინც თავის სპეციალობად ისტორია აირჩია. ეს იმით იხსნება, რომ, ჩვეულებრივ, ესენი არიან მხარეთმცოდნეობით გატაცებულები სიძველეთმცოდნეობის ახალგაზრდები, რომლებსაც ისტორია მხოლოდ ემპირიული ცოდნის დაგროვების სფეროდ წარმოუდგენიათ და ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენენ, როცა ისტორიის შესწავლისას საკითხების თეორეტიზების პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. ჩემს სტუდენტებზე დაკვირვებაც ამ შეხედულებას ადასტურებს. მათმა უმრავლესობამ უკვე სწავლების პირველ სემესტრში კარგად იცის ეროვნული თუ მსოფლიო ისტორიის უმთავრესი ფაქტები, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ისტორიული მეცნიერების ისტორიაზე და ისტორიული კვლევის მეთოდებზე.

წინამდებარე პუბლიკაცია ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად. იგი სტუდენტებს მიაწოდებს მოკლე წინასწარ ინფორმაციას. ეს მათ დაეხმარებათ როგორც ლექციების ადექვატურად გაგებაში, ისე სათანადო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავებაში. ანუ ამ წიგნს აქვს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქცია მათთვის, ვინც გადაწყვიტა გაიგოს, თუ რას წარმოადგენს ისტორია, როგორც დისციპლინა. ამ კურსის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ისაა, რომ სტუდენტმა გააცნობიეროს: ისტორია არის არა მარტო გმირული წარსულის ფაქტების ხსოვნა, არამედ მეცნიერება, რომელიც გარდასული სინამდვილის რეპრეზენტაციას ახდენს რაციონალური შემეცნების გზით და სპეციფიკური დისკურსის მეშვეობით.

წიგნი იყოფა თორმეტ თავად. პირველ თავში მოცემულია ისტორიის საგნის დეფინიცია, განსაზღვრულია ისტორიის ადგილი სოციოლოგიასთან მიმართებაში. მომდევნო, მეორე თავი წარმოადგენს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ძირითად თავისებურებებს. მესამე თავი შეეხება

ისტორიოგრაფიის განვითარების ძირითად ხაზს ახალ და უახლეს დროში და წარმოადგენს ისტორიის მეცნიერებად გადაქცევის ისტორიას. მეოთხე თავში განმარტებულია ისტორიის საზოგადოებრივი ფუნქცია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყველაზე მეტად საზოგადოებრივი ფუნქციაა ისტორიის სპეციფიკის მაჩვენებელი სხვა დისციპლინებთან შედარებით. მომდევნო მეხუთე და მეექვსე თავები შეეხება ისტორიაში სოციალური მოძრაობების შედეგად ჩამოყალიბებულ ისტორიოგრაფიულ მიდგომებს: ესაა პროლეტარულ კლასობრივ მოძრაობასთან დაკავშირებული მარქსიზმი და ფემინისტურ მოძრაობასთან დაკავშირებული გენდერული მიდგომა ისტორიისადმი. რადგანაც ისტორიის სწავლება და ისტორიის თეორეტიზება მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, მეშვიდე თავი ეძღვნება თანამედროვე ეტაპზე ისტორიის სწავლებას და ისტორიკოსის პროფესიის გააზრებას ბოლონის პროცესის ჩარჩოებში. მომდევნო, მერვე თავში ისტორიული შემეცნების უმთავრესი საშუალება – ისტორიულ წყაროა განხილული და წყაროთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციისთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემებიც არის განმარტებული. მეცხრე თავში ყველაზე მეტად ინფორმატულ ისტორიულ წყაროთა ტიპის – წერილობითი წყაროების – ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ, ნარატიული წყაროების, მაგალითზე ისტორიული კვლევის საწყისი ანუ წყაროთმცოდნეობითი ეტაპია დახასიათებული. მეათე თავში თავმოყრილია ინფორმაცია იმ დისციპლინებზე, რომელთა მონაცემებს ეფუძნება ხოლმე წყაროთმცოდნეობითი სინთეზის შედეგად მიღებული დასკვნები. მეთერთმეტე თავი შეეხება ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ყველაზე რთულ, ამავე დროს კარდინალურ, კატეგორიას – ისტორიულ ფაქტს. დასკვნით ანუ მეთორმეტე თავში საუბარია ისტორიული კვლევის მეთოდებზე, მათ შორის, რაოდენობრივ მეთოდებზე, და ისტორიული კვლევის ტექნიკის თავისებურებებზე. ბოლოს წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

წიგნის ძირითად ნაწილს დამატების სახით ერთვის ჩემი ერთი სამეცნიერო სტატია, რომელიც ეფუძნება ყველა სტუდენტისათვის კარგად ნაცნობ წყაროს “წმ. შუშანიკის

მარტვილობას” და ამ ძეგლის გენდერული პრობლემატიკის თვალსაზრისით კვლევის მაგალითს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თხზულების მთავარი გმირი ქალია და მისი ისტორია – მეუღლის მხრიდან შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა – ზუსტად თავსდება ფემინისტური პროტესტის “კლასიკურ” პარადიგმაში, იგი აქამდე არასოდეს ყოფილა განხილული, როგორც წყარო შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების გენდერული პერცეფციების შესასწავლად. წინამდებარე კურსის ფარგლებში ამ გამოკვლევის განხილვის მიზანი ისაა, რომ სტუდენტმა ისტორიის თეორეტიკების შედეგად მიღებული ცოდნა დააკავშიროს კონკრეტულ საკითხის კვლევის პრაქტიკასთან, დაინახოს, თუ როგორ შეიძლება ისტორიული კვლევის ახალ მიმართულებათა საერთაშორისო მონაპოვრები, ამ შემთხვევაში გენდერული მიდგომის მონაპოვრები, გამოვიყენოთ ქართული სინამდვილის მიმართ. სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ ყველაზე კარგად შესწავლილი და ისტორიულ რეკონსტრუქციაში ყველაზე ხშირად გამოყენებული წყაროდანაც კი შესაძლებელია მივიღოთ თვისებრივად ახალი ინფორმაცია კითხვების ახლებურად დასმის შემთხვევაში. წარმოდგენილი სტატია არის ნაწილი იმ ვრცელი გამოკვლევისა, რომელიც შესრულებულია სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) გრანტის “კოლექტიური კულტურული იდენტობის კვლევა რელიგიური მოქცევის კონტექსტში: ქართული მაგალითის კვლევა და განზოგადებანი“ (2006-2008) ფარგლებში.

ი. ჯავახიშვილის ცნობილი ნაშრომის “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა” (1916) შემდგომ ისტორიის თეორეტიკების ისტორია საქართველოში არცთუ მდიდარია ფაქტებით. ასეთ ვითარებაში, ცხადია, წინამდებარე წიგნი ვერ იქნება დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან. ავტორი მაღლიერებით მიიღებს წიგნის გაუმჯობესების მიზნით გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს თუ სურვილებს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს მათ ნაშრომის შემდგომი რედაქტირებისას.

თავი I

ისტორიული მეცნიერების კვლევის ობიექტი და საგანი

რაში მდგომარეობს სინამდვილის შემეცნებისას ისტორიული მიდგომის სპეციფიკა, რა ადგილი უკავია ისტორიას ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა შორის, რა განასხვავებს ისტორიულ მეცნიერებას სოციოლოგიისაგან?

“ისტორია” ბერძნული წარმომავლობის ტერმინია: ნიშნავს მოთხრობას, აღწერილობას. ეს ტერმინი დამკვიდრებულია ბევრ თანამედროვე ენაში. ქართულ ენაში მის გამოყენებას საკმაოდ ადრე ჰქონდა ადგილი: ჯერ კიდევ თამარ მეფის ერთ-ერთ ანონიმ ისტორიკოსს აქვს იგი გამოყენებული თავისი თხზულების სათაურში: “ისტორიანი და აზმანი¹ შარავანდედთანი”. თუმც ამ ტერმინმა შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა. ისტორიული ნაშრომების აღსანიშნავად უფრო სხვა ტერმინები გამოიყენებოდა, მაგალითად, “ცხოვრება”, რაც არსებითად ტერმინ “ისტორიის” ქართულ ეკვივალენტს წარმოადგენს: შემოგვრჩა ძველქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებათა კრებული “ქართლის ცხოვრება”, რაც, ცხადია, სხვა არაფერია თუ არა “ქართლის ისტორია”.

სიტყვა “ისტორია” დღეს გამოიყენება მრავალი აზრით. ყოველდღიურობაშიც ხშირად ვიდასტურებთ მის ხმარებას. მაგალითად, ყველასათვის ძალიან ნაცნობია შემდეგი კონტექსტები: “ერთი სიყვარულის ისტორია”, “ავადმყოფობის

¹ “აზმანიც” არ არის ქართული სიტყვა. იგი წარმოდგება არაბული სიტყვიდან და ნიშნავს “დროს”, “ხანას”. როგორც ი. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ეს ორი ტერმინი თხზულების სათაურში თვალსაჩინოდ გვისურათებს თამარის ისტორიკოსის აზროვნობისა და განათლების ორგვარ ხასიათს. მას შეთვისებული ჰქონდა ორი კულტურა: ბერძნული, ბიზანტიურ-ელენური, ქრისტიანული და არაბულ-სპარსული, მაჰმადიანური.

ისტორია”, “კრიმინალური ისტორია”. ასეთ შემთხვევებში “ისტორია” ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილ ამბავს ნიშნავს და მეცნიერებასთან, ცხადია, საერთო არაფერი აქვს. თუმცა მეცნიერულ სფეროშიც ეს სიტყვა სხვადასხვა აზრით გამოიყენება, მაგალითად, “ხელოვნების ისტორია”, “მედიცინის ისტორია” და ა.შ. აქ ეს ტერმინი მიემართება ადამიანური მოღვაწეობის ერთ-ერთ კერძო ასპექტს. ისტორიის, როგორც მეცნიერების, განმარტებისათვის კი არსებითია ამ სიტყვის ის მნიშვნელობა, რომელიც მიესადაგება კაცობრიობის ცხოვრებას მის მრავალმხრივ გამოვლინებებში დასაბამიდან დღემდე.

ამ შემთხვევაშიც საჭიროა შემდგომი დაზუსტება. ტერმინით “ისტორია” აღინიშნება როგორც რეალური პროცესი, ასევე ამ პროცესის აღწერილობა. აუცილებელია აზრობრივად ეს სხვაობა დაფიქსირებული გექნოდეს. აღრევის თავიდან ასაცილებლად ზოგი მეცნიერი ამჯობინებს, რომ რეალური პროცესების აღსანიშნავად გამოიყენოს ტერმინი “ისტორია”, ხოლო ამ პროცესების აღწერა წყაროებში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნოს სხვა ტერმინით, კერძოდ, “ისტორიოგრაფიით”. ეს თითქოს პრობლემის რაციონალური გადაწყვეტაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტერმინის “ისტორია” ორივე აზრით გამოყენებას უკვე ძალიან ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ამასთან, ტერმინი “ისტორიოგრაფია” იხმარება სხვა მნიშვნელობებითაც, კერძოდ, როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორია ან როგორც რომელიმე კონკრეტულ სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

ისტორია არის მეცნიერება ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ. იგი სწავლობს ადამიანთა საზოგადოების წარსულს, რამდენადაც აწმყო მყისიერია და ამიტომ დაკვირვებისათვის ფაქტობრივად მოუხელთებელია, ხოლო მომავალი ჯერ არ დამდგარა.

ქვემოთ გთავაზობთ ისტორიის, როგორც მეცნიერების, რამდენიმე განმარტებას, რომლებსაც ვხდებით საპეციალურ ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებში:

“ისტორიული მეცნიერება სწავლობს მსოფლიო ისტორიული პროცესის განვითარებას დროსა და სივრცეში”;

“ისტორია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანებს მათს მრავალმხრივ საქმიანობაში”;

“ისტორია, როგორც სამეცნიერო ტერმინი, აღნიშნავს მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ადამიანსა და საზოგადოებას დროში”.

ამ განმარტებებიდან კარგად ჩანს ისტორიის კვლევის ობიექტი – ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება, და საგანი – ადამიანის, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების განვითარებაში ანუ დროში შესწავლა.

მაგრამ ადამიანს და ადამიანთა საზოგადოებას, ისტორიის გარდა, სხვა არაერთი მეცნიერებაც სწავლობს. მათგან ისტორიის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ისტორია, ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებას მთლიანობაში შეისწავლის. ისტორიული მეცნიერება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მეცნიერება, რომელიც სწავლობს არა რომელიმე ცალკე აღებულ ისტორიულ პერიოდს ან ადამიანის სოციალურობის რომელიმე კერძო მხარეს, არამედ საზოგადოების ფუნქციონირების და განვითარების ყველა სფეროს მათ ურთიერთკავშირში და განვითარებაში.

ამ მხრივ იგი ძალიან წააგავს სოციოლოგიას. მაგრამ ისტორიასა და სოციოლოგიას შორის არსებითი განსხვავებაცაა. სოციოლოგია სწავლობს საზოგადოების იდეალურ ტიპს, იგი, მართალია, ამოდის კონკრეტული მონაცემებიდან, მაგრამ ახდენს ამ მონაცემების აბსტრაქტიზებას და საზოგადოებას განიხილავს “წმინდა სახით”, როგორც ყოველგვარი კონკრეტულობისაგან თავისუფალ ფენომენს. მაშინ როცა, ისტორიკოსისათვის საინტერესოა არა მარტო ის, რაც საერთოა ყველა საზოგადოებისათვის, არამედ კონკრეტულიც ანუ ამა თუ იმ საზოგადოების ინდივიდუალური ნიშანიც. აღნიშნული კარგად ჩანს თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის პიტერ ბერკის შემდეგ შენიშვნაში: “სოციოლოგია სწავლობს საზოგადოებას, ისტორია – საზოგადოებებს”.

სოციოლოგიის თეორეტიკოსები ზოგჯერ სათანადოდ არ აფასებდნენ ისტორიას, როგორც მეცნიერებას. მაგალითად,

სპენსერი² მიუთითებდა, რომ სოციოლოგია ისტორიასთან შედარებით ისევე გამოიყურება, როგორც “დიდი შენობა მის ირგვლივ დაყრილი ქვებისა და აგურების მიმართ”, ხოლო “უმაღლესი დანიშნულება, რომელიც შეიძლება აღასრულონ ისტორიკოსებმა, ის იქნება, ერების ცხოვრების მოთხრობით მასალა რომ მიაწოდონ შედარებით სოციოლოგიას. უკეთეს შემთხვევაში ისტორიკოსები სოციოლოგებისათვის ნელელულს აგროვებენ, უარეს შემთხვევაში – ისინი სრულიად არიან მოკლებული მნიშვნელობას, რადგან მშენებლებს ვარგისი მასალითაც ვერ ამარაგებენ”.

ისტორიკოსებსაც აქვთ თავიანთი “კონტრარგუმენტები”. ისინი არ უარყოფენ აბსტრაქციის³ აუცილებლობას, რადგან მეცნიერება ამის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ მოითხოვენ, რომ დავიწყებულ არ იქნეს შემდეგი: აბსტრაქცია მარტივი და ერთგვაროვანია, ვინც ექცევა მხოლოდ აბსტრაქციის ტყვეობაში, ის უარს ამბობს ჩასწვდეს უაღრესად რთულ და მრავალფეროვან სინამდვილეს. რეალური ისტორიული პროცესი ყოველთვის უფრო მდიდარია და ცოცხალი, ვიდრე ყველაზე უფრო დახვეწილი აბსტრაქცია.

ისტორიკოსებისა და სოციოლოგების ამგვარ “ურთიერთბრალდებებში” კარგად ჩანს ორივე დისციპლინის სპეციფიკა. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ორივე დარგის დაახლოება მოხდეს. სოციოლოგიას და ისტორიას ზომ შესწავლის ერთი ობიექტი აქვთ: ესაა კაცობრიობის გლობალური ისტორია.

კონკრეტული ისტორიული პროცესი მისი ზიგზაგებით – აი, ყოველივე ამის ჩვენება შეადგენს ისტორიკოსის ამოცანას. ფილოსოფია კი საზოგადოების განვითარებას გეპულობს ზოგად, ლოგიკურ ასპექტში (ცხადია, მხოლოდ აბსტრაქციის დონეზე არა). ეს განსხვავება იმაშიც იჩენს თავს, რომ საზოგადოების განვითარების ფილოსოფიური, ზოგადსოციოლოგიური გადმოცემა

² ჰერბერტ სპენსერი – ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი (1820-1903).

³ ცნობილია, რომ მეცნიერული აბსტრაქცია მიმართულია იქითკენ, რომ კვლევის საგანი “წმინდა სახით” წარმოადგინოს.

მოცულობის მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკუთრივ ისტორიოგრაფიულ გადმოცემას.

ამკარაა, რომ განსაკუთრებულის, კონკრეტულის არსება არის საყოველთაოს (მსოფლიო-ისტორიულის⁴) სპეციფიკური ფორმა, რომელიც აისახება, საკუთრივ, ისტორიული კანონზომიერების ცნებაში. ფილოსოფიური აზრით, ეს უკანასკნელი არის ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერების გამოვლენა, თუმც, ისტორიული აზრით, იგივე შეიძლება განხილულ იქნას როგორც ისტორიული კანონზომიერებაც. კანონზომიერება, რომელსაც ავლენს ისტორიული მეცნიერება, ასახავს აბსტრაქტული კანონიდან რეგიონალური პროცესების გადახრას, მათში წარმოდგენილია ისტორიული სინამდვილე, რომელიც წინასწარ, გამოკვლევის ჩატარებამდე როდი აქვს მოცემული ისტორიკოსს, არამედ ამ სინამდვილეს იგი აღადგენს ძალიან დაძაბული შრომის შედეგად.

ისტორიკოსის კვლევის ობიექტი წარსული საზოგადოებაა. ამის გამო, ცხადია, მას თავისი დაკვირვების ობიექტი ცდაში არ ეძლევა. აღნიშნული გარემოება და აგრეთვე ის, რომ ისტორიკოსს ზოგადი კანონზომიერებების გარდა აინტერესებს კონკრეტულიც და რომ მისი შემეცნების ობიექტები ხშირად ინტელექტით და ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი პიროვნებები არიან, განსაკუთრებულად რთულს ხდის ისტორიკოსის პროფესიას. შეიძლება მოხდეს, რომ დაკვირვების ობიექტი ანუ წარსულში მცხოვრები ადამიანი უტოლდებოდეს ან სულაც აღემატებოდეს დამკვირვებელს ანუ ისტორიკოსს. ამიტომ ისტორიული შემეცნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაგების მომენტს. ისტორიკოსმა უნდა შეძლოს გარდასული კულტურის

⁴ მსოფლიო-ისტორიული – ეს არის სისტემური ცნება, რომელიც გამოხატავს კაცობრიული ისტორიის ერთიანობას და მთლიანობას. იგი ხორციელდება კაცობრიობის განვითარების უნივერსალურ გზაში, რომელიც დამალულია ლოკალურ-ისტორიულის გარეგნული მრავალფეროვნების მიღმა. სწორედ ამიტომ ისტორიის მსოფლიო-ისტორიულ დონეზე შემეცნება ისტორიოგრაფიის ფარგლებში გარკვეულად უახლოვდება მისი შემეცნების თეორიულ დონეს, თუმც, რა თქმა უნდა, მას არ ემთხვევა.

გაგება ისე, რომ დაინახოს შესასწავლი საზოგადოება არა მარტო გარედან, არამედ განიცადოს იგი, როგორც ამ კულტურის მონაწილემ და ამ საზოგადოების წევრმა. ამგვარი თანაგანცდა, ცხადია, წარმოუდგენელია და საჭიროც არაა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. აღნიშნული მომენტი არის ისტორიული მეცნიერების სპეციფიკა⁵. იგი განსაკუთრებულად რთულს ხდის ისტორიკოსის პროფესიას, თუმც იგივე ანუ წარსულთან მიახლოება, სრულიად განსაკუთრებული შემოქმედებითი სიხარულის წყაროსაც წარმოადგენს.

ისტორია და სოციოლოგია

იმისათვის რომ უფრო კარგად გავიაზროთ ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, სპეციფიკა, კიდევ ერთხელ, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მის მიმართებაზე სოციოლოგიასთან, რადგან, როგორც ითქვა, სოციოლოგია, ისევე, როგორც ისტორია, ადამიანთა საზოგადოებას სწავლობს.

თანამედროვე ბრიტანელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის მიხედვით “სოციოლოგია არის ადამიანების, ჯგუფების, საზოგადოებების სოციალური ცხოვრების კვლევა”. სოციოლოგიის საგანი კი არის ჩვენი, როგორც სოციალურ არსებათა, ქცევები. მაგრამ ისმის კითხვა, რით განსხვავდება ეს ისტორიის საგნისაგან, რომელიც XIX საუკუნის ფრანგმა ისტორიკოსმა ფიუჟტელ დე კულანჟმა გააიგივა მეცნიერებასთან ადამიანთა საზოგადოებების შესახებ?

ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება ისტორიასა და სოციოლოგიას შორის ალბათ ის არის, რომ ისტორიას საქმე აქვს ადამიანთა წარსულთან, მაშინ როცა სოციოლოგია შეეხება აწმყოს. მეორე, ასევე თვალსაჩინო განსხვავება ისაა, რომ ისტორია შეეხება კონკრეტულს, მაშინ როცა სოციოლოგია მიემართება საზოგადო მოდელებს.

⁵ XIX საუკუნის დასასრულს ფილოსოფოსმა ვილჰელმ დილთაიმ წამოაყენა თეზისი იმის შესახებ, თუ როგორ განსხვავდება მეცნიერებები, რომელთათვისაც მთავარი მიზანია გარედან ახსნა, ჰუმანიტარული დარგებისაგან, რომელთა მიზანია მოვლენების გაგება შიგნიდან.

თავისთავად კითხვის ამგვარად დასმის მიზეზი ისაა, რომ აღნიშნული დისციპლინები თავიდანვე როდი იყვნენ განცალკევებულნი და მათ ეძებნებათ საერთო ფესვები განმანათლებლობის ფილოსოფიაში. სოციალური მეცნიერების თეორეტიკოსები XIX საუკუნეში იჩენდნენ ინტერესს ისტორიული განვითარებისადმი. ოგიუსტ კონტი, ფრანგი მეცნიერი, რომელმაც შემოიღო თავად ტერმინი “სოციოლოგია”, სოციალურ ისტორიას სოციალური თეორიის განუშორებელ ნაწილად მიიჩნევდა. მისი ნაშრომი, რომელშიც წარმოადგენილია კაცობრიობის მიერ განვლილი საფეხურების ანალიზი, შეიძლება განვიხილოთ როგორც კვლევა ისტორიის ფილოსოფიაში. კარლ მარქსმა შექმნა ის, რაც ფაქტობრივად არის ისტორიის თეორია ანუ საზოგადოების თეორია. მას მიაჩნდა, რომ საზოგადოების სტრუქტურა შეიძლება გავებულ იქნას მხოლოდ ისტორიულად, როგორც წარმოების სხვადასხვა წესის თანამიმდევრობა. ჰერბერტ სპენსერი, ინგლისელი თეორეტიკოსი, სოციალური ევოლუციის პროცესის წარმოსადგენად მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ისტორიულ მასალას. ფრანგი სოციოლოგი ემილ დურკჰაიმი (1858-1917), აგრეთვე ამოდიოდა ისტორიული მასალებიდან.

გერმანელმა მეცნიერმა მაქს ვებერმა (1864-1920) შექმნა მრავალი ისტორიული ნაშრომი კაპიტალიზმის შესახებ, მათ შორისა “პროტესტანტული ეთიკა და სულიერება”. საერთოდ, მისი სოციოლოგიური გამოკვლევები ყოველთვის იყო “დამძიმებული” კონკრეტულ ისტორიულ ძიებათა მასალებით. მ. ვებერი და სოციოლოგიის, როგორც დისციპლინის, სხვა დამაარსებელნი არსებითად ისტორიული სოციოლოგიის მიმდევრები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ გაეგოთ თანამედროვე საზოგადოება მისი შედარებით ძველთან. კ. მარქსი ამის გასაღებს ხედავდა კაპიტალიზმის სტრუქტურაში და კლასთა წარმოქმნაში, მ. ვებერი – რაციონალიზაციასა და ბიუროკრატიის წარმოქმნაში, ე. დურკჰაიმი – შრომის სოციალურ დანაწილებაში, მაგრამ მათი მიდგომა საერთოა ინდუსტრიული საზოგადოების ინტერპრეტაციისადმი.

მართალია, სოციოლოგები ინტერესდებოდნენ ისტორიით, მაგრამ ძალიან მცირედ ინტერესდებოდნენ თავად ისტორიკოსთა ნაშრომებით. XIX საუკუნის მიწურულისათვის ისტორიკოსები

სულ უფრო მეტად დაშორდნენ ისტორიული პროცესის ფართო გაგებას, ე.წ. “ფილოსოფოს ისტორიკოსებს”. მათი შესწავლის ობიექტი, როგორც წესი, იყო ოფიციალური დოკუმენტები, ხოლო კვლევის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა ნაცია-სახელმწიფო. პროფესიონალ ისტორიკოსთა ახლად დაფუძნებული თანამეგობრობა იფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური პრობლემატიკის კვლევით, რომელიც დაკონკრეტებული იყო დროითა და ადგილით. ერთის მხრივ, ისტორია ხდებოდა სულ უფრო და უფრო ნაკლებ სოციოლოგიურად ორიენტირებული. შესაბამისად, სოციოლოგიაც იყო ნაკლებ და ნაკლებ ისტორიული. შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციონალისტთა თეორიების გავლენით, რომელთაც დიდი გავრცელება მოიპოვეს XX საუკუნის დასაწყისში, სოციოლოგია იყო პრინციპულად ანტი-ისტორიული.

ეს ტენდენცია კიდრვ უფრო გაძლიერდა სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაციით, მისი, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩამოყალიბებით. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო აშშ-ში, რომელიც უმთავრეს სამყოფელს წარმოადგენდა სოციოლოგიისათვის პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. ამის პარალელურად მიმდინარეობდა ისტორიის დარგის პროფესიონალიზაციისა და ინსტიტუციონალიზაციის პროცესიც. ისტორიკოსებმაც შექმნეს თავიანთი დეპარტამენტები, სასწავლო საზოგადოებები, ჟურნალები, ჩამოაყალიბეს პროფესიული სტანდარტები და სოციალიზაციის საკუთარი ფორმები.

სოციოლოგიური კვლევის მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ მათ შორის მთავარია ის ორი, რომლებიც დომინირებდნენ XX საუკუნის შუა ხანებში. პირველი მათგანია *სტრუქტურალისტური ფუნქციონალიზმი* და მეორე – *პოზიტივიზმი*.

ფუნქციონალისტური თეორიები სოციალური ინსტიტუტების და სოციალური ქცევების ახსნას ეძიებენ მათი თანამედროვე ფუნქციების ფარგლებში და არა ისტორიულ განვითარებაში. საზოგადოება წარმოიდგინება როგორც ერთი მთლიანობა, როგორც მისი შემადგენელი სხვადასხვა ნაწილის ურთიერთქმედების შედეგი. საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა წონასწორობაა. საზოგადოების შემადგენელი ინსტიტუციების და ქცევების

ფუნქციები კი შეიძლება წარმოდგენილ იყოს ექსპლიციტურად (ცხადად) ან იყოს ლატენტური (ფარული).

პოზიტივიზმი პირველ რიგში იმის რწმენას ნიშნავს, რომ სოციალური მეცნიერების ახსნის ლოგიკა საბუნებისმეტყველო საგნების ლოგიკის ანალოგიური შეიძლება იყოს. თავის “სოციოლოგიური მეთოდების წესებში” ე. დურკჰაიმი ასაბუთებდა, რომ სოციალური ფაქტები უნდა განიმარტონ ისევე, როგორც საგნები, რომ სოციალური ცხოვრება უნდა აიხსნას არა იმათი ცნებების მიხედვით, ვინც ამ ფაქტებში მონაწილეობენ, არამედ მიზეზების სიღრმისეული შემეცნებით, რომელთაც ჭკრეტს ცნობიერება. ე. დურკჰაიმისათვის და სხვა პოზიტივისტებისათვის ადამიანური ქცევების წესების აღწერის გზა იყო რაოდენობრივი მეთოდები. კარგად არის ცნობილი დურკჰაიმისეული თვითმკვლელობის ფენომენის ანალიზი. მან განიხილა თვითმკვლელობის ფაქტები სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში სხვა სოციალურ ცვლადებთან ერთად და აღმოაჩინა, რომ ასეთი შემთხვევების პროცენტი პროტესტანტულ ქვეყნებში უფრო დიდია, ვიდრე კათოლიკურში. ე. დურკჰაიმი ამას ხსნიდა იმით, რომ პროტესტანტული საზოგადოებები არის უფრო მეტად ინდივიდუალისტური და ნაკლებად ინტეგრირებული საზოგადოებები, ვიდრე კათოლიკური. ცვლადების ანალიზი წააგავდა სამეცნიერო ექსპერიმენტს. რა თქმა უნდა, როცა ადამიანებს ეხება საქმე, ექსპერიმენტი გამორიცხულია (მით უმეტეს, როცა თვითმკვლელობის შემთხვევას ეხება საქმე). მიიჩნევენ, რომ ე. დურკჰაიმის მეთოდის საკმაოდ დაუზვეწავი იყო და ფაქტების ანალიზიც მნიშვნელოვანი ცდომილებების შემცველი, მაგრამ აღნიშნული გამოკვლევა მაინც ისტორიული რეკონსტრუქციის საინტერესო ცდას წარმოადგენდა, როცა ხდებოდა იმანენტური (შინაგანი) მიზეზების შემეცნება და კვლევის შედეგების წარმოდგენასაც ანალიზის ფორმა ჰქონდა.

შემდგომში რაოდენობრივი მეთოდები ძალიან დაიხვეწა.

ერთის მხრივ, ემპირიციზმი და, მეორე მხრივ, ყოვლისმომცველი თეორიები ძალიან ცოტა ადგილს ტოვებდა სოციოლოგთა და ისტორიკოსთა თანამშრომლობისათვის. ასეთი იყო ვითარება, როცა ისტორიკოსებმა დიდ ბრიტანეთში და

ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო ახალი იდეების ძიება და დაინტერესდნენ სოციალური მეცნიერებებით. საფრანგეთში ანალების ისტორიული სკოლაც ანალოგიურ ნაბიჯებს ღვაძლა.

ისტორიკოსებმა დაიწყო დაინტერესება სოციოლოგიით ფაქტობრივ მაშინ, როცა მათი კვლევის საგანი გაფართოვდა. ძალიან მნიშვნელოვანი ამ თვალსაზრისით იყო სოციალური ისტორიის აღორძინება: სოციალური ურთიერთობების, სოციალური კლასების, სახელმწიფოს, ურბანიზაციის პროცესების კვლევა. ინდივიდების ისტორიის კვლევიდან ისტორიკოსები გადაერთნენ სოციალური ვგუფების ისტორიის კვლევაზე. დაიწყო ჩვეულებრივი ადამიანების ისტორიის შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ამ ახალი ამოცანებისათვის ტრადიციული ისტორიული მეთოდები აღარ იყო საკმარისი. სწორედ ამიტომ მიმართეს მათ სოციოლოგიას. ახალი მეთოდების გამოყენება დროის მოთხოვნილებად იქცა. მოწოდებებმა ინტერდისციპლინარული კვლევებისაკენ ლამის მესიანისტური ხასიათი შეიძინა.

სოციოლოგიამ დიდი გავლენა მოახდინა ისტორიოგრაფიაზე გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. “ახალ ისტორიად” იწოდებოდა ეს ისტორია ამერიკაში. იგი ხასიათდებოდა უფრო მეტი ინტერესით მასების ქცევებისადმი, ვიდრე ელიტისა, გადმოცემის ანალიტიკური ფორმით უფრო, ვიდრე აღწერილობითი ნარატივით, სურვილით მკაფიოდ დაესვა კითხვები წყაროების ამა თუ იმ მონაცემთან დაკავშირებით და პასუხი ამ კითხვებზე წარმოდგინა რომელიმე სოციოლოგიური თეორიის ჩარჩოებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ გამოკვლევის ენის სიზუსტისადმი; გამოირჩეოდნენ მზაობით აეთვისებინათ და გამოეყენებინათ მასალის მოპოვებისა და ანალიზის ახალი მეთოდები, მათ შორის, ზეპირი ინტერვიუები, კონტენტ-ანალიზი, კოლექტიური ბიოგრაფია და რაოდენობრივი მეთოდები; მეტ ყურადღებას იჩენდნენ მეთოდოლოგიისადმი.

მაგრამ გარკვეული სირთულეები წარმოშვა სოციოლოგიის დისციპლინის კვლევითი ტექნიკის გამოყენებამ ისტორიულ მონაცემების დამუშავებისას. ზოგი მეცნიერის მითითებით, ისტორია არის კონტექსტის დისციპლინა და როცა იყენებენ ზოგად თეორიებს, ისტორიკოსები კარგავენ კერძობითი მოვლენის

ხედვას. გარდა ამისა, ისტორია უკავშირდება ცვლილებებს დროში. მაშინ როცა სოციალური მეცნიერებების უმეტესობა არის პრინციპულად აისტორიული და ამიტომაც თავისი ამგვარი ბუნების გამო მათ არ შეუძლიათ ცვლილების ახსნა.

1979 წელს ბრიტანელი ისტორიკოსი ლოურენს სტოუნი (1919-1999) თავის ფართოდ განხილულ სტატიაში “წარსული და აწმყო” შენიშნავდა, რომ ისტორიკოსთა მიერ სოციალური მეცნიერებიდან ზოგიერთი ენთუზიასტური დასესხება გაითქვიფა ფართო რიცხვით ანალიზში და ადამიანური ქცევების დეტერმინისტულ მოდელებში. ამავე მკვლევარს აქვს სტატიაც “ნარატივის აღორძინება”. აქ საუბარია სოციალური მეცნიერებით ისტორიკოსთა “მოჯადოების” ეპოქის დასასრულზე. იმის მაგიერ, რომ კვლევა წარმოედგინათ ანალიტიკური ფორმით, ისტორიკოსები ისტორიოგრაფიული რეპრეზენტაციისას დაუბრუნდნენ ნარატივის ფორმას. მკვლევარი საუბრობს მის თანამედროვე ეპოქაში ისტორიაში ე.წ. “კულტურულ მოსაბრუნ წერტილზე”, რაც ნიშნავს: XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სოციოლოგია უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდება ისტორიისათვის, ვიდრე მომიჯნავე დისციპლინა კულტურული ანთროპოლოგიისა, ან თუნდაც ისეთი დარგები, როგორცია ლიტერატურის თეორია და კულტუროლოგია.

ისტორიისა და სოციოლოგიის დაახლოებისათვის პრობლემა იყო აგრეთვე ის, რომ სოციალური მეცნიერებები თავის მხრივაც ვერ იყვნენ მკაფიოდ ჩამოყალიბებულნი. სოციოლოგიის წიაღში წარმოშობილი კრიზისის დაძლევას ზოგი მეცნიერი შეეცადა სწორედ ისტორიისადმი დაბრუნებით: ბოლო წლებში ადგილი აქვს ისტორიული სოციოლოგიის აღორძინებას. მეცნიერთა ნაწილი ცდილობს აღადგინოს კ. მარქსიდან და მ. ვებერიდან მომდინარე ძველი ტრადიცია. ისინი თვლიან, რომ აისტორიულ სოციოლოგიურ თეორიებს არ შეუძლიათ ახსნან განვითარების ის გზები, რომელსაც გადიან სხვადასხვა საზოგადოებები. სპეციალისტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ისტორიაში ძვეს სოციოლოგიის წინაშე მდგარი ყველაზე უფრო სერიოზიული პრობლემების გადაწყვეტის გასაღები.

თავი II

ისტორიული წარსულის ფიქსირების ფორმები ძველ დროსა და შუა საუკუნეებში

როგორ ხდებოდა წარსულის ფიქსირება ძველ აღმოსავლეთში, ძველ საბერძნეთსა და რომში, ბიზანტიაში, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში? რა სხვაობა ან მსგავსებაა აღნიშნულ კულტურებში შექმნილ ისტორიოგრაფიული დანიშნულების ძეგლებსა და თანამედროვე ისტორიულ გამოკვლევებს შორის?

უძველესი დროიდან დღემდე ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ინტერესი წარსულისადმი. ამიტომ ისტორიის ფიქსირებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა, თუმცა სხვადასხვა ეპოქაში და კულტურაში, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ფასეულობათა შკალა და აღწერის ტრადიცია, სხვადასხვაგვარად ხდებოდა წარსულის შესახებ მოთხრობის ფიქსირება, სხვადასხვაგვარად შეირჩეოდა ფაქტებიც, რომლებიც ითვლებოდნენ ჩაწერის ღირსად. ამ თვალსაზრისით კაცობრიობის გამოცდილება ძალიან მდიდარია. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შევეხები ზოგადი სურათის წარმოსადგენად.

დამწერლობის გაჩენამდე ისტორიული მოვლენები აისახებოდა ზეპირსიტყვიერებაში, რომელიც, როგორც ცნობილია, პოეტური ფორმით და განსახოვნების პოეტური საშუალებებით ხასიათდება. ცხადია, ეს არ იყო პირდაპირი მნიშვნელობით ისტორიოგრაფია, თუმცა ისტორიული ეპოსი ისტორიული ფაქტის ხსოვნას ინახავდა. ზეპირსიტყვიერება მოუხერხებელია ისტორიული ცოდნის დაგროვებისათვის, რადგან ქრონოლოგიურ რიგზე დაწყობილი (ქრონოლოგია კი ისტორიოგრაფიისათვის გადამწყვეტია) კონკრეტული ფაქტების დამახსოვრება შეუძლებელია, ისინი ხშირად იღრევა, რის შედეგადაც რამდენიმე ისტორიული პერსონაჟი ერთი გმირის სახეში შეიძლება გაერთიანდეს. ამიტომაც ფოლკლორის ისტორიზმი სპეციალისტებს შორის დიდ დისკუსიას იწვევს და ითვლება, რომ ამ ჟანრის ძეგლების ისტორიულ წყაროდ გამოყენებისას დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

დამწერლობის გაჩენის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. აქედან მოყოლებული ყალიბდება ისტორიოგრაფია, თავისი ნამდვილი აზრით. ისტორიული ცოდნის დაგროვების ისტორიისათვის თვალის მიდევნებაში ბევრი ხალხის გამოცდილება დაგვეხმარება. მაგალითად, ძალიან საინტერესოა ხეთების გამოცდილება. ხეთები ისტორიულ ფაქტებს ანალების ფორმით აფიქსირებდნენ. ანალები იწერებოდა თავად ხეთი მეფის სახელით. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე უძველესი ტექსტია ე.წ. “ანიტას ტექსტი” (ძვ. წ. XVIII ს). ამგვარმა ისტორიოგრაფიამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ხეთი მეფის მურსილი II ხანაში. ხეთური ისტორიული ჩანაწერებში ძირითად აღინუსხებოდა სამხედრო წარმატებები. ამგვარი შინაარსის ჩანაწერები კეთდებოდა თიხის ფირფიტებზე ან პრიზმის ფორმის საგნებზე. ეს მასალა ინახებოდა ქალაქ ხათუსას არქივში. მათ ზოგჯერ გარკვეული დიპლომატიური დოკუმენტების შესადგენადაც იყენებდნენ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ტექსტებს ბრინჯაოზეც ტვიფრავდნენ. არსებობდა ქვაზე ამოკვეთილი ტექსტებიც, რომლებიც მთელი საზოგადოების დასანახად იყო გამიზნული. თუმც იყო ისეთი თიხის ფირფიტები, რომელთაც ვერავინ ნახავდა. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ამგვარი ისტორიული ჩანაწერების დანიშნულება საკრალური იყო, მათი საშუალებით მეფე, რომელიც დედამიწაზე ღმერთის ნაცვლად მოაზრებოდა, ანგარიშს აბარებდა ღმერთს გაწეული საგმირო საქმეების შესახებ. მსგავსი ფუნქცია, ცხადია, სრულიად უცნაო თანამედროვე ისტორიოგრაფიისათვის.

ძველადმოსავლური ისტორიული აზროვნება საინტერესოა ისტორიოსოფიური თვალსაზრისითაც. შუმერებისათვის, მაგალითად, პროგრესის ცნება არსებითად გაუგებარი იყო. ყოველივე კარგი მოიაზრებოდა წარსულში, ყველა სიბნელე შემოქმედდათ სწორედ წარსულის სახელით, არა როგორც პრინციპული ნოვატორობა, არამედ როგორც ძველის განმეორება ანუ აღდგენა. ასე რომ, შუმერული ისტორიოსოფიული ხედვით, აწმყოს უკანაც და წინაც წარსული იდგა. ეს იყო, ცხადია, ღრობის და ისტორიული განვითარების ძალიან თავისებური აღქმა.

მართალია, ძველადმოსავლური ისტორიოგრაფია საკმაოდ საინტერესოა ისტორიული მეცნიერების ისტორიის

თვალსაზრისით, მაგრამ თანამედროვე ისტორიის წინამორბედად მაინც ბერძნული და რომაული ისტორიოგრაფია უნდა მივიჩნიოთ. თავიდან ისტორია ძნელად გასარჩევი იყო პოეზიისაგან, იგი უფრო ბელეტრისტიკად მიიჩნეოდა, ვიდრე მეცნიერებად. ამის დასტურად გამოდგება თუნდ ის ფაქტი, რომ ისტორიას, ძველი ბერძნების წარმოდგენით, მფარველობდა ერთ-ერთი მუზა, კერძოდ, კლიო. იონიაში ბერძნული ენის იონურ დიალექტზე დაიწყეს პირველი ისტორიული თხზულებების – ლოგოსების ჩაწერა. ლოგოსები იყო ისტორიული ინფორმაციის შემცველი პროზაული ნაწარმოებები, მათ აღმწერებს ლოგოგრაფოსებს უწოდებდნენ. ლოგოგრაფიის ჟანრობრივი პრინციპი იყო სინამდვილის აღწერა. ლოგოგრაფია ემიჯნებოდა ზღაპრებს, არარეალურ ისტორიებს, თუმც ეს პრინციპი ყოველთვის როდი ხორციელდებოდა პრაქტიკაში.

ნამდვილად ისტორიული ჟანრის ნაწარმოებების გაჩენა უკავშირდება ჰეროდოტე ჰალიკარნასელის (ძვ. წ. V ს) სახელს. ცნობილმა რომაელმა ინტელექტუალმა ციცერონმა ჰეროდოტეს უწოდა “ისტორიის მამა”. ჰეროდოტეს ეკუთვნის დიდი ისტორიული ნაშრომი ბერძენ-სპარსელთა ომების შესახებ. ნაშრომი შედგება რამდენიმე ლოგოსისაგან, რომლებიც შინაარსობრივად დამოუკიდებელი ხასიათის ნარკვევებია. ნაშრომის პირველი წიგნები ერთგვარ შესავალს წარმოადგენს საკუთრივ ომების შესახებ საუბრისათვის, აქ აღწერილია ბარბაროსთა (სპარსელთა) ცხოვრება, ფაქტობრივად დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების საკითხია წამოჭრილი. ეს ისტორიკოსი ვირტუოზი მწერალია, მისი აღწერილობა ძალიან მიმზიდველია. ისტორიულ მონაცემებთან ერთად ჰეროდოტე აფიქსირებს ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ხასიათის მონაცემებს. ჰეროდოტე არ ერიდება ზღაპრული ამბების გადმოცემასაც, თუმცა იქვე ურთავს კომენტარს, რომ იგი მოვალეა აღწეროს ყველაფერი, რასაც კი გაიგონებს, მაგრამ მოვალე არ არის სჯეროდეს ყველაფერ ამის. ამგვარად, იგი ამ ცნობებისადმი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს, რითაც ფაქტობრივად ისტორიულ კრიტიკას უყრის საფუძველს.

ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე იყო თუკიდიდე. მას ეკუთვნის ისტორიოგრაფიული თხზულება პელეპონესის ომის

შესახებ. იგი მიუთითებს, რომ პელეპონესის ომი იყო ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მისთვის მთავარი ის კი არაა გასართობი ამბებით შეიქცეოს მკითხველი და სულაც არ ესწრაფვის წამიერი მოწონება დაიმსახუროს. მისი ნაშრომი საუკუნებისათვის არის გამიზნული. ჰეროდოტესაგან განსხვავებით თუკიდლე ყველა იმ ინფორმაციას როდი აფიქსირებს, რომელიც ხელთ აქვს, იგი საგანგებოდ ზრუნავს ინფორმაციის წყაროების შემოწმებაზე და მიუთითებს, რომ ეს ძალიან შრომატევადი საქმეა. თავისი შრომებისათვის იყენებს მის ხელთ არსებულ საარქივო მასალას. ყველაფერ ამით იგი არსებითად თანამედროვე ისტორიოგრაფიის წინამორბედად გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ გასართობ, ფანტასტიკურ ამბებს თუკიდლე შეგნებულად უვლის გვერდს, მის ნაწარმოებს სრულიადაც არ დაუკარგავს ამის გამო მიმზიდველობა, მას ახასიათებს დიდი დრამატიზმი. თუკიდლეს მიერ ათენში შავი ჭირის შედეგად დატრიალებული დრამატული ისტორიის სურათი სამართლანად ითვლება ისტორიოგრაფიული პროზის ნიმუშად.

განსხვავებული იყო რომაული ისტორიოგრაფია. იგი წარმოიშვა ანალებისაგან. კეთდებოდა ჩანაწერები ისტორიული წლების მიხედვით, რასაც ქურუმები ზედამხედველობდნენ. მერე ეს ჩანაწერები გააერთიანეს და ამ გზით მიიღეს “დიდი ანალები”. რომაელი ისტორიკოსები ძირითადად განიხილავდნენ ისტორიას მორალური თვალსაზრისით. მათი შეხედულებით ისტორია ეს იყო მორალური მაგალითების ამოუწურავი საცავი, აქ მოიპოვებოდა როგორც კარგი, მისაბადი, მაგალითები, ასევე ისეთები, რომელთათვის ადამიანს არ უნდა მიებაძა.

გაიუს სალუსტიუს კრისპუსს (ძვ. წ. 86-35 წწ) ეკუთვნის შრომა “კატლინას აჯანყების შესახებ”, რომელიც ფაქტობრივად თანამედროვე მონოგრაფიული გამოკვლევის ანალოგიურია და ძალიან განსხვავდება ანალებისაგან, რომელთათვის დამახასიათებელია ფაქტების წარმოდგენა წლების მიხედვით.

რომაული ისტორიოგრაფიის პირველი თეორეტიკოსი იყო მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ. 106-43 წწ), ძველი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, ორატორი და მწერალი, რომელმაც არა მარტო შემოგვინახა ცნობები თავის წინამორბედ რომაელ

ისტორიკოსებზე, არამედ ჩამოაყალიბა ისტორიის ამოცანები და განსაზღვრა მისი ადგილი რომის კულტურულ ფასეულობათა საერთო სისტემაში. ციცერონს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: “ისტორია არის დროთა მოწმე, შუქი ჭეშმარიტებისა, უკვდავება ხსოვნისა, მოძღვარი ცხოვრებისა, მაცნე გარდასულ ჟამთა”. ციცერონი ხაზს უსვამდა, რომ ისტორიის უპირველესი კანონია – არანაირი სახით არ ვიცრუოთ, არავითარ შემთხვევაში არ გვეშინოდეს სიმართლის, არ გამოვიჩინოთ არც ოდნავი მიკერძოება და არც ღვარძლი ვინმესადმი ან რაიმესადმი.

რომაელმა ისტორიკოსებმა შეითვისეს ბერძენთა მიღწევები ისტორიის სფეროში და ამასთან მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადადგეს წინ. ისინი უფრო ზუსტად ათარილებდნენ მოვლენებს, მეტ ყურადღებას უთმობდნენ ქრონოლოგიას. ამგვარად, ძველ აღმოსავლეთში, საბერძნეთსა და რომში ისტორიული ფაქტების ფიქსირების სხვადასხვა ფორმა არსებობდა. გავრცელებული იყო ქრონოლოგიური პრინციპით, ე.ი. წლების მიხედვით, ფაქტების განლაგება, თუმც ეს არ იყო ისტორიული ინფორმაციის ფიქსირების ერთადერთი ხერხი. ასე მაგალითად, რომაელი ისტორიკოსი გაიუს სვეტონიუს ტრანკვილი (70-160 წწ), რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი “თორმეტი ცეზარის ცხოვრება”, მიუთითებდა, რომ არა ქრონოლოგიის მიხედვით, არამედ საგნების მიხედვით, ე.ი. თემატურად განალაგებს მასალას. საერთოდ ბიოგრაფიულ ჟანრისათვის თემატური პრინციპით მასალის წარმოდგენა დამახასიათებელია.

ასევე იქცეოდა ბერძენი პლუტარქეც (46-126 წწ), რომელიც წარმოადგენს ბერძენ და რომაელ მოღვაწეთა პარალელურ ბიოგრაფიებს. პლუტარქე ბიოგრაფიას და ისტორიას მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან: “ბიოგრაფიას ვწერ და არა ისტორიას” – ასეთ შენიშვნას ვხვდებით მის ერთ-ერთ თხზულებაში. ისტორია პლუტარქესათვის უფრო ფონი იყო მისი გმირების სახეების გამოსაკვეთად და მორალისტური სენტენციებისათვის⁶.

⁶ “სენტენცია” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მორალური ხასიათის გამონათქვამს, ზნეობრივ შეგონებას.

ბიოგრაფიაც ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სახეა, თუმც ანალისტიკისაგან და ქრონიკისაგან ძალიან განსხვავებული. მორალური დიდაქტიკა⁷ უფრო ეფექტურია ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით და ამიტომაც ამ მიზნით ისტორიას ირჩევენ.

ძველი ეპოქის ისტორიული აზროვნებისათვის ზოგჯერ დამახასიათებელი იყო ავტორისეული საწყისის გამოკვეთა. თვით ანალების ფორმით დაწერილ ისტორიულ თხზულებაშიც კი ავტორის პიროვნება იყო წარმოჩენილი. შუა საუკუნეებში ეს ტრადიცია დანარჩუნდა. აღნიშნული კარგად ჩანს შუა საუკუნეობრივი ისტორიული თხზულებებისათვის წამძღვარებული შესავლებით, ნაშრომთა დასაწყისში დაცული წერილებით დამკვეთებისადმი და ა.შ. თუმც დასტურდება ავტორისეული საწყისის დაჩრდილვის ტენდენციაც. იქნებოდა ისტორიული თხზულებები, რომლებიც პრინციპულად ანონიმური იყო. ე.ი. ავტორის სახელი დაკარგული კი არ იყო, არამედ თხზულება ისე იყო დაწერილი, რომ მას ავტორი არ ეგულისხმებოდა.

კლასიკური ავტორების ინდივიდუალიზში ნაწილობრივ შუა საუკუნეებსაც გადმოჰყვა, თუმც ამის პარალელურად ფართოდ განვითარდა ქრისტიანული თვითდაკნინების პრინციპი, რომელიც ავტორის მიერ საკუთარი დამსახურების უარყოფაშიც გამოიხატებოდა. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი ტენდენცია შუა საუკუნეებში. მაგალითად, XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქაელ ფსელოსი, რომელსაც ეკუთვნის ისტორიული ნაშრომი “ქრონოგრაფია”, დიდ ყურადღებას უთმობს სწორედ საკუთარ თავზე საუბარს, დაწვრილებით აღწერს საკუთარ მონაწილეობას ისტორიულ მოვლენებში. “ქრონოგრაფია” ისტორიულ პორტრეტთა მთელ გალერეას წარმოგვიდგენს. ამავე დროს შუა საუკუნეებიდან საკმაოდ შემოგვრჩა კომპილაციური⁸ ქრონიკებიც, სადაც ავტორისეული საწყისი არაა გამოკვეთილი.

⁷ “დიდაქტიკა” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სწავლებას, დამოძღვრვას.

⁸ “კომპილაცია” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს “მარცვას”. ამ შემთხვევაში მას აქვს გადატანითი მნიშვნელობა: კომპილაციური ნაშრომი არის ისეთი ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს არა ავტორის ორიგინალურ ნააზრევს, არამედ აგებულია სხვა ავტორებისაგან ნასესხები მასალებით.

ძველი ქართული ისტორიოგრაფიისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს პრინციპული ანონიმურობა. შინაგანად ანონიმური ისტორიული ნაშრომის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ “მოქცევაი ქართლისაის” ისტორიული ქრონიკა, რომელშიც არაა გამოკვეთილი ავტორის პოზიცია აღწერილისადმი. ესაა ღია კომპოზიციის ძეგლი, თავიდანვე გათვლილი ისტორიკოსთა სხვადასხვა თაობის კოლექტიურ შრომაზე, მასალის აღწერაზე “ჟამითიჟამად” ანუ სხვადასხვა დროს.

სწორედ იმიტომ, რომ ავტორისეული საწყისი არ იყო სათანადოდ გამოკვეთილი, შუა საუკუნეებში თანამედროვეობისაგან განსხვავებული მიდგომა იყო “საავტორო უფლებისადმი”. ნაშრომის კომპილაციურობა, პლაგიატიზმი არ განიხილებოდა მის ნაკლად და არც ავტორის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევად. პირიქით, ტრადიციის შენარჩუნება იყო საკმაოდ დადებითი მომენტი ისტორიულ თხზულებისათვის. როცა ისტორიას წერას იწყებდნენ “თავიდან”, მთლიანად კი არ გადაიაზრებდნენ მასალას, არამედ უბრალოდ შეწყვეტილი ადგილიდან გააგრძელებდნენ. მომდევნო ავტორი არსებითად უცვლელად რთავდა თავის ნაშრომში წინარე ავტორს, ზოგჯერ ასახელებდა წყაროს, ზოგჯერ კი არა. სხვისი ნაშრომიდან ნაწყებების უცვლელად ამოღება არ ითვლებოდა საავტორო უფლებების შელახვად, რადგან იგულისხმებოდა, რომ ისტორიული ფაქტები არავის კუთვნილება არ შეიძლება ყოფილიყო: მათ შემოქმედად ღმერთი მიიჩნეოდა, ე.ი. ისტორიულ ნაშრომში გამოირიცხებოდა შინაარსის ავტორობა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფორმის ავტორობა. ამიტომ რედაქტორობა აძლევდა ისტორიკოსს იმის საფუძველს, რომ თავი ავტორად წარმოესახა. შემთხვევითი როდია, რომ ძველი ქართული სიტყვა “აღწერა”, როგორც რაიმეს ახლად დაწერას, ასევე ძველის რედაქტირებას აღნიშნავდა.

ძველ პერიოდში, ისევე როგორც შუა საუკუნეებში კარგად იყო გააზრებული ისტორიის მთავარი ფუნქცია – სინამდვილის შემეცნება. VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს ეკუთვნის შემდეგი მაქსიმა: “რიტორიკას ახასიათებს მჭერმეტყველება, პოეზიას – გამონაგონი, ისტორიას – ჭეშმარიტება”.

შუა საუკუნეებში გაღრმავდა პროვინდენციალიზმი⁹. ქრისტიანობა საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიას, ისტორია მორალური ამოცანის განხორციელების სარბიელად არის წარმოდგენილი ქრისტიანობაში. ქრისტიანული კონცეფციით, ისტორია არის ტელეოლოგიური (მიზანმიმართული) პროცესი, მისი ფინალი ცნობილია, იგი ღმერთის ჩანაფიქრის განხორციელებაა. ამიტომ შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია ძალიან იყო დატვირთული თეოლოგიით და ხშირად აშკარად ასრულებდა თეოლოგიის ამოცანებს. ჰუმანისტების მოღვაწეობის პერიოდიდან იწყება ისტორიის სეკულარიზაცია¹⁰, ადამიანური და ღვთაებრივი ისტორია სცილდება ერთმანეთს; ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის მიზეზებს ეძიებენ არა ღვთაებრივ ჩანაფიქრში, არამედ თავად ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაში. ამ დროს იწყება ფიქრი ისტორიული კვლევის მეთოდიკაზე, ისტორიულ წყაროთა ბაზის გაფართოებაზე. მაგრამ პროგრესს ისტორიაში ჰუმანისტები ვერ ხედავდნენ, ისინი ცდილობდნენ ანტიკურობის აღორძინებას, რადგან სიბრძნე სწორედ ანტიკურობაში მიაჩნდათ საძიებლად. ჰუმანისტები ქედს იხრიდნენ ზოგადად ანტიკური კულტურის და კონკრეტულად ანტიკური ისტორიოგრაფიის წინაშე.

ეს ტენდენცია სრულიად უარყოფილი იქნა XVIII საუკუნეში განმანათლებლების მიერ, რომლებიც გონების ნამდვილ გაბრწყინებას საკუთარ ეპოქაში ხედავდნენ და არა ძველ ბერძნებთან ან რომაელებთან. ანტიკურობა კაცობრიობის ბავშვობად წარმოედგინათ. განმანათლებლები იყვნენ არა მარტო კარგი ფილოსოფოსები, ბუნებისმეტყველნი, არამედ კარგი ისტორიკოსებიც. ამის ნათელი დადასტურებაა, თუნდაც, დიდროსა და დალამბერის ენციკლოპედია, რომელშიც ისტორიულ სტატიებს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. აქ არის დამუშავებული არა მარტო ცალკეული ხალხების, ცივილიზაციების ისტორია,

⁹ “პროვინდენციალიზმი” ლათინური სიტყვიდან მომდინარე ტერმინია და ნიშნავს განგების ნებით განპირობებულობის რწმენას.

¹⁰ “სეკულარიზაცია” ლათინური სიტყვიდან მომდინარე ტერმინია და ნიშნავს ეკლესიის გავლენისაგან განთავისუფლებას, რაიმეს გადასვლას ეკლესიის გამგებლობიდან სამოქალაქო გამგებლობაში.

არამედ ცნებითი, კატეგორიული აპარატი. ჰუმანიზტების მიერ დაწყებული ისტორიოგრაფიის თეოლოგიისაგან განთავისუფლების პროცესი საბოლოოდ განმანათლებლებმა დაასრულეს და კაცობრიული ისტორია მკვეთრად გამიჯნეს ღვთაებრივისაგან.

XIX საუკუნეში განსაკუთრებული ხდება ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა. ადრე, ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში ისტორიოგრაფიას მეურვეობდნენ უმაღლესი სასულიერო და საერო პირები, სწავლითაც ისტორიას მხოლოდ ხელისუფალნი სწავლობდნენ, რადგან ისტორიის მეშვეობით ქვეყნის მართვის ხელოვნების დაუფლებას იმედოვნებდნენ. დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი ადამიანები კი სულაც არ განიხილებოდნენ საზოგადოების წევრებად. ამიტომ ისტორია ანუ საზოგადოების ბიოგრაფია მათთვის არც იყო გამიზნული; ისტორიულ ცნობისმოყვარობას ისინი მხოლოდ ეპოსით იკმაყოფილებდნენ. მაგრამ XIX საუკუნიდან ვითარება არსებითად შეიცვალა. ესაა მოდერნულ ნაციათა ჩამოყალიბების ხანა. ნაციების კონსოლიდაციაში კი ხალხმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ისტორიოგრაფია მხოლოდ ვიწრო ჯგუფის საკუთრება და ინტერესის საგანი აღარ იყო, მას საზოგადოების ყველა წევრი უნდა დაუფლებოდა; ახლა საზოგადოების წევრები, მარტო დიდგვაროვნები, უზენაესი საერო და სასულიერო იერარქები კი აღარ იყვნენ, არამედ მთელი მოსახლეობა. დაიწყო ისტორიის სწავლება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ამან, ბუნებრივია, გამოიწვია კვლევისა და სწავლების მეთოდის დახვეწის აუცილებლობა, ისტორიოგრაფიული რეფლექსია¹¹. ფაქტობრივად, ისტორიული აზრის განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად ისტორიამ დაიწყო ჩამოყალიბება სისტემურ ცოდნად, იმად, რასაც დღეს ისტორიულ მეცნიერებას ვუწოდებთ.

¹¹ ტერმინი “რეფლექსია” წარმოდგება ლათინური სიტყვიდან “ასახვა” და ნიშნავს ცნობიერების მიმართვას საკუთარ თავზე. შესაბამისად, “ისტორიოგრაფიული რეფლექსია” ნიშნავს იმას, რომ ისტორიკოსები არა მარტო აღადგენენ წარსულს, არამედ იწყებენ ფიქრს, თუ როგორ ხდება შესაძლებელი ეს, ანუ იწყებენ ისტორიული შემეცნების მეთოდოლოგიისა და მეთოდის პრობლემების დამუშავებას.

თავი III

ისტორიის პროფესიონალიზაციის ისტორია

როგორ გადაიქცა ისტორია მეცნიერებად, რა არის “ემპირიციზმი”? რა გამოწვევების წინაშე დააყენა ემპირიციზმი ანალების ისტორიოგრაფიულმა სკოლამ? ისტორიული რეპრეზენტაციისას რას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა – მოვლენებს თუ სტრუქტურებს? როგორი უნდა იყოს გადმოცემის ფორმა აღწერითი თუ ანალიტიკური?

ემპირიციზმი

ისტორიისა და სოციოლოგიის ურთიერთმიმართებაზე საუბრისას ნაწილობრივ შეგვხვ ემპირიციზმის ისტორიის პროფესიონალიზაციის ისტორიას. ამ თავში ამაზე უფრო დავწვრილებით ვისაუბრებ. დავიწყებ ისტორიული რეპრეზენტაციის ტრადიციული (ზოგი მეცნიერის კვალიფიკაციით, სტატიკური) პარადიგმის – ემპირიციზმის განხილვით. ემპირიციზმად იწოდება როგორც ცოდნის თეორია ანუ ეპისტემოლოგია, ასევე ისტორიული ძიებების მეთოდი. ცოტა ისტორიკოსი თუ მოიძებნება, ვისაც ემპირიციზმი, როგორც მეთოდი, არ გამოუყენებია, მაგრამ ემპირიციზმს, როგორც ცოდნის თეორიას, ბევრი ისტორიკოსი კრიტიკულად ეკიდება. ისტორიისადმი ემპირიციზტული მიდგომა სათავეს იღებს “სამეცნიერო რევოლუციის” პერიოდიდან ანუ XVI და XVII საუკუნეებიდან. იგი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ძირითად მეთოდად იყო მიჩნეული. ემპირიციზმის ძირითადი პოსტულატი¹² აზრი იმის თაობაზე, რომ ცოდნის მიღების ერთადერთი გზა მატერიალურ სამყაროზე დაკვირვებით ემპირიული მონაცემების შეკრებაა. ეს იყო იმ დროისათვის რევოლუციური აზრი, არსებული საეკლესიო შეხედულებების თავისებური გამოწვევა. საეკლესიო თვალთახედვით, როგორც ითქვა, ისტორიის მსვლელობას ღვთაებრივი ნება განაპირობებს, მისი ფინალი ცნობილია.

¹² “პოსტულატი” ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს მტკიცებას, რომელიც წარმოადგენს თეორიის ამოსავალ დებულებას.

ემპირიციზმის განვითარებას ხელი შეუწყვეს განმანათლებელმა ფილოსოფოსებმაც, გამოიყენეს რა იგი ადამიანთა საზოგადოების შესასწავლად. ბევრი თანამედროვე საუნივერსიტეტო დისციპლინა, მათ შორის, ისტორია, წარმოიშვა XIX საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედში სწორედ ემპირიციზმის ფარგლებში. საუნივერსიტეტო პროფესიონალიზმის მჩვენებლად მიჩნეული იყო ისტორიული კვლევის საარქივო დოკუმენტებზე დაფუძნება.

ისტორიის დარგში პროფესიული სტანდარტების დამამკვიდრებლად ითვლებოდა გერმანელი ისტორიკოსი ლეოპოლდ ფონ რანკე, რომელიც მოღვაწეობდა ბერლინის უნივერსიტეტში 1824 წლიდან 1871 წლამდე. როგორც ემპირიციზმის მიმდევარმა და ერთგულმა დამცველმა, რანკემ უარყო ბევრი ის წყარო, რომელთაც მანამდე იყენებდნენ ისტორიკოსები. კერძოდ, სანდო ისტორიულ წყაროთა სიიდან სავსებით გამორიცხა მემუარები და ის გადმოცემები, რომლებიც ჩაწერილნი იყვნენ არა მოვლენის თანადროულად, არამედ შემდგომ. რანკე ასაბუთებდა, რომ მხოლოდ პირველადი წყაროები, რომლებიც მოვლენის დროს არიან შექმნილი, მიზანშეწონილია, რომ განხილულნი იყვნენ. როცა ამგვარ ავთენტურ¹³ და, შესაბამისად, ობიექტურ წყაროებში დაუნჯებულ ინფორმაციას შეაგროვებს, ისტორიკოსს შეუძლია აღადგინოს წარსული, ისე, როგორც ის იყო. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თავის ყველაზე უფრო უკიდურეს გამოვლინებაში ემპირიციზტულ (ანუ რანკესა და მისი მიმდევრების შეხედულებით, მეცნიერულ) ისტორიას, პოზიტივიზმამდე მივყვართ. XIX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი ოგიუსტ კონტი, რომელმაც ტერმინი გამოკვეთა “პოზიტივიზმი”, ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ადამიანური ისტორია გაგებულ უნდა იქნას ისევე, როგორც ბუნება ანუ ზოგადი კანონების ფარგლებში.

რანკე აგრეთვე მოითხოვდა, რომ ისტორიკოსებს თავი შეეკავებინათ წარსულის განსჯისაგან. მათი მოვალეობა იყო

¹³ “ავთენტური” ბერძნული სიტყვიდან წარმოდგარი ტერმინია. აღნიშნულ კონტექსტში ნიშნავს “პირველადს”. “ავთენტური წყარო” – ეს არის წყარო, რომელიც მომხდარი მოვლენის თავდაპირველი ანუ უშუალო ამსახველია.

უბრალოდ ის ეთქვათ, რაც მოხდა. ამ ყველაფრის პოლიტიკური კონტექსტი იყო ევროპაში ნაცია-სახელმწიფოების წარმოშობა. ისტორიკოსები თავიანთ ვალს ეროვნული სახელწიფოს სამსახურში ხედავდნენ. ამიტომაც პოლიტიკური ისტორიით და ოფიციალური დოკუმენტების შემცველი საარქივო მონაცემებით იფარგლებოდნენ. რანკეს უზარმაზარი ნაშრომი წარმოადგენდა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობის მქონე პოლიტიკურ და დიპლომატიურ ისტორიას. რანკეს გავლენა მის თანამედროვეებზე ძალიან დიდი იყო. მისი მოწაფეები თანამდებობებს იკავებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მათთვის ისტორიული საქმიანობის მიზანს ფაქტობრივი ცნობების მოძიება წარმოადგენდა.

ემპირიციისტული ისტორიოგრაფიის მთავარი დებულებანი იყო შემდეგი: ცნობების დეტალური ანალიზი, ცნობებისა, რომლებიც ზუსტი დამოწმებებით იქნებოდა შემაგრებული; გამოკვლევის დაუნაწევრებლობა ანუ თხრობა მკვლევრის პოზიციის გამომხატველი ჩანართების გარეშე; დასაბუთების ინდუქციური მეთოდი ანუ ისტორიული რეპრეზენტაცია მიმართული კონკრეტულიდან, ცალკეული ფაქტიდან ზოგადისაკენ.

ეს მეთოდი, ცხადია, წარსულის თავისებურ კონცეფციასაც შეიცავდა. პირველ რიგში, იგი უშვებდა, რომ წარსული არსებობს დამკვირვებლის გონების მიღმა, მისგან სავსებით დამოუკიდებლად. მეორე: თუ სამეცნიერო ისტორიოგრაფიის მეთოდებს აითვისებს და ზედმიწევნით გამოიყენებს, და თუ თავის კრედოდ აღიარებს ობიექტურობას, ისტორიკოსს შეუძლია ადექვატურად აღწეროს სინამდვილე. ანუ ობიექტური სინამდვილე, ემპირიციისტული ისტორიოგრაფიის თვალთახედვით, პრინციპულად შეცნობადია.

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ მიუხედავად სურვილისა, ძნელია წარსულის რეპრეზენტაციისას ისტორიკოსმა გამორიცხო სუბიექტივიზმი. ამიტომ ემპირიკოსთა აზრს სინამდვილის შეცნობადობის და ადექვატური აღწერის შესაძლებლობის შესახებ შემდეგდროინდელი ამერიკული ისტორიოგრაფია ირონიულად “ისტორიკოსთა კეთილშობილურ ოცნებას” უწოდებდა.

ემპირიციზმის დებულებები ძალიან გავლენიანი იყო ისტორიკოსთა შორის მთელი XX საუკუნის განმავლობაში. თვლიდნენ, რომ ისტორია არის მეცნიერება, რადგან ის ეფუძნება

წყაროებს, სრულიად გამოირიცხულია სუბიექტურობა და უნივერსიტეტებში სტუდენტებს ასწავლიდნენ როგორ ეწარმოებინათ წყაროთა ობიექტურ ანალიზი.

ისტორიულ ცოდნას ემპირიკოსები ადარებდნენ აგურებსა და ქვითკირს. ყოველი გამოქვეყნებული ნაშრომი წარმოედგინათ როგორც აგური და ამიტომ ისტორიკოსის შრომას ამსგავსებდნენ ხელოსნის შრომას. ისტორიკოსები იყვნენ მუშაკნი, რომლებიც აგურებს უმატებდნენ ისტორიის შენობას, ოღონდაც რომლის საერთო ჩანაფიქრი მათთვის უცნობი იყო. არტურ მარვიკმა (1936–2006) დოკუმენტებზე მუშაობის შვიდი კრიტერიუმი გამოჰყო. მათგან პირველი ოთხი ემსახურებოდა წყაროს ვერიფიცირებას ანუ მისი სანდოობის განსაზღვრას, ბოლო სამი კი უფრო ინტერპრეტაცია იყო, ვიდრე ვერიფიცირება. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმის გარკვევას, თუ ვისი ჩაწერილი იყო ინფორმაცია ანუ ვინ იყო წყაროს ავტორი. “მეცნიერული” ისტორიის მიმდევრები ანუ ემპირიკოსი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ისტორიკოსმა არ უნდა მოახვიოს თავისი კითხვები წყაროს, პირიქით, კითხვები უნდა წამოიჭრას თავად წყაროდან.

სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ემპირიციზმი ისტორიოგრაფიის ახალი მიმართულებების მხრიდან, რადგანაც ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული წყაროთა მიერ სინამდვილის ასახვის თავად შესაძლებლობაც კი. ემპირიკოსებს მიუთითებდნენ, რომ ენა კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ ის თავად აძლევს ფორმას ამ სინამდვილეს, რომ ნარატივი არ შეიძლება არ იყოს სუბიექტური, რომ დამოკიდებულება ისტორიკოსსა და რეალობას შორის ისე მარტივი არაა, როგორც ეს ემპირიკოსებს წარმოუდგენიათ. პირიქით, ის პრობლემურია, რადგან ისტორიკოსი თავად ირჩევს ფორმას, რომლის ჩარჩოშიც იგი აქცევს ფაქტობრივ მასალას. ემპირიციზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა იყო მიდგომა, რომელიც შემოიტანა ფრანგულმა ისტორიოგრაფიულმა სკოლამ, რომელსაც, მიღებული ტრადიციით, ანალების სკოლას უწოდებენ.

ანალების ისტორიოგრაფიული სკოლა

ისტორიკოსთა ვკვთვმა, რომლებიც ანალების სკოლად იწოდებიან, XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში შემოიტანეს

ყველაზე ფუნდამენტური სიანსლევები. ერთ-ერთი მათი თაყვანისმცემელი წერდა, რომ ანალების სკოლამ ააფეთქა ისტორიული ფაქტის პოზიტივისტური გაგება, დაამსხვრია არაწერილობით ცნობებზე დადებული ტაბუ, დააფუძნა ისტორიის დიალოგი სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან, უარყო მოვლენების აღწერაზე ორიენტირებული ისტორიოგრაფია, უარყო პოლიტიკური ისტორიის უპირატესობა იმით, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საზოგადოების ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, უარყო ცალკეული იზოლირებული პიროვნებების წარმომადგენელი ტრადიციული ბიოგრაფია, მგრძობელობის და გრძობების მოღუსების კვლევა აქცია სერიოზულ ისტორიულ ძიებათა საგნად.

ანალების მიმართულებას არ ხელმძღვანელობდა ერთი ისტორიკოსი, არც მკაფიოდ ჩამოყალიბებული თეორიულ პარადიგმა ედო მის მოქმედებას საფუძვლად. ამიტომაც, სპეციალისტების აზრით, სკოლად ამ მიმართულების მოხსენიება რამდენადმე პრობლემატურია. თუმც ანალების მიმართულებას საერთო პლატფორმას უქმნის გარკვეული თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც სრულად აისახა ჟურნალში “ანალები: ეკონომიკა, საზოგადოებები, ცივილიზაციები”.

ანალების მიმართულების კონცეპტუალური დაფუძნება მოხდა 1929 წელს, როცა სტრასბურგის პროფესორებმა ლუსიენ ფევრმა და მარკ ბლოკმა¹⁴ ჟურნალი გამოუშვეს (მაშინ მას ეწოდებოდა “ეკონომიკური და სოციალური ისტორიის ანალები”). აღნიშნული ჟურნალის გარშემო შემოკრებილი მეცნიერები უარყოფდნენ პოლიტიკური და დიპლომატიური ისტორიის თემების მონოპოლიას ფრანგულ ისტორიოგრაფიაში. მათ უნდოდათ მოემალათ საზღვრები ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის და ცდილობდნენ თავიანთი გამოკვლევებისათვის გამოეყენებინათ რაც შეიძლება მეტი სამეცნიერო დისციპლინის მონაცემები.

¹⁴ ფევრი ნანსში დაიბადა 1878 წელს და ბლოკზე რვა წლით უფროსი იყო, ის მასწავლებლის შვილი იყო. ბლოკი კი ცნობილი მეცნიერის, ძველი ისტორიის პროფესორის შვილი იყო.

ორი ათწლეულის გასვლის შემდგომ ანალების სკოლის ისტორიაში კვლავ დაფიქსირდა მოსაბრუნე ფაქტი. ეს იყო ფერნანდ ბროედელის ნაშრომის “ხმელთაშუა ზღვა და ხმელთაშუა ზღვის არეალი ფილიპე II დროს”. ბროედელმა შემოიღო მრავალფენიანი ისტორიული ქრონოლოგიის ცნება და ბიძგი მისცა რაოდენობრივი ისტორიით ისტორიკოსთა დაინტერესებას.

XX საუკუნის ადრეული 70-იანი წლებიდან ასპარეზზე გამოდის ანალების სკოლის მესამე თაობა. ისედაც საოცრად გამრავალფეროვნებულ და განახლებულ ისტორიულ პრობლემატიკას მათ დაუმატეს აქცენტი მენტალობებზე.

ლუსიენ ფევრისა და მარკ ბლოკის ნაშრომები ერთმანეთს ავსებდნენ. თავის სადოქტორო დისერტაციაში ფევრმა შეისწავლა საფრანგეთის გეოგრაფიული განვითარების და მატერიალური რესურსების გავლენა სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაზე. ფევრი შემდეგ გადაერთო რელიგიის ისტორიაზე. მისი ერთ-ერთი ცნობილი წიგნია “ურწმუნოების პრობლემა XVI საუკუნეში”. ლუსიენ ფევრმა ჰენრი ბერგსონის დიდი გავლენა განიცადა, კერძოდ, მისი იმ მტკიცებისა, რომ ინტუიცია უფრო მეტს ნიშნავს ადამიანის გასაგებად, ვიდრე მეცნიერული არგუმენტი. ბერგსონი აგრეთვე ინტერესდებოდა მრავალფენოვანი დროის კონცეპტით, ადამიანის შინაგანი სამყაროთი და ისტორიული მახსოვრობებით. ლ. ფევრის თანადროულ ლიტერატურაშიც ეხებოდნენ ამ საკითხებს, მაგალითად, მწერლები პრუსტი, ჯოისი. მიმართებას პირადულსა და სოციალურ შორის იკვლევდა ემილ დურკჰაიმიც. რაც სეეხება მ. ბლოკს, იგი საზოგადოების სტრუქტურების ყოველმხრივ ანალიზზე ახდენდა კონცეპტირებას. ამ ტიპის ნაშრომია “ფეოდალური საზოგადოება”. ის იკვლევდა არა მარტო მიწის მფლობელობის ფორმებს, არამედ მიწისმფლობელთა ურთიერთობას გლეხებთან, იმ ტრადიციებს, რომლის საფუძველზეც თითოეული ჯგუფი ფლობდა მიწას და რიტუალებს, რომლითაც საკუთრების გადაცემაზე გავლენას ახდენდნენ. ნაშრომში “სამეფო შეხება” ბლოკი სწავლობდა ხალხში გავრცელებულ რწმენას, რომ ძალაუფლების ლეგიტიმიზაცია ხდებოდა ხელისუფალთა სიწმინდით, რაც გამოიხატებოდა მეფეების უნარში შეხებით განეკურნათ სნეულნი.

ამგვარად, ფევრი და ბლოკი ერთად ქმნიდნენ ინტეგრირებულ ისტორიას ანუ ტოტალურ ისტორიას, როგორც თვითონ უწოდებდნენ, რომლის ინტერესის საგანი იყო არა მარტო პოლიტიკური ისტორია, არამედ ყველაფერი, რაც ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ხდებოდა. ორივეს გეოგრაფიული ინტერესების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ისტორიკოსმა პოლ ვიდალ დელა ბლახესმა (1843-1918), რომელიც შეეცადა გეოგრაფიის საშუალებით აეხსნა ომში საფრანგეთის დამარცხების მიზეზები. თუმცა ფევრი და ბლოკი განიხილავდნენ კონკრეტულ რეგიონებს, მათი გამოკვლევები ევროპის ისტორიას შედარებით კონტექსტში წარმოადგენდნენ.

ფრანგმა მეცნიერებმა შარლ ლანგლუამ და შარლ სეინობოსმა ჩამოაყალიბეს საარქივო დოკუმენტებზე დაფუძნებული ემპირიციტული ისტორიულ მეთოდი წიგნში “ისტორიულ კვლევის შესავალი” (1897). ეს იყო ძალიან დიდი მოცულობის ნაშრომი, რომელიც ამტკიცებდა ისტორიისათვის მეცნიერული კვლევის მეთოდების განსხვავებულობას. ანალების სკოლის დამფუძნებელი ლუსიენ ფევრი და მარკ ბლოკი თავად ამგვარ სამეცნიერო ტრადიციაზე იყვნენ აღზრდილნი, მაგრამ სწორედ ამ ტრადიციის დამსხვევკას ისახავდა მიზნად მათ მიერ შემოღებული ახალი ისტორიოგრაფიული მიდგომა.

ბროედელმა შემოიტანა ისტორიული დროის ახალი მოდელი და მკაფიოდ გაემიჯნა ამ საკითხში მისი თანამედროვეების გაგებას. თავისი დამოკიდებულება დროის პრობლემისადმი ბროედელმა გამოხატა ოკეანის მეტაფორით. ის განასხვავებდა ისტორიული დროის სამ ფენას, რომელთაგან თითოეული მოძრაობდა სხვადასხვა სიჩქარით და თითოეულს ჰქონდა თავისი ისტორიულ თემები. ბროედელის მიხედვით, ყველაზე ნელა მდინარებს ე.წ. ხანგრძლივი დრო. ის ასახავს ადამიანის მიმართებას გარემოსთან, მისი მდინარება შეუმჩნეველია და მისი ციკლები გრძელდება ასობით წელიწადს. ამის შემდგომია საშუალო დრო. ეს არის ნელი, მაგრამ მაინც ადამიანისათვის შესამჩნევი რითმის მქონე დრო. მის ხანგრძლივობას დაახლოებით ორმოცდაათი წლით განსაზღვრავდა ბროედელი. საშუალო დროის სიბრტყეში თავსდება, მეცნიერის აზრით, ისეთი

პროცესები, როგორცაა ეკონომიკური განვითარება, ფასები, მოსახლეობის რაოდენობაში ცვლილებები. დაბოლოს, მესამე ანუ მოკლე დრო ანუ მოვლენათა დრო ანუ ეფემერული დრო, რომელიც, ბროედელის აზრით, ისტორიის ოკეანის ქაფს წარმოადგენს. ესაა პოლიტიკური ისტორიის დრო.

სპეციალისტები ბროედელის შეხედულებების გარკვეულ მსგავსებას ხედავენ ფრანგი მეცნიერის კლოდ ლევი სტროსის (დაიბ. 1908) სტრუქტურალისტურ ანთროპოლოგიასთან, თუმცა პირდაპირი გავლენის მტკიცება შეუძლებლად მიაჩნიათ. სტრუქტურალისტები თვლიან, რომ ადამიანები სამყაროს ათვისებას ახდენენ იმით, რომ მას არგებენ საკუთარ მენტალურ სტრუქტურებს. ამ სტრუქტურების ერთი ნაწილი არის სინქრონული ანუ დროში უცვლელი.

ცხადია, რომ ბროედელის მიდგომა ისტორიისადმი, სტრუქტურალისტური იყო. ის უარყოფდა ტრადიციულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ისტორიის წარმართველები არიან მოვლენები და ხალხები. ბროედელისათვის ისტორიის წამმართველები არიან არა ადამიანები, არამედ გეოგრაფიული გარემო, მთები, ზღვები. ამიტომაც, რომ მის ზემოთ აღნიშნულ კლასიკურად მიჩნეულ ნაშრომში ხმელთაშუა ზღვის შესახებ, ადამიანური ფაქტორი თითქმის იგნორირებულია. დრო, რომელშიც მთები და ზღვები და სხვა ბუნებრივი მოცემულობები მოქმედებენ, არის ისტორიის ყველაზე ღრმა ფენა. სტრუქტურალიზმი სინქრონულ პროცესებს უფრო მიმართავს, ვიდრე ისტორიისათვის დამახასიათებელ დიაქრონულ განვითარებას.

ბროედელის მიმდევრები ისტორიაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით იყვნენ გატაცებულნი. ახლა ამ გატაცებას სკეპტიკურად უყურებს ზოგი მეცნიერი. მიუთითებენ, რომ 60-იანი წლების ანაღების სკოლის წარმომადგენლები გულუბრყვილო პოზიტივისტები იყვნენ და, მათი მცდარი აზრით, მხოლოდ იმის შესწავლა ღირდა, რის დათვლაც შესაძლებელი იყო.

თუმცა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ანაღების სკოლა კვლავ იცვლის თავისი კვლევის ფოკუსს. ლე გოფმა წერტილი დაუსვა გატაცებას რაოდენობრივი ისტორიით და მთელი ყურადღება მიაპყრო მენტალობების ისტორიას.

საზოგადოდ თუ ვიტყვით, ანალების სკოლის ისტორიკოსების ძიებანი მიმართული იყო სტრუქტურების ისტორიისადმი. ისინი ესწრაფოდნენ შეექმნათ ტოტალური ისტორია და გამოეყენებინათ სოციალურ მეცნიერებათა მეთოდები. ანალების სკოლის მიდგომამ ძალიან გააფართოვა ისტორიის საგანი. მენტალობათა ისტორიით შესაძლებელი გახდა წარსულის სრულიად ახალი პლასტი ყოფილიყო წარმოჩენილი.

ანალების სკოლის ერთ-ერთი კვლევითი პრეფერენცია, როგორც ითქვას, მენტალობათა შესწავლა იყო. მენტალობა კი გულისხმობს კულტურაში კოლექტიური თუ ინდივიდუალური ფსიქეს ნახევრადცნობიერი და ქცევითი მოტივაციების გამოვლინებათა შემთხვევებს. ასე რომ, გარკვეული იმპულსი ფსიქოისტორიამ, რომლის შესახებაც მომდევნო პარაგრაფში იქნება საუბარი, ანალების სკოლისაგანაც მიიღო.

ფსიქოისტორია

ფსიქოისტორიის, როგორც ისტორიული ქვედისციპლინის, ჩამოყალიბება დაკავშირებულია ფროიდის მიერ შემუშავებულ ფსიქოანალიზის კლინიკურ მეთოდთან.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფროიდის თეორიამ შეცვალა XX საუკუნის ინტელექტუალური კლიმატი, სრულად გარდაქმნა ჩვენ მიერ საკუთარი თავისა და საზოგადოების მოაზრება, ყოველდღიურ ენაში დაამკვიდრა ისეთი ცნებები როგორც არის “ეგო”, “სუპერეგო”, “ფსიქოანალიზი”, “ქვეცნობიერი” და ა.შ., გავლენა მოახდინა არა მარტო მედიცინაზე, არამედ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, განათლებაზე, სოციალურ მეცნიერებებზე და ისტორიოგრაფიაზეც. წარსულში დაიწყო ძიება არაცნობიერისა, დამალულისა, როგორც ადამიანური ისტორიის ჩამოყალიბებისათვის განმსაზღვრელი ფაქტორისა. ისტორიოგრაფიაში მანამდე გამოყენებულ მეთოდოლოგიებს შორის ფსიქოანალიზს ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რადგან იგი კითხვის ქვეშ აყენებდა ისტორიკოსთა ფუნდამენტურ წარმოდგენებს ისტორიული მეთოდოლოგიის შესახებ, წყაროების გამოყენების შესახებ, თავად ადამიანის ბუნების შესახებაც კი.

ისტორიული პროცესისადმი ფსიქოლოგიური მიდგომა, ცხადია, ფროიდის ნაშრომებიდან არ იღებს სათავეს. უკვე ძველი ისტორიკოსები წერდნენ ისტორიის მთავარ მოქმედ პერსონაჟთა ხასიათების თაობაზე და იყენებდნენ ადამიანის ფსიქოლოგიას, როგორც საფუძველს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის განმარტებისათვის. კოლექტიური ფსიქეს ცნება, რომელმაც გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი განვითარების ხასიათზე, ცნობილი იყო უკვე XVIII საუკუნეში. XIX საუკუნეში “ნაციონალური ხასიათი” გადაიქცა ფართოდ განხილვის თემად. XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე საუბრობდნენ ფსიქოლოგიაზე, როგორც ისტორიის მამოძრავებელზე. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი შრომები, როგორიცაა გუსტავ ლე ბონის “მასების ფსიქოლოგია” (1895), მაქს ვებერის “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული” (1904); იოჰან ჰუიზიგას “შუა საუკუნეების მინავლვა” (1924) კი იყო გზის გამკვალავი ნაშრომი შუა საუკუნეების ფაქტების მიმართ ფსიქოისტორიული მიდგომის გამოყენების საქმეში.

კოლექტიური ფსიქოლოგიის შესწავლას ცდილობდნენ, როგორც ითქვა, ანალების სკოლის ისტორიკოსები, რომლებმაც გამოკვეთეს ახალი კონცეპტი “მენტალობანი”. ამ ტერმინით აღინიშნებოდა კოლექტივის ფსიქოლოგიის ნახევრადცნობიერი და არაცნობიერი.

მაგრამ ფსიქონალისტური ისტორია არის არა ზოგადად წარსულის მოვლენების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, არამედ კონკრეტულად ფსიქონალიზის მეთოდის გამოყენება ისტორიული მოვლენების ასახსნელად.

ფსოქონალიზის მეთოდების ისტორიულ პრაქტიკაში შემოტანამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ისტორიკოსები ჩვეულნი იყვნენ ფაქტებისათვის რაციონალური ახსნა გამოენახათ, მაშინ როცა ფსიქონალიზის თეორია თავისი კვლევის ფოკუსში აქცევს ადამიანურ ქმედებათა არაცნობიერ მოტივაციას. იგი მთავარ ყურადღებას ამახვილებს შინაგან სამყაროზე, რადგან მიიჩნევს, რომ გასაღები ადამიანის მოქმედებების ასახსნელად არის არა გარეშე პირობები, არამედ ინდივიდის შინაგანი სამყარო.

ფროიდს სჯეროდა, რომ თუ სოციალური ჯგუფების წარსულის მიმართ გამოვიყენებდით ფსიქოანალიზის მეთოდს, ადვილად ავხსნიდით არა მარტო კოლექტიურ ფსიქოზებს, არამედ მითოლოგიის, რელიგიის და თავად ადამიანური ცივილიზაციის წარმოშობასაც კი.

ფსიქოანალიზის თეორიის გაზიარება არსებითად ცვლის ისტორიკოსის დამოკიდებულებას საკუთარი დისციპლინისადმი, იგი სრულიად სხვაგვარად უდგება წყაროებს, იწყებს მათ წაკითხვას მეტი თანაგანცდით და მეტ გაგებასაც აღწევს. ისტორიის ნამდვილი ორკესტრისრება შეუძლია მხოლოდ ფსიქოანალიტიკოს ისტორიკოსს – ასე ფიქრობს ამგვარი ისტორიის ერთ-ერთი თავგამოდებული დამცველი პიტერ გეი.

ისტორიული რეპრეზენტაციისას ფსიქოლოგიის ელემენტებს, როგორც უკვე ითქვა, ანტიკური ხანიდან იყენებდნენ, მაგრამ ფსიქოისტორიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, შეიძლება ითქვას, რომ სათავე დაუდო ფროიდმა ნაშრომით “ლეონარდო და ვინჩი და მისი ბავშვობის მოგონებები” (1910). ამ ნაშრომის მეტად დამაინტრიგებელმა დასკვნებმა (მაგალითად, ერთ-ერთი დასკვნის მიხედვით, ლეონარდო იყო ჰომოსექსუალისტი) ბიძგი მისცა ასევე დამაინტრიგებელი ბიოგრაფიების სერიის გაჩენას, რომელთა უმეტესობამ ვულგარულობისა თუ არასაკმაო სამეცნიერო არგუმენტაციის გამო ზიანი უფრო მიაყენა ფსიქოანალიზის მეთოდს¹⁵, ვიდრე შესძინა რამე. ფსიქოისტორია

¹⁵ თავის ნაშრომებში ფროიდს ვერცლად აქვს განმარტებული ფსიქოანალიზის მეთოდის არსი. არასპეციალისტებისათვის ამ ვრცელ სისტემას მოკლედ გადმოცემენ ოთხი შემდეგი პოსტულატის სახით: 1. ბავშვობის გამოცდილებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მოზრდილის ქცევების ჩამოყალიბებისათვის; 2. არსებობს საფეხურები, რომელსაც გადის ყველა ინდივიდი მომწიფების ხანგრძლივ პერიოდში; 3. მოზრდილთა ქცევა დიდად არის განპირობებული არაცნობიერით; 4. არსებობს მოზრდილის ქცევის განვითარებაში დიალექტიკური პროცესი, რომელიც გულისხმობს ფსიქიკური კონფლიქტის არსებობას. ფროიდის იდეები ბავშვთა სექსუალობის შესახებ არის ზემოთ მითითებული ორი პირველი ფაზის განმსაზღვრელი. ფროიდს მიაჩნდა, რომ ადამიანები იბადებიან მძლავრი სექსუალური ლტოლვით. სხვადასხვა

და ფსიქონალიზი, როგორც ამხსნელობითი სისტემა, განსაკუთრებით მოღური მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდა, როცა დაიწეს ჰიტლერის პიროვნების და ფაშიზმის ფენომენის განხილვა ფსიქონალიზის მეთოდით.

1957 წელს უილიამ ლანგერმა – ამერიკის ისტორიული ასოციაციის პრეზიდენტმა – თავის მიმართვაში ხაზი გაუსვა, რომ ფსიქონალიტიკური მიდგომა შეიძლება დაეხმაროს ისტორიას. ლანგერი ისტორიკოსებს მოუწოდებდა, რომ ისტორიის შემეცნება გაეღრმავებინათ თანამედროვე ფსიქოლოგიის ცნებებით და მიღწევებით. იგი სწორედ ფსიქონალიზის მეთოდს გულისხმობდა.

პრაქტიკულად ამ მიმართვის სინქრონულად (1958) გამოქვეყნდა ერიკ ერიქსონის ნაშრომი “ახალგაზრდა ლუთერი”, რომელიც გახდა მაუწყებელი ახალი ინტერდისციპლინური სამეცნიერო სფეროს წარმოშობისა¹⁶. უ. ლანგერი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფსიქონალიზს შეუძლია აღმოაჩინოს ირაციონალური და ცნობიერიდან არაცნობიერში განდევნილი მოტივაციები არა მარტო ცალკეული ინდივიდების ბიოგრაფიებში, არამედ მთელი სოციალური ჯგუფების ცხოვრებაში და ამის

ასაკში ლტოლვას (ლიბიდოს) აქვს სხვადასხვაგვარი გამოვლინება, მაგრამ უსათუოა, რომ იგი არსებობს უკვე ადრეული ბავშვობის ასაკიდან. ფროიდის მითითებით, ადამიანის პიროვნება შედგება სამი ელემენტისაგან *იდ-ისაგან*, რომელიც არის პიროვნების შეუნიღბავი *მე*, რომელსაც წარმართავს სექსუალური ლტოლვა ანუ ლიბიდო; *სუპერეგო-საგან* – ესაა ის სოციალური, კულტურული, ოჯახური ჩარჩოები, რომელშიც არსებობს პიროვნება და რომელსაც მან უნდა ანგარიში გაუწიოს; და *ეგო-საგან* – ესაა უნიკალური თვითი, რომელიც *იდ-ისა* და *სუპერეგო-ს* სინთეზს წარმოადგენს. უფრო ზუსტად, ეს არის *ეგო* ანუ *მე*, რომელშიც სუპერეგოს ანუ სოციალური მეს მიერ გარკვეული კულტურის არტახებში არის მოქცეული იდი ანუ ბიოლოგიური მე. ფროიდის შემდგომი ფსიქონალიტიკოსი ისტორიკოსები მეტ აქცენტს აკეთებდნენ “ნორმალურ” ადამიანებზე, მაშინ როცა ფროიდი, ძირითადად ეყრდნობოდა თავის გამოცდილებას, რომელიც კლინიკური პრაქტიკიდან ჰქონდა მიღებული.

¹⁶ ზოგი მკვლევრის აზრით, სწორედ ეს ფაქტები და არა ფროიდის ზემოთ ხსენებული ნაშრომი არის მაუწყებელი ახალი ისტორიული დისციპლინის დაბადებისა.

გამო ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიისათვის. ე. ერიქსონის ნაშრომი კი ფროიდის ზემოხსენებული ნაშრომისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ მას ისტორიულ რეპრეზენტაციაში უფრო მეტი ხარისხით შემოჰყავდა სოციალური კონტექსტი. ერიქსონმა ფროიდისეული კონცეფცია მოზრდილი ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაზე და მოქმედებებზე ბავშვობისდროინდელი ფსიქოლოგიური განვითარების დიდი გავლენისა, ჩაანაცვლა ეგო-ფსიქოლოგიის კონცეპტით, რომელიც ფოკუსირებას ახდენდა ინდივიდის გარემოზე და მისი ქმედებების მოტივაციის განსაზღვრისას მხედველობაში იღებდა არა მარტო ბავშვობის, არამედ შემდგომი განვითარების გავლენასაც. ერიქსონის მიერ შემოტანილი ეგო-ფსიქოლოგიის კონცეპტი, ისტორიისა და ფსიქოანალიზის უფრო ნაყოფიერ შერწყმას წარმოადგენს, ვიდრე თავად ფროიდის კონცეფცია. ერიქსონმა ნევროზების მქონე ინდივიდები კი არ მოაქცია თავისი კვლევის ფოკუსში, როგორც ეს ჰქონდა ფროიდს, არამედ შემოგვთავაზა ნორმალური განვითარების მოდელი ადამიანის რვა ასაკის ფარგლებში. იგი მიუთითებდა, რომ ადამიანის განვითარება ორგანიზმის სტრუქტურისა და სოციალური ინსტიტუციების შერწყმის შედეგია. ერიქსონმა ეს იდეები მოხაზა თავის ნაშრომში “ბავშვობა და საზოგადოება”. ერიქსონი ამტკიცებდა, რომ კულტურა ამუშავებს ბიოლოგიურ მოცემულობას და ფსიქოანალიზი, რომელიც ამას არკვევს, არის არსობრივად ისტორიული მეთოდი. ერიქსონის აზრით, ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარება გრძელდება მისი ბავშვობის ასაკის შემდგომაც.

ეს მიდგომა სრულად ახალ შესაძლებლობებს ხსნიდა ფსიქოანალიზისათვის ისტორიაში, რადგან იგი ემყარებოდა მოზრდილთა ფსიქოლოგიის შესწავლას. ფროიდისეული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კი სწორედ ის იყო, რომ წყაროებში ისტორიულ პერსონაჟთა ბავშვობის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია ან სულ არ არის, ან ძალიან მწირია.

მომდევნო დეკადაში ფსიქოისტორია განმტკიცდა, როგორც ერთ-ერთი ისტორიული დისციპლინა. იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მოქმედებდა ამ დარგის სამეცნიერო სემინარები. სემინარს

ჰარვარდში, მაგალითად, ერიკ ერიქსონი უძღვებოდა, მასაჩუსეტსში კი – ბრუკ მაზლიში. ამ უკანასკნელმა 1970 წელს წერილით “რა არის ფსიქოისტორია?” მიმართა დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოებას. ამავე ხანებში გამოსვლას იწყებს აღნიშნული პროფილის ბევრი სამეცნიერო ჟურნალი.

ფსიქოანალიტიკოს ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს არა მარტო ინდივიდები, არამედ მასები. უილიამ ლანგერი, მაგალითად, სწავლობდა მასების რექციას შავ სიკვდილზე.

ისტორიული ფსიქოანალიზის უმთავრესი პრობლემაა შესაბამისი მასალის მოძიება. ყველა დეტალს ენიჭება დიდი მნიშვნელობა: ენას, წყაროს სტრუქტურას. ამ მიდგომისათვის ავტობიოგრაფია, მემუარები ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა. ფაქტობრივად, ფსიქოანალიტიკურმა ისტორიამ მოახდინა ემპირიციზმის მიმდევარ ისტორიკოსთა მიერ დაგმობილი წყაროთა ამ ტიპის რეაბილიტაცია. ამ სახის წყაროებს, როგორც ითქვა, რანკე და მისი მიმდევრები არასანდოდ მიიჩნევდნენ სუბიექტურობის გამო.

ისტორიული მასალის ფსიქოანალიტიკური რეპრეზენტაციის ჩარჩოებში საინტერესო ფაქტები გროვდება შუა საუკუნეებისა და თანამედროვე საზოგადოების შედარებითი შესწავლისათვის. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია რ. ბელის გამოკვლევა “წმინდა ანორექსია”. რ. ბელი ერთმანეთს ადარებს როგორც სიმპტომების, ასევე მიზეზების თვალსაზრისით მარხვაზე მყოფ ქალებს შუა საუკუნეებში და თანამედროვე ქალბატონებს, რომელთაც აქვთ ანორექსიის (საჭმლის მიუღებლობა) ნევროზი. ეს გამოკვლევა ეფუძნება იტალიელ წმინდანთა ცხოვრებებს, იმ სახეებს, რომელსაც წარმოადგენენ ჰაგიოგრაფები და მორწმუნები მოგონებებში, ასევე კანონიზაციის დოკუმენტებს და კლინიკურ მონაცემებს. ანორექსია, იქნება ეს თანამედროვე თუ შუა საუკუნეების, აღნიშნული მკვლევრის აზრით, ნაწილია პატრიარქალური საზოგადოებისაგან განსათავისუფლებლად მიმართული უფრო ფართო ფემინისტური ბრძოლისა.

არსებული ფსიქოისტორიული ლიტერატურა შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ჯგუფად. ესაა, ერთის მხრივ, ინდივიდთა

შესწავლა (ფსიქობიოგრაფია) და, მეორეს მხრივ, ჯგუფების და საზოგადოებების ფსიქიკის კვლევა.

როგორც ითქვა, ფსიქოისტორიას ჰყავდა და ჰყავს ბევრი კრიტიკოსი. ზოგი მკვლევარი მას საერთოდ არ თვლის მეცნიერებად. მაგალითად, ფსიქოისტორიის მიმართულების მიმდევრებს იმას საყვედურობენ, რომ მათ დიდი სოციალური მოვლენების ახსნა ადამიანურ ემოციებზე დაჰყავთ. მიუთითებენ იმასაც, რომ წარსულის მიმართ ფსოქოანალიზის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, რადგან ფსიქოანალიზი შეიძლება ჩაუტარდეს მხოლოდ ცოცხლებს.

ფსიქოანალიზის მეთოდის ისტორიაში გამოყენების მომხრეები კი მახვილს იმაზე აკეთებენ, რომ საჭიროა განვითარდეს ფსიქოანალიტიკური ისტორია და არა უბრალოდ ფსიქოისტორია. მათი განმარტებით, ფსოქოანალიტიკური ისტორია არის წარსულის რეპრეზენტაციის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს, როგორც საკუთრივ ისტორიულ ანალიზს, კომბინირებულს სოციალური მეცნიერებების თეორიებთან, ისე – ფსიქოლინამიკის თეორიებთან და კლინიკურ მონაცემებთან. სწორედ ეს კომბინაცია უზრუნველყოფს იმას, რომ ფსიქოანალიტიკურ ისტორიაში წარმოდგენილია წარსულის უფრო სრული ხედვა, ვიდრე ეს ხდება სხვა მიდგომების ჩარჩოებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: არ იქნებოდა სწორი ისტორიული მეცნიერების ამხსნელობით საშუალებათა სისტემაში მოგვეხდინა ფსიქოანალიზის მეთოდის მნიშვნელობის აბსოლუტიზება, არც მისი სავსებით უგულვებელყოფა ჩანს მართებული: ისტორიის კვლევის ობიექტი ხომ ადამიანები და ადამიანთა საზოგადოებებია, რომელთა სწორი გაგებისათვისაც ყოველთვის მიზანშეწონილია არა მარტო სოციალური, არამედ ფსიქოლოგიური კონტექსტის გათვალისწინება.

ნარატიული, აღწერილობითი ისტორიოგრაფიის და ანალიტიკური, სტრუქტურების შესწავლაზე ორიენტირებული, ისტორიოგრაფიის შედარებითი დახასიათება

ჩვენს დრომდე ბევრად ადრე, კერძოდ, განმანათლებლობის ეპოქაში მტკიცება იმის შესახებ, რომ წერილობითი ისტორია

უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მოვლენათა თხრობა, უკვე იყო შეტევის ობიექტი. ეს შეტევა განახორციელეს ვოლტერმა და სოციალური თეორიის შოტლანდიელმა სპეციალისტმა ჯონ მილარმა. ეს უკანასკნელი წერდა, რომ მოვლენების ზედაპირული აღწერა მხოლოდ ვულგარული ისტორიკოსის ყურადღებას თუ მიიპყრობს.

მეორე “შეტევა” მოვლენების თხრობით, აღწერილობით ისტორიაზე მიიტანეს XX საუკუნის პირველ ათწლეულებში. მაგალითად, ბრიტანეთში გამოჩნდნენ ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მთავარია სტრუქტურების ანალიზი და არა მოვლენათა უბრალო მოთხრობა. საფრანგეთში წარმოშობილი ანალების სკოლის წარმომადგენლების მთავარ პლატფორმას, როგორც უკვე ითქვა, სწორედ სტრუქტურების ისტორიისათვის უპირატესობის მინიჭება წარმოადგენდა. ლუსიენ ფევრი და ფერნანდ ბროდელი მოვლენებს განიხილავდნენ, როგორც ისტორიის ოკეანის ზედაპირს, რომლებიც მხოლოდ ავლენენ ფუნდამენტური მნიშვნელობის ღრმად მიმალულ კანონზომიერებებს.

ასე რომ, თუ ფართო მკითხველი მოვლენების აღწერილობითი ისტორიის ერთგული რჩებოდა, სამეცნიერო პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო მეტ დანტერესებას იჩენდნენ სტრუქტურებისადმი. ზოგმა ისიც კი შენიშნა, სტრუქტურების ისტორიაც გარკვეული ნარატივის ფორმას იღებდა, თუმცა სხვებს მართებულად არ მიაჩნიათ ნარატივის ცნების შინაარსის ამგვარი გაფართოება. ამასთან ერთად ზაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ უნდა განვასხვავოთ ნარატივი, რომელიც არსებობდა ადრე, იმისაგან, რაც ახლა არსებობს.

ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ნარატიული ისტორია კვლავ აღდგა თავის უფლებებში. ამ ფაქტს თავისებურად არეკლავს ინგლისელი ლორენს სტოუნის სტატია “ნარატივის აღორძინება”, რომელიც 1979 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც ისტორიკოსებს შორის დიდი რეზონანსი ჰქონდა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორგვარი ინტერესი ისტორიული ნარატივისადმი, რომელიც ისტორიკოსთა შორის გვხვდება. ზოგიერთისათვის თავად ნარატივია მთავარია. სხვებს კი ნარატივის სხვადასხვა ფორმა აინტერესებთ იმდენად, რამდენადაც

იგი ისტორიული რეალობის მრავალასპექტიანი გადმოცემის საშუალებას იძლევა.

ნარატივის ანუ დესკრიფციული (ე.ი. აღწერილობითი) ისტორიოგრაფიის მოწინააღმდეგენი მიუთითებენ, რომ სტრუქტურების შემეცნება უფრო მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ მოვლენების თხრობით წარსულის მრავალი ასპექტი შეუმჩნეველი ხდება. შეუმჩნეველი რჩება რიგითი ადამიანების ცხოვრებაც, რადგან, ჩვეულებრივ, ნარატივი მხოლოდ პოლიტიკურ ისტორიას წარმოაჩენს. პოლიტიკურ ისტორიაში კი ჩანან ლიდერები და არა საზოგადოების რიგითი წევრები. სწორედ ლიდერთა ცხოვრება კრავს დესკრიფციული ისტორიოგრაფიის შემთხვევაში ისტორიული ნარატივის სიუჟეტურ ქარგას. ეს კი ან საერთოდ არ ტოვებს ადგილს ადამიანთა მასებისათვის ანდა აიგივებს ლიდერს და მასას ერთმანეთთან.

ასეთია სტრუქტურალისტ ისტორიკოსთა მთავარი არგუმენტი ტრადიციული ისტორიოგრაფიის მომხრეების წინააღმდეგ. თავის მხრივ, ნარატივის მომხრენი მიუთითებენ სტრუქტურების სტატიკურ ხასიათზე, რის გამოც თვლიან, რომ ისინი არაისტორიულია თავისი არსით და, ამდენად, არც უნდა იყოს ისტორიკოსთა ინტერესის საგანი.

მოვლენების მოთხრობის მომხრე ისტორიკოსები და სტრუქტურათა შესწავლის მომხრე ისტორიკოსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო იმით, თუ რას აქცევენ ისინი თავიანთი შესწავლის საგნად, არამედ იმითაც თუ მოპოვებული მასალის ახსნის რა სტილს ირჩევენ. “ნარატივისტები” ფაქტებს ხსნიან ინდივიდთა ხასიათითა და მათი განზრახვების გამოამკარავებით, “სტრუქტურალისტები” კი ამ ტიპის ფაქტებს ზედაპირულად მიიჩნევენ და ახსნას ცდილობენ სტრუქტურათა შინაგანი ბუნების გათვალისწინებით.

ცნობილი თანამედროვე ბრიტანელი კულტურული ანთროპოლოგის პ. ბერკის აზრით, ორივე მხარე შეიძლება დავადანაშაულოთ იმაში, რომ ისინი მარტივად უყურებენ მოვლენებისა და სტრუქტურების განცალკევების საქმეს. ეს არც ისე მექანიკური ამოცანაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ამიტომ პ. ბერკი თვლის, რომ უმჯობესია, ამ ორი

მიმართულების მიმდევრებმა კვლევის გამოცდილების ურთიერთგამდიდრება სცადონ.

როგორც ითქვა, ტრადიციული ნარატივი განსხვავდება თანამედროვე ნარატივისაგან. ისტორიკოსები სულ უფრო ახალ და ახალ ფორმებს ეძიებენ, რომ უფრო სიღრმისეულად ასახონ სინამდვილე. XX საუკუნის 70-იან წლებში ანთროპოლოგმა კლიფორდ გერტცმა შემოიტანა ტერმინი “სქელი აღწერა” იმ კვლევითი ტექნიკისათვის, რომელიც გულისხმობს განსხვავებული კულტურის კონკრეტული პრაქტიკისა და მოვლენების ზუსტ და დეტალურ აღწერას. ამის ანალოგიით, უკვე ნახსენები პ. ბერკი თვლის, რომ აღწერის მსგავსად ნარატივიც შეიძლება იყოს, როგორც “თხელი”, ისე “სქელი”.

იმისათვის, რომ ნარატივი გავხადოთ “სქელი”, უნდა აღვწეროთ არა მარტო მოვლენების თანამიმდევრობა და მოვლენათა მოქმედი პირების ცნობიერი გადაწყვეტილებები, არამედ სტრუქტურებიც და სტრუქტურებისა და მოვლენების ურთიერთკავშირიც; ეს აღწერა უნდა მოიცავდეს ახსნას თუ როგორ მოქმედებს არსებული სტრუქტურები მოვლენებზე: აფერხებს მათ თუ, პირიქით, აჩქარებს.

ფრაზა “ახალი ისტორია” კარგად არის ცნობილი საფრანგეთში. ასეთი იყო სათაური სტატიების კრებულისა, რომელიც გამოიცა ცნობილი ფრანგი მედიევალისტის ჟან ლე გოფის მიერ. აქ იყო ახალი პრობლემები, ახალი მიდგომები და ახალი ობიექტები, მოკლედ, “ახალი ისტორია”. ეს, ფაქტობრივად, არის ისტორიოგრაფიული მიმართულება, რომელიც უკავშირდება ანალების სკოლას.

მაინც რა იყო “ახალი ისტორია”? პოზიტიური დეფინიცია საკმაოდ რთულია. არსებითი ისაა, რომ “ახალი ისტორია” სტრუქტურალისტური ისტორიაა. “ახალი ისტორია” ფაქტობრივად წარმოადგენს საპასუხო რეაქციას ისტორიის წერის ტრადიციულ პარადიგმაზე. ტრადიციული ისტორიოგრაფიას შეიძლება ვუწოდოთ რანკეს ისტორია, ისტორიკოს ლეოპოლ ფონ რანკეს (1795-1886) სახელის მიხედვით, თუმც სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავად რანკე უფრო ნაკლებად იყო ამგვარი პარადიგმით შეზღუდული, ვიდრე მისი მიმდევრები.

ტრადიციული პარადიგმის მიხედვით, როგორც ითქვა, ისტორია ექსკლუზიურად პოლიტიკას უკავშირდებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია ვიქტორიანული ეპოქის კემბრიჯის უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის სერ ჯონ სილის გამონათქვამი, რომ “ისტორია ეს წარსულის პოლიტიკაა, პოლიტიკა, ეს თანამედროვეობის ისტორიაა”.

მაგრამ პოლიტიკა უკავშირდება სახელმწიფოს და ამიტომაც ტრადიციული ისტორიოგრაფია იყო ნაციონალური, ნაკლებად ინტერნაციონალური და კიდევ უფრო ნაკლებად ლოკალური. თუმცა იგი მოიცავდა ეკლესიას როგორც ინსტიტუციას, ომებს, აგრეთვე, ხელოვნების ისტორიას, მეცნიერების ისტორიას და ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეს სფერო ამ პარადიგმიდან სავსებით გამორიცხული არ იყო, მაგრამ ამ საკითხებს პოლიტიკის და დიპლომატიის ისტორიასთან შედარებით ჰქონდათ მარგინალური¹⁷ მნიშვნელობა. ამისაგან განსხვავებით, “ახალი ისტორია” ეხება ადამიანის აქტივობის ყველა ფორმას, ისეთ თემებსაც კი როგორცაა სიჩუმე, ჟესტები, სისუფთავე და სხვა. ანუ ყველაფერს იმას, რაც ადრე უცვლელ კატეგორიებად ეჩვენებოდათ და რასაც ახლა კულტურულად კონსტრუირებულად და დეტერმინებულად თვლიდნენ.

ისტორიის წერის ტრადიციული პარადიგმა იყო მოვლენების აღწერა, მაშინ როცა “ახალი ისტორია” უმეტესად არის ანალიტიკური. ისტორიის წერის ტრადიციული პარადიგმა იყო “ხედი ზემოდან”, აქცენტი კეთდებოდა დიდ ადამიანებზე: მეფეები გენერლები, უმაღლესი სასულიერო იერარქები არიან ამ ტიპის ისტორიოგრაფიის ფოკუსში, მაშინ, როცა “ახალ ისტორიაში” ფოკუსში უმეტესად მოქცეულია “ხედი ქვემოდან” ანუ სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი ფენებია გამოკვლევის ცენტრში; სახალხო კულტურა და ტრადიციები იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას.

¹⁷ “მარგინალია” არის ლათინური სიტყვიდან “კიდე” წარმომდგარი ტერმინი და ნიშნავს ბეჭდური წიგნის ან ხელნაწერის კიდეზე, არშიაზე მოთავსებულ მინაწერს. “მარგინალური” არის “მარგინალისთან” დაკავშირებული. გადატანითი აზრით კი, “მარგინალური” ნიშნავს ნაკლებ მნიშვნელობის მქონეს.

ტრადიციული ისტორიოგრაფია, როგორც ითქვა, ეფუძნება ოფიციალურ დოკუმენტებს, “ახალი ისტორია” კი მუდმივად ახალი ტიპისა და სახეობის წყაროთა ძიებაშია, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანია და საინტერესოა საზოგადოება მთლიანად, სოციალური მარგინალების ჩათვლით.

ტრადიციული ისტორიოგრაფისათვის მთავარია იმის გარკვევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, “ახალი ისტორიისათვის” არანაკლებ მნიშვნელოვანია ის თუ როგორ აღიქმებოდა ის, რაც მოხდა.

ისტორიული ნარატივის პრობლემა

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ამბის გადმოცემა არის ისტორიის წერის და ისტორიული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. ზოგი ისტორიკოსი იმასაც კი მიუთითებს, რომ ეს არის ისტორიის დისციპლინის უმთავრესი მახასიათებელი. ზოგი მკვლევარი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ისტორია არის ნარატივის პირმო, რომ ისტორია განისაზღვრება უფრო მეტად მისი დისკურსის¹⁸ ტიპით, ვიდრე კვლევის ობიექტით. მოთხრობის გადმოცემისას უმთავრესი არის ისეთი ნარატივის აგება, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ეს ნაწილები ისე არიან ორგანიზებული, რომ თანამიმდევრულად წარმოადგენენ მოვლენებს. გარკვეული პირობითობით ნარატივის არსის გასაგებად წარმოვადგინოთ ლოურენს სტოუნისეული დეფინიცია:

“ნარატივი ემსახურება იმას, რომ მასალა გააწყოს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და ფოკუსირება მოახდინოს ერთიან მწყობრ ამბავზე, რომელიც, შესაძლოა, შედგებოდეს ქვე-მოთხრობებისაგან. უმთავრესი ნიშანი, რომლითაც ნარატიული ისტორია განსხვავდება სტრუქტურული ისტორიისაგან არის ის, რომ ის უფრო მეტად აგებულია აღწერილობითად, ვიდრე ანალიტიკურად და მისი უმთავრესი ფოკუსი არის პიროვნებებზე და არა მოვლენებზე. ამიტომაც ნარატივს საქმე აქვს კერძობითთან და სპეციფიკურთან უფრო მეტად, ვიდრე კოლექტიურთან და სტატისტიკურთან. ნარატივი არის

¹⁸ საკითხის ზეპირი ან წერილობითი განხილვა, დებატები.

ისტორიული მწერლობის მოდუსი, მაგრამ ის არის მოდუსი, რომელიც გავლენას ახდენს მეთოდზე და შინაარსზე და თავადაც განიცდის მათ გავლენას”.

ამ დეფინიციაში ორი უმთავრესი ფრაზა მოითხოვს სპეციალურ განმარტებას. პირველი ისაა, რომ ნარატივი არის ერთიანი მწყობრი მოთხრობა, ხოლო მეორე ის, რომ ნარატივი აღწერილობითია და არა ანალიტიკური.

ნარატივს ესაჭიროება მოთხრობის სიმწყობრის მაღალი ხარისხი, რომელიც იცვლება ნარატივის დონის მიხედვით. საზოგადოდ, ისტორიული ნარატივის ოთხ დონეს გამოყოფენ: მიკრონარატივი ეხება კერძობით მოვლენას, მოზრდილი ნარატივი ცდილობს ახსნას ისტორიის უფრო დიდი სეგმენტი, დიდი ნარატივი ერთიანი ისტორიის თხრობას გვაძლევს, დაბოლოს, არსებობს მეტანარატივიც, რომელიც ემყარება გარკვეულ კოსმოლოგიას და მეტაფიზიკურ საფუძვლებს. ამ უკანასკნელის კარგი მაგალითად ქრისტიანობა.

როგორ ახერხებენ ისტორიკოსები, რომ მასობრივი ემპირიული მონაცემების საფუძველზე ქმნიან მწყობრ მოთხრობებს ისტორიული პროცესების შესახებ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში განვიხილოთ არგუმენტი, რომელიც ეხმარება სტოუნის ზემოხსენებულ თეზისს იმის შესახებ, რომ ისტორიული ნარატივი არის, უპირველესად ყოვლისა, აღწერილობითი და არა ანალიტიკური. აღნიშნული აზრის არგუმენტირებაში წვლილი მიუძღვის ლემონს, რომელიც მიუთითებს, რომ ნარატივს შეუძლია იყოს უბრალოდ მომხდარი ინფორმაციის მომწოდებელი. მეცნიერი ავლებს მკაფიო ზღვარს ფაქტზე დაფუძნებულ ისტორიულ ნარატივსა და ნარატივ-ფიქციას შორის, რომელიც ემსახურება წარმოსახვას. მაგრამ ეს განსხვავება საეჭვო გახდა XX საუკუნის მიწურულს, როდესაც წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ისტორიული რეპრეზენტაცია ისევეა შედგენილი, როგორც ამას აკეთებენ მწერლები და პოეტები, რომლებიც მოთხრობას ავებენ სტილისა და ჟანრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. ეს გამოწვევა წამოვიდა ისტორიკოსს ჰაიდენ უაიტისაგან, რომელიც ამტკიცებდა,

რომ ისტორიული ნარატივი ისეთივე ვერბალური¹⁹ ფიქციაა, როგორც ლიტერატურული ნარატივი და რომ ისტორიულ ნარატივს უფრო მეტი აქვს საერთო ლიტერატურასთან, ვიდრე მეცნიერებასთან.

თავის ფართოდ გახმაურებულ სტატიაში “ისტორიის უღელი”, უაიტი აკრიტიკებდა იმას, რაც მას მიაჩნდა სახიფათო გზად, კერძოდ, ისტორიკოსების მტკიცებას, რომ მათი ნაშრომები ემყარება ინტუიციას და ანალიტიკურ მეთოდებს, მაშინ, როცა სინამდვილეში ისინი ემყარებიან მხოლოდ ამ უკანასკნელს. უაიტი ამტკიცებს, რომ ისტორიკოსებმა ისტორიული წარმოსახვის ღირებულების გაგება დაკარგეს; მათ მხედველობიდან რჩებათ, რომ ეს საჭიროა იმისათვის, რათა გაიგონ ადამიანის ცხოვრება. მეცნიერი მიუთითებდა ოქროს ხანას ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, იგი გულისხმობდა პერიოდს 1800-1850 წლებს შორის, როცა ისტორიული აზრის საუკეთესო წარმომადგენლები იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ ერგებინათ ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი ბედის გამო. იმისათვის, რომ გაეანალიზებინა ნარატივის სხვადასხვა მოდუსები, უაიტმა განიხილა ოთხი ცნობილი ევროპელი ისტორიკოსის და ამდენივე ისტორიის ფილოსოფოსის შემოქმედება. კერძოდ, ესენი იყვნენ, ერთის მხრივ, მიჩლეტი, რანკე, ტოკვილი და ბურკჰარდი, და, მეორეს მხრივ, ჰეგელი, მარქსი, ნიცშე და კროჩე.

უაიტის ცენტრალური იდეა არის ენა და ლინგვისტური დოკუმენტები, რომლებიც, მისი აზრით, ისტორიულ ლიტერატურას აძლევენ ფორმას. ლინგვისტურ პარადიგმას უაიტი უწოდებს ისტორიული მწერლობის მეტაფიზიკურ ელემენტს. ეს ელემენტი, მისი აზრით, იმთავითვე განსაზღვრულია. აღნიშნული თეზისის ასახსნელად, უაიტმა შემოიტანა ტროპების თეორია. ტროპები არის პოეტური ან მხატვრული ენის ლინგვისტური სტრუქტურები. უაიტის აზრით, არსებობს ოთხი ასეთი ტროპი: მეტაფორა, მეტონიმი, სინეკდოხა და ირონია. პირველთან საქმე

¹⁹ “ვერბალური” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს “სიტყვიერს”, “ზეპირს”. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისი პირველი მნიშვნელობა ანუ “სიტყვიერი” ანუ საუბარია სიტყვიერ გამონაკონზე.

გვაქვს მაშინ, როცა აღიწერება რაღაც ისე, თითქოს ის არის სხვა საგანი, და მთელი ასოციაციები გადადის ერთი საგნიდან მეორეზე. მეორე შემთხვევაში ხდება საგნის სახელის ჩანაცვლება სხვა სახელით, რომელიც არის ამ საგნის ატრიბუტი ან არის მასთან დაკავშირებული ნიშანი. მესამე შემთხვევაში ნაწილი რაიმე საგნისა გამოიყენება იმისათვის, რომ აღიწეროს მთელი ან, პირიქით; მეოთხე შემთხვევა კი ეხება ვითარებას, როცა ერთ რამეს ვამბობთ და ვგულისხმობთ კი სხვას. ტროპების კონცეპტის შემოღებით უაიტი ახდენს მეტყველების ტრანსფორმაციას აზროვნების ღრმა სტრუქტურებად, რომლებიც წინ უძღვის ნებისმიერ ნარატივს, რაც კი შეუძლია შექმნას ისტორიკოსს. პრაქტიკაში ისტორიკოსი შეიძლება იყენებდეს ერთზე მეტ ტროპს.

უაიტის მტკიცებით, კვლევის დაწყებისთანავე ისტორიკოსი იძულებულია აირჩიოს სპეციფიკური თეორიული ცნებები და ნარატივის სტრუქტურა, რათა ისტორიულ ცნობებს აზრი მიანიჭოს. უაიტის მითითებით, ახსნისათვის ისტორიკოსებს აქვთ რამდენიმე სტრატეგია, რომელთაგან თითოეულს აქვს ალტერნატიული მოდუსები. ბევრი ემპირიკოსი ისტორიკოსი აკრიტიკებს უაიტს იმის გამო, რომ მის კონცეფციაში მთხრობელის სუბიექტურობა მთლიანად განსაზღვრავს ისტორიულ ტექსტს. სხვები მიუთითებენ, რომ უაიტის კონცეფციამ დაკარგა აზრი, ის მიესადაგებოდა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიას, ახლა კი, ისტორიული მწერლობის თანამედროვე მრავალფეროვნებაში და აღწერილობითთან შედარებით ისტორიის ანალიტიკური ფორმების პრიველირებისას, ის გამოსადგი ადარაა.

XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, როგორც უკვე აღნიშნა, გამოქვეყნდა ლოურენს სტოუნის შრომა, სადაც იგი მიუთითებდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებულმა “ახალმა ისტორიამ” და მისმა მიმდევრებმა, რომლებიც თავს ავანგარდად განიხილავდნენ, მარცხი განიცადეს, მათ შორის, ანალების სკოლის მიმდევრებმა და მარქსისტებმა. სტოუნის აზრით, მათ ვერ შეძლეს მოეცათ წარსულის მწყობრი და მეცნიერული ახსნა. ამიტომაც აღორძინდა ისტორიული ნარატივი და, შესაბამისად, ყველა ის პრობლემა, რომელიც მას ახლავს.

თავი IV

ისტორიოგრაფიის ძირითადი საზოგადოებრივი ფუნქცია და მისი გავლენა ისტორიულ ნარატივზე

რა როლი ენიჭება წარსულის ცოდნას ინდივიდისა თუ კოლექტივის (ერთობის) ცხოვრებაში? რა გავლენას ახდენს ისტორიული ნარატივის შინაარსზე და ფორმაზე მისი საზოგადოებრივი ფუნქცია? რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მეცნიერული ისტორია და ეთნოისტორია? რა მიმართებაა ისტორიულ მახსოვრობასა და ნაციონალიზმს შორის?

როგორც დავრწმუნდით, ისტორიული რეპრეზენტაციის მოდელის შერჩევის საკითხში არსებობდა და არსებობს სრულიად განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი, კონცეფციები. ცხადია, შეუძლებელია დაიწეროს ისტორიული მეცნიერების შესავალი კურსი, რომელშიც ყველა პოზიცია თანაბრად და ერთდროულად იქნება გატარებული. ამიტომ ვიდრე ამ თავის ძირითად თემას შევეხებოდე, მე უნდა განემარტო ჩემი პოზიცია, რომელიც საგანგებოდ არ გამომიკვეთია ზემოთ, როცა ისტორიის პროფესიონალიზაციის ისტორიას გადმოვცემდი. მეცნიერის კვლევების კონცეფცია, უდავოა, გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ წარმოუდგენია მას ისტორიული რეპრეზენტაციის არსი: ისტორიული ნაშრომის წერისას ის მისდევს ე.წ. ტრადიციულ პარადიგმას, რომელსაც რანკესეული შეიძლება ეწოდოს ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს მიხედვით, თუ მისთვის ამოსავალია ე.წ. “ახალი ისტორიის” მიდგომა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ანალების სკოლას.

ტრადიციული პარადიგმა, რომელსაც ზოგი მეცნიერი “სალი აზრის ლოგიკის” პარადიგმასაც უწოდებს, ძიებათა ცენტრში აქცევს ფაქტების თხრობას. ეს არის აღწერილობით ხასიათის ისტორიული რეპრეზენტაცია ანუ ნარატივის ისტორიოგრაფია, მაშინ როცა “ახალი ისტორიის” პარადიგმა ორიენტირებულია სტრუქტურების შემეცნებაზე და არის არა დესკრიფციული, არამედ ანალიტიკური დისკურსის ფორმა.

კვლევის ობიექტის არჩევისას, როგორც ითქვა, აღნიშნულ ორ მიდგომას ახასიათებს სხვადასხვაგვარი პრეფერენციები. სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულება წყაროთა ბაზის განსაზღვრის საკითხშიც.

ისტორიული რეპრეზენტაციის მოდელის შერჩევისას მე ვითვალისწინებ შემდეგ გარემოებას: მართალია, ფუნქციონალისტურ ისტორიოგრაფიას უფრო მეტად ამსგავსებენ საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს და, აქედან გამომდინარე, ახასიათებენ მას როგორც უფრო ზუსტ ისტორიოგრაფიულ პარადიგმას, ფართო საზოგადოება გულგრილია სტრუქტურების ისტორიისადმი, რამდენადაც სტრუქტურების ისტორია ჩრდილში აქცევს პიროვნებებს, ინდივიდუალობას, უნიკალობას, რადგანაც იგი ორიენტირებულია არა ცალკეულზე, კონკრეტულზე, სპეციფიკურზე, არამედ უნივერსალურზე, საზოგადოზე. ფართო საზოგადოებას ისტორია აინტერესებს სწორედ როგორც სხვათა გამოცდილების თავისებური საცავი. ისტორია არის არა მარტო სამეცნიერო დისციპლინა, რომლის მეშვეობით სინამდვილის (ამ შემთხვევაში წარსული სინამდვილის) შემეცნება ხდება, არამედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდენტობრივი მარკერიც.

ცნობილია, რომ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობებისათვის ისტორიული მახსოვრობა გადამწყვეტია, იმდენად გადამწყვეტი, რომ ეთნოსებსა და ნაციებს, რომლებიც სწორედ იდენტობის აღნიშნული ტიპის მქონე ერთობებია, ზოგი მკვლევარი მნემონიკურ ანუ მახსოვრობით კოლექტივებასაც კი უწოდებს. იდენტობრივი მარკერის ფუნქცია კი შეიძლება შეასრულოს მხოლოდ ჰეროიკულმა ისტორიოგრაფიამ, გმირების, წმინდანების ღვაწლის ამსახველმა ნარატივებმა და არა ინდივიდუალურობისაგან დაცლილმა ავტორისეული საწყისის არმქონე ისტორიულმა რეპრეზენტაციამ.

სტრუქტურების ისტორია, მართალია, ერთის მხრივ, წარმოაჩენს წარსული სინამდვილის ახალ განზომილებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ახალი განზომილება სრულიად მოკლებულია ემოციას. ისტორიული რეპრეზენტაციისათვის კი როგორც ინდივიდუალობა, ასევე ემოცია ძალიან არსებითია. ისტორიისათვის

მნიშვნელოვანია არა მარტო ადამიანი როგორც ასეთი, როგორც სახეობა, არამარტო სოციალური კლასი თუ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობა, არამედ როგორც კონკრეტული პიროვნება, კონკრეტული ინდივიდუალობაც.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, არ შეიძლება ისტორიული რეპრეზენტაციის ეს ორი პარადიგმა განხილულ იქნეს ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ალტერნატიულ მოდელებად. ისტორიული რეკონსტრუქციისას ორივენი თანაბრად უნდა იქნენ გამოყენებული, რადგან ისინი ურთიერთს ავსებენ. ასეთია ჩემი პოზიცია ისტორიული რეპრეზენტაციის მოდელის შერჩევასთან დაკავშირებით. ახლა რაც შეეხება ისტორიის კვლევის ობიექტს.

ანალების სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ფერნანდ ბროფელი, როგორც ითქვამო, მიუთითებდა, რომ პოლიტიკური ისტორია არის ისტორიის ოკეანის ტალღების ქაფი, რომ ნამდვილი მოვლენები სიღრმეში იმალება. მე (და ცხადია, არა მარტო მე) ისტორიული აზრის განვითარებაში უდიდეს მიღწევად მიმაჩნია მრავალფენიანი დროის კონცეპტის შემოტანა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მგონია მოვლენათა კლასიფიკაცია სწორედ ამ განსხვავებულ დროთა მიხედვით. ერთადერთი დებულება, რომელსაც ამ შემთხვევაში არ ვიზიარებ ისაა, რომ ხანგრძლივ დროში განვითარებული პროცესები უფრო მნიშვნელოვანია ისტორიული შემეცნების თვალსაზრისით, ვიდრე მოკლე დროში მომხდარი ფაქტები. მართალია, ეს უკანასკნელნი სწორედ პირველთა გამოვლინებას წარმოადგენენ, მაგრამ ისტორიის დისციპლინის პარადოქსი (სირთულე, გნებავთ, მომხიბლაობა) სწორედ ისაა, რომ მისთვის ზედაპირული მოვლენებიც ისევე ფასეულია, როგორც სიღრმისეული. ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი საზოგადოებრივი ფუნქცია ანუ ერთობის მარკირება მახსოვრობით, უკავშირდება სწორედ ზედაპირის, “ისტორიის ოკეანის ტალღების ქაფის” მოვლენებს. ამიტომაც, რომ არა მარტო ხანგრძლივ დროში, არამედ მოკლე დროში მომხდარი მოვლენებიც ძალიან არსებითია ისტორიისათვის. ჩემი სამეცნიერო პრაქტიკა ასახავს ჩემ მიერ საკითხის ამგვარ ხედვას, რომელიც მოიცავს როგორც მოკლე

დროში მომხდარი ფაქტების კვლევას, ისევე საშუალო და ხანგრძლივი დროით მარკირებული პროცესების ანალიზს.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, საზოგადოდ, აქ ანთროპოლოგიურად და სოციოლოგიურად ორიენტირებული პრობლემატიკის დამუშავების შემთხვევები არ არის ხშირი. მეტი აქცენტი კეთდება მოკლე დროის მოვლენებზე. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს ისტორიაზე. ჩემი აზრით, საჭიროა ვითარება დაბალანსდეს და ისტორიული რეპრეზენტაციის ე.წ. ტრადიციული პარადიგმის თანაბრად გზა გაეხსნას “ახალი ისტორიის” პარადიგმას: ეს ნიშნავს, რომ ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში მოექცეს ისეთი პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტა მოითხოვს კომპარატივისტულ²⁰ კვლევას. სხვაგვარად შეუძლებელია მოხდეს საქართველოს ისტორიის კვლევის ინტერნაციონალიზაცია²¹.

დაბოლოს, განმარტებას საჭიროებს ჩემი დამოკიდებულება ისტორიული შემეცნებისადმიც: მე ვფიქრობ, წარსული შეცნობადია, არსებული წყაროთა რაციონალური ანალიზი და ინტუიცია, როგორც გაგების ფორმა, საშუალებას იძლევა მოვიაზროთ წარსულის კონკრეტული ფაქტები, მათი საშუალებით კი შევიმეცნოთ კანონზომიერებანი, რომლებიც წარმართავენ კაცობრიულ ისტორიას. ყველა გამოთქმული სკეპტიკური აზრი ისტორიის შეცნობადობასთან დაკავშირებით, ტრადიციული, საღი აზრის ლოგიკაზე დაფუძნებული ისტორიული პრაქტიკის ყველა პოსტმოდერნისტული გამოწვევა ამ შეხედულებისათვის, ჩემი აზრით, დამაბრკოლებელი სულაც არის. ისინი, პირიქით, გვეხმარება უფრო დავხვეწოთ კვლევის მეთოდოლოგია და ისტორიული კვლევის პროცესში საკითხების თეორეტიზების გზით დავძლიოთ ემპირიული მასალის ნაკლებობით თუ სიჭარბით წარმოქმნილი პრობლემები. ეს მოკლედ, ჩემი პოზიციის შესახებ. ახლა კი უშუალოდ გადავიდეთ წინამდებარე თავის სათაურში არის გაცხადებულ საკითხზე.

²⁰ “კომპარატივისტული კვლევა” ნიშნავს “შედარებით კვლევას”.

²¹ “ინტერნაციონალიზაცია” ნიშნავს რაიმე საკითხის საერთაშორისო განხილვის საგნად ქცევას.

ისტორიული სინამდვილე აისახება დამკვირვებლის ცნობიერებაში. ისტორიული ინფორმაციის დამაფიქსირებელი ისტორიული ნარატივი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიცია უკავია დამკვირვებელს იმ ისტორიული ფაქტის მიმართ, რომელსაც ასახავს. როცა ვლაპარაკობთ პოზიციაზე, აქ იგულისხმება, ცხადია, არა მარტო ის, თუ ფიზიკურად სად²² იმყოფება დამკვირვებელი, არამედ დამკვირვებლის ადგილიც საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ამგვარ ადგილს კი განაპირობებს დამკვირვებლის კლასობრივი კუთვნილება; აგრეთვე მისი ეთნიკური და ნაციონალური იდენტობა²³. ამის მიზეზი ისაა, რომ ისტორიის მეშვეობით ხშირად ცდილობენ როგორც კლასობრივი, ისე ეთნო-ნაციონალური პრეტენზიების დასაბუთებას ანუ ისტორიის ერთ-ერთი საზოგადოებრივი ფუნქციაა შიდა ჯგუფური, კლასობრივი თუ ეთნო-ნაციონალური, კონსოლიდაცია. ამ მიზეზით ისტორიულ ნარატივში (თხრობაში) ისტორიული რეალობა შეიძლება დამახინჯებულად აღმოჩნდეს წარმოდგენილი. ამგვარ მაგალითებს ჩვენ ყოველ წუთს ვაწყდებით. ხომ ხშირად ვყოფილვართ იმის მოწმე, როგორ ასრულებს ისტორიული

²² თუმცა ფიზიკურ ადგილსამყოფელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ფაქტის აღწერა მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, უშუალოდ ბრძოლაში ჩართული ადამიანი წარმოადგენს მას თუ ის პირი, რომელიც გარკვეული დისტანციიდან უცქერს ამ ბრძოლას.

²³ “იდენტური” ლათინური სიტყვაა და “იგივეობრივს” ნიშნავს. სოციოლოგიაში, კულტურულ ანთროპოლოგიაში და ანთროპოლოგიურად ორიენტირებულ ისტორიოგრაფიულ დისკურსში ამ ტერმინით აღინიშნება ინდივიდის თვითცნობიერება რაიმე თვისებების საფუძველზე თავი გააიგივოს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან. “მე მაქვს ქართული იდენტობა” – ეს ფრაზა ნიშნავს, რომ გარკვეული ნიშნების საფუძველზე მე საკუთარ თავს ვაიგივებ იმ ჩვენ-ჯგუფთან, რომელსაც ჰქვია “ქართველი ერი”. თავად “ერი” არის უძველესი ქართული ტერმინი, რომელიც ნიშნავს “კრებულს”, “კოლექტივს” და, რომელიც XIX საუკუნიდან ევროპული “ნაციის” შესატყვისად გამოიყენება ქართულში. არაა გამორიცხული, რომ რიცხვითი სახელი “ერთი”, რომელსაც აქვს ცალკეულის მნიშვნელობა, მომდინარეობდეს “ერისაგან”: *ერ* ფუძეს დაერთვის *თ* მორფემა, კუთვნილების გამომხატველი ფორმანტი ქართულში. ანუ *ერ-თ-ი* არის *ერ-ისა*, *ერისგანი*.

ნარატივი სრულიად გარკვეულ საზოგადოებრივ დაკვეთას. ასე მაგალითად, იმის მიხედვით, თუ რომელი პარტიის და რომელი ქვეყნის მიერ კონტროლირებადი მედია-საშუალება ავრცელებს ინფორმაციას, იცვლება აქცენტები ამა თუ იმ ცნობის გადაცემისას. მოსალოდნელი ინფორმაციული ცდომილებების წარმოსადგენად საკმარისი არაა ცდომილების ფაქტის მარტოოდენ ვარაუდი, არამედ საჭიროა მრავალი კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, რათა გავარკვიოთ ინფორმაციის დეფორმირების როგორც გამომწვევი მიზეზები (ნებსითი ფალსიფიკაცია თუ უნებლიე შეცდომა), ისე ამ დეფორმირების მექანიზმები.

იმის საილუსტრაციოდ, თუ დამკვირვებლის (ისტორიკოსის) სოციალურმა პოზიციამ რაოდენ არსებითად შეიძლება შეცვალოს ისტორიული ცნობა, მოვიყვან მაგალითს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ჩემივე სამეცნიერო პრაქტიკიდან.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი ორი ისტორიოგრაფიული თხზულება – “მოქცევაი ქართლისაი” და “ქართლის ცხოვრება”. ეს, ისტორიოგრაფიული პრინციპების თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავებული ძეგლები, გარკვეული მონაკვეთებში საქართველოს ისტორიის ერთსა და იმავე პერიოდს აღწერენ. ის გარემოება, რომ აღნიშნული ძეგლები შეიცავენ ინფორმაციას ერთი და იმავე ფაქტების შესახებ, ისტორიული რეკონსტრუქციისას წამოიჭრის მათი ურთიერთშედარებისა და შეჯერების პრობლემას. აღმოჩნდა, რომ ამ ისტორიოგრაფიულ თხზულებებში დიამეტრალურად საპირისპიროდ არის შეფასებული ქართლის მეორე ერისმთავრის სტეფანოზ I პიროვნება: თუ “მოქცევაი ქართლისაი” მას ამკობს “დიდის” ეპითეტით და ჯვრის ეკლესიის მაშენებლად წარმოგვისახავს, “ქართლის ცხოვრების” ავტორი მას ურწმუნოს უწოდებს, მიუთითებს, რომ სტეფანოზ I არათუ ახალი ეკლესიები არ ააშენა, უკვე არსებულ ეკლესიებსაც არაფერი შეჰმატა. რომელია ამ ინფორმაციებს შორის სწორი?

ირაკვეა, რომ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ინფორმაციის შემცველია “მოქცევაი ქართლისაი”, რადგან დღემდე არსებობს მცხეთის ჯვრის ტაძარი, რომლის სამხრეთის ფასადის რელიეფური კომპოზიციის ცენტრალურ ადგილას წარმოდგენილია

სტეფანოზის გამოსახლება, რაც ადასტურებს სტეფანოზის გადამწყვეტ როლს ამ ტაძრის მშენებლობაში. მაგრამ ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა: რატომ აღმოჩნდა სტეფანოზის შესახებ მცდარი ცნობები “ქართლის ცხოვრებაში”?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უნდა დავიწყოთ ტექსტის ავტორის ვინაობის გარკვევით. “ქართლის ცხოვრების” ამჯერად ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ავტორი არის XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომლისათვის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს VIII საუკუნის მოღვაწის ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულება, რომელიც, როგორც ეს ანდერძ-მინაწერიდან ირკვევა, აღწერდა ქართველთა ისტორიას ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული ავტორის დრომდე ანუ VIII საუკუნემდე. სწორედ ამ მონაკვეთში თავსდება სტეფანოზ I ზეობა. კერძოდ, ესაა VII საუკუნის 20-30-იანი წლები. გასარკვევია საკითხი, თუ რატომ შეაფასა ჯუანშერმა უარყოფითად სტეფანოზი, რატომ მოგვაწოდა აშკარად არასწორი ინფორმაცია მის შესახებ. ჯუანშერ ჯუანშერიანი ერისთავი იყო არჩილ მეფის²⁴ დროს; ის იყო ერთ-ერთ იმათაგანი, რომელთაც შეირთეს არჩილის ძმისწულები და მზითევად მიიღეს გარკვეული ტერიტორიები. არჩილის ამ ე.წ. “რეფორმის” არსი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ერისთავები სამუდამო მფლობელობაში (მზითვის პირობაზე) იმპტიცებდნენ მიწას. ცხადია, ეს ცენტრალური ხელისუფლების დიდი მარცხი იყო, რადგანაც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის მაგისტრალური ხაზი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ურთიერთდაპირისპირებაზე გადის.

თავის დროზე ფარნავაზ მეფის წარმატება იმაში მდგომარეობდა, რომ მან ნათესაურ საფუძველზე აღმოცენებული პოლიტიკური ერთეულების ბელადები მოხელეებად ანუ

²⁴ არჩილი მეფობდა VII ს მიწურულსა და VIII ს პირველ ოცწლეულში. ასეთ დასკვნამდე მივყავართ წყაროების ანალიზს. ჩემი აღნიშნული დასკვნა არსებითად ემთხვევა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მითითებულ არჩილის ზეობის წლებს: 668-718. ეს დამატებითი საბუთია ჩემ მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიის სასარგებლოდ. თუმცა საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რომ არჩილის მოღვაწეობის ხანის ამგვარ განსაზღვრას მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებს.

ერისთავებად აქცია. არჩილ მეფის დროს კი ერისთავებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ცენტრალურ ხელისუფლებაზე და სწორედ ამ გამარჯვებულ ერისთავთა წრის წარმომადგენელია ჯუანშერ ჯუანშერიანი. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით გასაგები ხდება ჯუანშერის უარყოფითი დამოკიდებულება სტეფანოზისადმი: იგი თავისი კლასობრივი პოზიციიდან უცქერს წარსულს და, კერძოდ, ერისმთავარ სტეფანოზის პიროვნებას. საქმე ისაა, რომ სტეფანოზი, მართალია, მეფე არ იყო, მაგრამ მას, როგორც ირკვევა, ჰქონდა ამისი პრეტენზია. ცხადია, აღნიშნული პრეტენზია გაღიზიანებას იწვევდა ერისთავებში, რომლებიც ერისმთავარში ხელაღდგენ თანასწორთა შორის პირველს და არა მეფეს. ისტორიული წარსულის სწორედ გარკვეული ფენის პოზიციებიდან განხილვამ, ჯუანშერის მონათხრობში გამოიწვია სტეფანოზის შესახებ ინფორმაციის არა მხოლოდ დეფორმირება, არამედ მისი არსებითად შეცვლა. ეს მაგალითი კარგად აჩვენებს, თუ როგორ სერიოზულია პრობლემა ისტორიული ნარატივის ვერიფიკირებისა ანუ შემოწმების.

როგორც არ შეიძლება პიროვნება არსებობდეს საკუთარი ავტობიოგრაფიის ცოდნის გარეშე (რაც მნიშვნელოვნწილად განსაზღვრავს მის სოციალურობას), ასევე არ შეიძლება არსებობდეს საზოგადოება მისი ისტორიული მახსოვრობის გარეშე. მაგრამ ნებისმიერ საზოგადოებას აქვს გარკვეული ინტერესები. აქედან გამომდინარე ისტორიული ნარატივში სინამდვილე შეიძლება დეფორმირდეს დამკვირვებლის ეთნო- თუ ნაციონალური კუთვნილების მიზეზითაც. ამ შემთხვევაშიც ცდომილება ისტორიულ რეალობასთან მიმართებაში შეიძლება საკმაოდ საგრძნობი იყოს, რადგან ისტორიული მახსოვრობა არის ეთნიკური თუ ნაციონალური იდენტობის ერთი-ერთი უმთავრესი მარკერი. ამგვარი ერთობების ჩამოყალიბებისა და ხანგრძლივად არსებობისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ისტორიული მახსოვრობა, რომ, როგორც უკვე ითქვა, ზოგი მეცნიერი ეთნოსებს, ერებს მნემონიკურ (მახსოვრობით) კოლექტივებსაც კი უწოდებს. სწორედ ამ მარკერის მეშვეობით მიიღწევა ეთნიკური და ნაციონალური ჩვენ-ჯგუფის შემადგენელ წევრთა ერთიანობა არა მარტო სინქრონულ ჭრილში (თანამედროვეთა შორის

სოლიდარობა), არამედ დიაქრონულ ჭრილშიც (სოლიდარობა მოცემული ერთობის სხვადასხვა თაობებს შორის). ერთობის (ერის, ეთნოსის) თანამედროვე წევრებს საკუთარ წინაპრებთან სწორედ ისტორია აერთიანებს, ისევე როგორც ბედისწერა, რომელიც იკითხება ისტორიაში და აკავშირებს ერთობის წევრებს.

ეთნიკური თუ ნაციონალური ერთობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მარკერი – ტერიტორია, აგრეთვე, არ არსებობს ისტორიის გარეშე. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა “ისტორიული ტერიტორიის” ცნება, რომელიც ხშირად გულისხმობს იმ ტერიტორიასაც, რომელიც ახლა არ ეკუთვნის ამა თუ იმ ხალხს, მაგრამ ხსოვნა (ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი) ასეთი კუთვნილების შესახებ ძალიან ხშირად იქცევა ამ ტერიტორიებზე პრეტენზიებისათვის არგუმენტად.

ერების წარმოქმნასა და განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალიზმის იდეოლოგიას, რომელიც თავისი იდეების პროპაგანდისათვის უხვად იყენებს ისტორიას. ამიტომ ნაციონალურ (ეროვნულ) მოძრაობებს წინ კულტურული რენესანსები უძღვით, და ამ რენესანსებში ისტორიოგრაფიას, ისტორიული ფაქტების მოძიებას და მათ რეინტერპრეტაციას ძალიან დიდი ადგილი უკავია. თვით ნაციონალურ სიმბოლოთა წაკითხვა ხშირად შესაძლებელია მხოლოდ ერის ისტორიის კონტექსტში. ამ ფაქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნაციათა ფესვები მყარად გაუშვას წარსულში, რადგან კონკრეტულ ტერიტორიასთან განგრძობადი მიჯაჭვულობის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება, როგორც ითქვა, ვერცერთი ეთნიკური კოლექტივი თუ ნაცია. შესაბამისად, ნაციონალური პროპაგანდის გავლენა დიდ დავს ასვამს ისტორიოგრაფიას. ამიტომაც ასე აუცილებელია ეთნო-ისტორიის ანუ წარსულის ჰეროიკული რომანტიკული ხედვის იმ მეცნიერული ისტორიისაგან გამოცალკევება, რომლის მიზანსაც შეადგენს ჭეშმარიტების შემეცნება.

პრაქტიკაში წმინდა სახის მეცნიერული ისტორიოგრაფიის ნახვა რთულია. საქმე ისაა, რომ ყველაზე კეთილსინდისიერ ისტორიკოსსაც არ შეუძლია სავსებით განთავისუფლდეს იმ ინტერესებისაგან, რომელთაც მასში აღძრავს საკუთარი კლასობრივი თუ ეთნო-ნაციონალური იდენტობის ფაქტით

გამოწვეული რეალობა. მეცნიერული ქართველოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს ივანე ჯავახიშვილს ხაზგასმული აქვს ისტორიოგრაფიული თხზულების წყაროთმცოდნეობითი კრიტიკისას ამ თხზულების ავტორის “მედასეობის” ფაქტის გათვალისწინების აუცილებლობა. კერძოდ, აი, რას წერდა იგი თავისი ნაშრომის “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა” შესავალში:

“თვითეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნობა და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლობის წესი და მეთოდი”.

და კიდევ:

“თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერლის თვალსაზრისი წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავის ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომელობაზე მოქმედებს”.

აი, როგორ ხედავს ნაციონალიზმის იდეოლოგიაში ისტორიის ადგილს თანამედროვე ბრიტანელი ისტორიკოსი და სოციოლოგი ენტონი დ. სმითი: “ნაციონალური ინდივიდუალობის ხაზგასმა გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომაა ასე ხშირად ნაციონალიზმის თანმხლები და მისი მასაზრდოებელი ინტელექტუალთა შრომა, რომლის მიზანიც ნაციის “ფესვების” და “ხასიათის” მიკვლევაა ისეთი დისციპლინების მეშვეობით, როგორცაა ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა და ფოლკლორი. ეს დისციპლინები უზრუნველგვეყოფენ სათანადო ინსტრუმენტარიუმიტა და კონცეპტუალური ჩარჩოთი იმის გამოსარკვევად, თუ “ვინ ვართ”, “როდის დავიწყეთ”, “როგორ ვიზრდებოდით,” “საით მივდივართ” ”.

დაბოლოს, ილია ჭავჭავაძის რამდენიმე გამონათქვამი – ერის ცხოვრებაში ისტორიის მნიშვნელობის შესახებ:

“ისტორია იგი დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიან სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებული და დიდ-ბუნოვან კაცთა უწმიდესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა

საქმეთა მოთხოვნა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანობის საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნეველება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყველგან ჭირია თუ ლხინი. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება ზედმოსულს უბედურებას და განსაცდელსა”;

“ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს”;

“ისტორია თავის გულის ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღევრძელობისათვის და გაძლიერებისათვის”.

თაზი V მარქსიზმი და ისტორია

მარქსისტული სოციოლოგია, უფრო ზუსტად მარქსისტული სოციოლოგიის საბჭოური ვერსია, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქართული ისტორიოგრაფიისათვის წარმოადგენდა ერთადერთ თეორიულ ბაზისს და ერთადერთ ჩარჩოს, რომლის გადაბიჯება უბრალოდ არამართებული კი არა, დასჯადიც შეიძლება ყოფილიყო. ეს თეორია დღემდე არსებობს არა მარტო საბჭოთა პერიოდში შექმნილი ნაშრომების სახით, არამედ მისი მატარებელია მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორიკოსთა ცოცხალი თაობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილიც. მარქსიზმი გავრცელებულია დასავლურ ისტორიოგრაფიულ პრაქტიკაშიც. მაინც რა არის მარქსიზმის არსი და რაში მდგომარეობს მისი დღევანდობის მიზეზი?

ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი თეორეტიკოსი უდავოდ არის კარლ მარქსი. ზემოთ უკვე ნახსენები არტურ მარვიკის შენიშვნის მიხედვით, რადაცნაირი გავლენა მარქსიზმისა ყველა ისტორიკოსს ემჩნევა. როგორც ცნობილია, მარქსიზმი არ შექმნილა ერთ ადგილას, არც ერთიანი ტექსტის სახით ყოფილა ჩამოყალიბებული. კ. მარქსის შეხედულებების ამოკრებას სხვადასხვა ნაშრომებიდან და გაერთიანებას ცდილობენ მისი მიმდევრები და ზშირად ამ მიდგომებში გაკეთებული ინტერპრეტაციებიც არ არის ერთგვაროვანი.

საკაცობრიო ისტორიის მარქსისტული ინტერპრეტაცია ცნობილია, როგორც “ისტორიული მატერიალიზმი”, რომლის ბაზისური პრინციპები წარმოდგენილია 1846 წელს დაწერილ “გერმანულ იდეოლოგიაში”. ისტორიული მატერიალიზმი კაცობრიული ისტორიის მთავარ მამოძრავებლად მიიჩნევს კლასთა ბრძოლას. კ. მარქსს მიაჩნდა, რომ საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა ქმნის საფუძველს მთელი საზოგადოებისათვის. ყველაფერი დანარჩენი კი არის ზედნაშენი, ანუ ეკონომიკიდან მომდინარეობს პოლიტიკური ინსტიტუციები და სამართლებრივი სისტემა. იდეებს, ცნობიერებას არა აქვთ დამოუკიდებელი არსებობა, ისინი სწორედ მატერიალური ყოფიერებიდან არიან

წარმომდგარნი ანუ, მარქსიზმის მიხედვით, ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას და არა პირიქით.

როგორ იცვლება ადამიანთა საზოგადოება საუკუნეებში? კ. მარქსმა კაცობრიული ისტორია სამ ეპოქად დაჰყო: ანტიკური საზოგადოება (საბერძნეთი და რომი), ფეოდალური საზოგადოება და კაპიტალისტური საზოგადოება ანუ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება. ერთიდან მეორეზე გადასვლა ხდება პროცესის მეშვეობით, რომელსაც კ. მარქსმა უწოდა დიალექტიკური. წარმოების ყოველი წესი და, შესაბამისად, ყოველი საზოგადოებრივი ფორმაცია საკუთარ თავში შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც საბოლოო ჯამში იწვევს მის დაცემას. ყოველ საფეხურს ჰყავს თავისი დომინანტური კლასი და ის კლასი, რომელიც დომინანტორ კლასს დაამხობს. მარქსიზმის მიხედვით, ბურჟუაზიას დაამხობს პროლეტარიატი, რაც გამოიწვევს სხვა ფორმაციაზე – სოციალიზმზე, გადასვლას.

ეს ევოლუციური თეორია ეფუძნებოდა ეკონომიკის განვითარების დიალექტიკას. იგი ეკონომიკას ათავსებდა ადამიანური ისტორიის ცენტრში. ამით კ. მარქსი არსებითად განსხვავდებოდა ბევრი თავისი თანამედროვისაგან, მაგალითად, ლეოპოლდ ფონ რანკესაგან.

ისტორიის მამოძრავებელი, კ. მარქსის მიხედვით, არიან კლასები, რომლებიც წარმოიშობიან წარმოების პროცესში შესრულებული განსხვავებული როლის მიზეზით. იმისათვის, რომ დაამხონ დომინანტური კლასი, ჩაგრულებმა უნდა იცოდნენ თავიანთი ჩაგრვის შესახებ, შესაბამისად, ადამიანთა როლი მნიშვნელოვანია მარქსისტულ კონცეფციაში. ამაშია მისი ერთ-ერთი პარადოქსი. ერთი მხრივ, აქცენტი კეთდება ობიექტურ მამოძრავებელზე – წარმოების წესზე და მისი ტრანსფორმაციის დიალექტიკაზე და, მეორე მხრივ, ეს ყველაფერი დამოკიდებულია კლასობრივ ცნობიერებაზე. ამ მხრივ, დამახასიათებელია კ. მარქსის შემდეგი გამონათქვამი:

“ადამიანები ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ არა ისე როგორც ეს მათ სურთ (ადამიანებს არ შეუძლიათ იმოქმედონ მათ მიერვე შერჩეულ პირობებში), არამედ, მხოლოდ იმ პირობებში, რომლებიც მოცემულია და მომდინარეობს წინა განვითარებიდან”.

ძალიან საინტერესო ფრაზაა, რამდენადაც ეს არის ერთგვარი გამოწვევა იმ ეკონომიკური დეტერმინიზმისათვის, რომელიც, უდავოდ, არის ჩადებული ცვლილების მარქსისტულ კონცეფციაში.

მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ და მარქსისტულმა იდეებმა მნიშვნელოვნად დაკარგეს თავიანთი დამაჯერებლობა და პრესტიჟი, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის სატელიტური სახელმწიფოების ბლოკი, რომლებიც თავიანთ თავს განიხილავდნენ მარქსისტული იდეების განმხორციელებლად. მაგრამ, როგორც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მარქსისტული ისტორიოგრაფიის ისტორიაში ამ ფაქტის გადაჭარბებით შეფასება არ იქნებოდა მართებული. საქმე ისაა, რომ სკეპსისი მარქსიზმისადმი დაიწყო ამ მოვლენაზე გაცილებით ადრე. ამას გარდა ჩვენ უნდა განვასხვავოთ ის მარქსიზმი, რომელიც მოქმედებდა საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნებში, დასავლეთის ქვეყნების მარქსიზმისაგან. თუმცა დასავლეთის ქვეყნებშიც გარკვეული პერიოდიდან, კერძოდ, XX საუკუნის სამოციანი წლებიდან, მარქსიზმი კრიზისს განიცდის.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, მარქსიზმის გავლენა თანამედროვე ისტორიოგრაფიის განვითარებაზე არ შეიძლება დავამცროთ. ზოგი მკვლევრის აზრით, მარქსის გარეშე დიდი ნაწილი თანამედროვე სოციალური თეორიებისა, რომლებიც წარმოიშვა სწორედ როგორც მარქსიზმისადმი დაპირისპირება, არ იქნებოდა. ჩვენ, ცხადია, არ შეგვიძლია განვიხილოთ მარქსიზმი, როგორც ერთიანი მოძრაობა. ჯერ ერთი, არსებობს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებები. მეორეც, თავად მარქსის მოძღვრება საკმაოდ ხშირად არის ორაზროვანი. მიიჩნევენ, რომ მარქსი იყო დოგმატიკოსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი იყო სისტემური მოაზროვნეც. მისი შეხედულებანი ბევრ საკითხზე იყო აშკარად პოზიტივისტური, იგი ბევრ იმ თვალსაზრისს იზიარებდა, რომელიც საყოველთაოდ იყო გავრცელებული XIX საუკუნის 50-90-იან წლებში.

მარქსის შეხედულების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის იმის რწმენა, რომ ობიექტური მეცნიერული ცოდნის მოპოვება შესაძლებელია და სამეცნიერო ცოდნა გამოიხატება

ზოგად დებულებებში მოვლენის ზოგადი განვითარების შესახებ. ისტორიისათვის ეს ნიშნავდა იმას, რომ იგი იკავებდა მეცნიერების სტატუსს და მას, როგორც ყველა მეცნიერებას, უნდა აღმოეჩინა კანონზომიერებანი. ამით, როგორც ითქვა, კ. მარქსი სრულ თანხმობაშია პოზიტივიზმთან. მაგრამ პოზიტივისტებისაგან კ. მარქსი განსხვავდებოდა იმით, რომ ისტორიის კანონზომიერი განვითარების მექანიზმს იგი ხედავდა სოციალურ კონფლიქტში, რომელსაც განაპირობებდა ეკონომიკური უთანასწორობა. ისტორიის წარმმართველ ძალას, კ. მარქსის აზრით, როგორც ითქვა, წარმოადგენდნენ არა იდეები, არამედ საწარმოო ძალები. ეს ძალები თავიანთი განვითარების პროცესში მოდიოდნენ წინააღმდეგობაში სოციალურ პირობებთან და კონფლიქტი საწარმოო ძალებისა განვითარებასა და არსებულ სოციალურ პირობებს შორის უბიძგებდა საზოგადოებას განვითარებისაკენ, რადგან განვითარებულ საწარმოო ძალებს მოჰქონდათ მათი შესატყვისი სოციალური პირობები ანუ ფორმაცია. მარქსისტული შეხედულებით, ასე გადავიდა კაცობრიობა განვითარების პრიმიტიული საფეხურიდან პირველყოფილი კომუნიზმის სტადიიდან, მოთაბარე და მონადირე საზოგადოებიდან ანტიკურ მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ფორმაციებზე, საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო სტადიად მიიჩნეოდა კომუნისტური საზოგადოება, რომელშიც საწარმოო ძალთა განვითარება მიაღწევს პიკს და სოციალური გარემოც ამის შესატყვისი იქნება და, შესაბამისად, კომუნისტურ ფორმაციაში ყველა წინარე საფეხურებისათვის დამახასიათებელი შინაგანი ანტაგონიზმი გადაილახება.

მარქსისათვის, ისევე როგორც მისი თანამედროვეებისათვის, პროგრესის მატარებელი იყო მხოლოდ დასავლური საზოგადოებები, მხოლოდ ისინი იყვნენ, მისი აზრით, დინამიკური, მაშინ როცა აზია და აფრიკა (აქ კ. მარქსი ეთანხმებოდა ჰეგელს), იყვნენ სტატიკური და პროგრესს მოკლებულნი. ეს თეორია და შეხედულებები ნაწილობრივ გავრცელებული იყო იმდროინდელ დასავლურ მეცნიერებაში, მაგრამ მათგან მარქსიზმი თვალშისაცემად განსხვავდებოდა თავისი რევოლუციური მუხტითა და მიზნებით.

მარქსიზმის მიდგომა იყო, როგორც ითქვა, ისტორიული მატერიალიზმი. ეს არის საკმაოდ ღრმა განმარტებითი სისტემა, რომელსაც იყენებდა და ამდიდრებდა არაერთი მეცნიერი.

ისტორიული მატერიალიზმი განვითარებასა და ცვლილებების მიზეზებს ეძიებს წარმოების საშუალებათა შექმნის პროცესში ადამიანთა საზოგადოების მიერ განვლილ გზაში. ეს მიმართულება აქცენტს აკეთებს საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისზე და, შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიას. ისტორიულ მატერიალიზმს ეწინააღმდეგებიან იდეალისტები, რომლებიც უარყოფენ მატერიის გადამწყვეტ როლს საზოგადოების განვითარებაში. ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი არის დიალექტიკა. დიალექტიკა, როგორც ფილოსოფიის მეთოდი, სათავეს იღებს სოკრატესაგან. ეს არის დასაბუთების ფორმა, რომელიც მიუთითებს წინააღმდეგობაზე არგუმენტში, რომელიც იწვევს ხელახალი ფორმულირების აუცილებლობას. ამგვარად, წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად ავდივართ დასაბუთების უფრო მაღალ საფეხურზე. მარქსიზმში დიალექტიკამ მიიღო მატერიალისტური ფორმა.

დიალექტიკის დოგმატური, არსობრივად პოზიტივისტური, აღქმა და გააზრება გადაიქცა მარქსიზმის, უფრო ზუსტად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლად. ეს იყო სოციოლოგიური სისტემა, რომელიც განმტკიცდა კომუნისტური პარტიების შემწეობით საბჭოთა ბლოკის შიგნით და მის გარეთაც. ლენინიზმა ახალ შტრიხი შეჰმატა მარქსიზმს. კ. მარქსი თვლიდა, რომ მოცემულობაა, კანონზომიერებაა ისტორიული პროცესის ზოგადი განვითარება, მაგრამ რა ფორმებს მიიღებს ეს პროცესი, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე; კანონზომიერებაა სოციალური რევოლუცია, მაგრამ მისი განხორციელების ფორმები და გზები სხვაობს ადგილობრივი პირობების შესაბამისად. კანონზომიერება გზას იკაფავს შემთხვევითობათა გზით. მარქსი თვლიდა, რომ არცერთი სოციალური წესი არ დაილუპება მანამდე, სანამ საწარმოო ძალებს, რომელნიც არიან მასში, კიდევ აქვთ შესაძლებლობა, რომ განვითარდნენ. ეკონომიკური განსაზღვრულობა, ამგვარად,

გადამწყვეტია მარქსიზმისათვის. განვითარება აღმავალი და უწყვეტია, იგი მიდის უკლასო საზოგადოებისაკენ.

ისტორია, მარქსისტული მსოფლხედვით, არის მიზანმიმართული პროცესი, მაგრამ წარმართული არა გარედან, უფლის მიერ, როგორც თვლიდნენ შუა საუკუნეებში, არამედ თავად საზოგადოების შინაგანი განვითარების მიერ. ისტორია არ არის არც პროვინდენციალურად დეტერმინებული ტელეოლოგიური პროცესი, არც ფაქტების უსისტემო გროვა, არამედ კანონზომიერი აღმავალი მოძრაობა მართული სოციალური განვითარების კანონებით. ვ. ლენინმა კ. მარქსის ეკონომიკური დეტერმინიზმი შეცვალა ვოლუნტარიზმით და განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა კომუნისტურ პარტიას საზოგადოების განვითარებაში. ამან განაპირობა საბჭოური ისტორიოგრაფიული პრაქტიკის დაქვემდებარება პარტიის ზოგადი სტრატეგიისაგან და ყოველდღიური საჭიროებებისაგანაც კი.

საბჭოთა კავშირში და მის სატელიტურ ქვეყნებში მთავრობის მხრიდან დიდი ზეწოლა იყო როგორც ისტორიულ კვლევაზე, ასევე ისტორიის სწავლებაზე. ისტორიკოსების ძირითად საკვლევ თემატიკას გამოკვეთდნენ კომუნისტური პარტიები. მაგრამ ამ ბლოკის შიგნითაც და ისტორიის პერიოდის თუ პრობლემის მიხედვითაც იყო თვალსაჩინო სხვაობები. ყველაზე მეტად დაზარალდა თანამედროვე ისტორია, რომელიც იქცა მმართველი პარტიის ისტორიად. ამ სფეროში შესრულებულ ნაშრომებს ყოველთვის ჰქონდათ პროპაგანდისტული ხასიათი, პოლემისტური ფორმა და დიდ ადგილს უთმობდნენ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ემოციურ კრიტიკას. ასეთი იყო დისკურსის სტილი. შედარებით უფრო მეტი თავისუფლება იყო ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის კვლევისას, აგრეთვე, კულტურული ისტორიის კვლევისას. აქაც აუცილებელი იყო ციტატები მარქსის, ენგელსის, ლენინის და, გარკვეულ პერიოდამდე, სტალინის ნაშრომებიდანაც. მაგრამ მაინც ეს არ იყო მთავარი და ხდებოდა საარქივო მასალების დეტალური დამუშავება. ამ ტიპის კვლევების სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ გაწეული საქმიანობა საერთო იყო მოკლებული თეორიულ სინთეზს და უფრო წააგავდა სიბველეთმომყვარულთა საქმიანობას, ვიდრე პროფესიონალთა

მოღვაწეობას. მაგრამ სკრუპულოზურმა კვლევებმა მაინც დაინარჩუნეს თავისი მნიშვნელობა. ამგვარად, სოციალისტურ ქვეყნებში ისტორიოგრაფიის რაღაც სეგმენტები მთლიანად გადაფარული იყო თეორიული სქემით, რაღაც სეგმენტს კი საერთოდ არ ჰქონდა თეორია.

თვით სოციალისტური ქვეყნების შიგნითაც არსებობდა ისტორიის კვლევაში თავისუფლების სხვადასხვა ხარისხი.

ორთოდოქსულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიასაც კი მისი “სტერილურობისა” და მკაცრი შემოსაზღვრულობის მიუხედავად, შეეძლო იმგვარი კითხვების წამოჭრა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის. ეკონომიკური დეტერმინიზმის მოდელი, რომელიც მომდინარეობს კ. მარქის ნაშრომებიდან, ამარაგებდა ისტორიკოსებს ახალი კვლევითი ინსტრუმენტარეუმით: მათ ვისაც სურდა ეკონომიკური და სოციალური ისტორიის პრობლემათა კვლევა ისტორიული რეპრეზენტაციის სტატისტიკური ანუ ტრადიციული პარადიგმა ვეღარ ეხმარებოდა.

თავისებური განვითარება ჰქონდა მარქსისტულ ისტორიოგრაფიას საბჭოთა ბლოკის მიღმა. დასავლეთში მარქსისტი ისტორიკოსები ხშირად იყვნენ კომუნისტურ პარტიებთან დაკავშირებული ადამიანები. განსაკუთრებით დიდი წონა ჰქონდათ მარქსისტ ისტორიკოსებს დიდ ბრიტანეთში: ქრისტოფერ ჰილი, ერიკ ჰოფსბაუმი და ედუარდ ტომსონი არიან ამის თვალსაჩინო მაგალითები. თუმც დასავლელი მარქსისტები ამჟღავნებდნენ მნიშვნელოვან გადახრას საბჭოური ორთოდოქსიისაგან. მაგალითად, ე. ტომსონმა თავის ცნობილ ნაშრომში “ინგლისის მუშათა კლასის ჩამოყალიბება” მარქსისტულ ორთოდოქსიას გადაუხვია სამივე უმთავრეს პოსტულატში. კერძოდ, მან არ გაიზიარა თეზისი საზოგადოების განვითარებაში ეკონომიკური ფაქტორის პრიორიტეტულობის, პროგრესის არსებობის და მეცნიერული კვლევის ობიექტურობის შესაძლებლობის შესახებ. საერთოდ, ტომსონი თავს მარქსისტს არც უწოდებდა, არამედ თეორიაში გაცნობიერებულ ემპირიცისტს. ტერმინი “ისტორია ქვემოდან” ტომსონის მიერ არის შემოღებული.

ადამიანთა მასების ისტორიის პრობლემა მარქსიზმმა წამოსწია, მასობრივი პროცესებისადმი მარქსისტების ინტერესი ხელს უწყობდა ისტორიაში რაოდენობრივი მეთოდების დანერგვასაც.

მიუხედავად პოზიტივიზმთან გარკვეული მსგავსებისა, ემპირიციზმის გამოწვევას ანალების სკოლასთან ერთად, მარქსისტული ისტორიოგრაფიაც წარმოადგენდა.

თავი VI გენდერი და ისტორია

ისტორიკოსებმა კარგა ხანია შენიშნეს, რომ ისტორიული პროცესი სხვადასხვა სოციალური იდენტობის განვითარებას სხვადასხვაგვარ კვალს აშენებს. სოციალური კლასები, რომლებიც ეკონომიკური მდგომარეობის არათანაბრობის შედეგად წარმოიშობა, ამის თვალსაჩინო მაგალითია. ადამიანურ იდენტობათა შორის ყველაზე ფუნდამენტური არის გენდერული იდენტობა. ის სოციალური პოზიციის მთავარი განმსაზღვრელი იყო წინარე მოდერნულ საზოგადოებებში. როგორია გენდერის თვალთახედვით კაცობრიული ისტორია?

სოციოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ცნებაა სოციალური როლი, რომელიც ინდივიდისაგან გარკვეული სოციალური პოზიციის შესატყვისი ქცევის მოლოდინში მდგომარეობს. არცთუ დიდი ხნის წინ ალბათ ყველასათვის მიუღებელი იქნებოდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება განხილულიყო, როგორც განსხვავება სოციალურ როლებს შორის. დღეს კი აზრი იმის შესახებ, რომ “მამაკაცობა” და “ქალობა” არ არის მარტო ბიოლოგიური მოცემულობანი, არამედ ესაა სოციალურად კონსტრუირებული ფენომენები, ფართოდ არის გაზიარებული.

ეს, მეცნიერული თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება, თავიდან აკადემიური ძიებების მიერ როდი იყო პროვოცირებული. მეცნიერებაში მისი დამკვიდრება ფემინისტური მოძრაობის შედეგია. აღიარებულია, რომ ფემინიზმმა უდიდესი არაპირდაპირი წვლილი შეიტანა წარსული თაობების ისტორიის ახლებური პარადიგმით აღწერაში. ქალთა ისტორია, მსგავსად საზოგადოების ქვედაფენების ისტორიისა და ა.შ., წარმოაჩენს გარდასული სინამდვილის სრულიად ახალ პლასტებს.

ამ თვალთახედვით ისტორიის გადააზრება ჯერ კიდევ საწყისს სტადიაზეა. ახალი მიდგომის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ დღის წესრიგში დადგა ისტორიის პერიოდიზაციის ადრე მიღებული სქემების გადასინჯვა.

ტრადიციულ პარადიგმათა აბსოლუტური უმრავლესობა ისე იყო შემუშავებული, რომ მხედველობაში არ იღებდა ქალების როლს საზოგადოების განვითარებაში. ქალები ისტორიკოსებს “ახსენდებოდათ” მხოლოდ დემოგრაფიული საკითხების აღწერისას. ქალთა საქმიანობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა ფაქტობრივად სრულიად იგნორირებული იყო და მათი სოციალური მობილობა განიხილებოდა მხოლოდ მამაკაცების მობილობის ფაქტებთან კავშირში. ისინი წარმოდგებოდნენ დედად, მეუღლეებად, დებად, ქალიშვილებად, მაგრამ თითქმის არასოდეს დამოუკიდებელ პიროვნებად ან საზოგადო მოღვაწეებად. ამგვარი მდგომარეობის აღსაწერად სპეციალურ ლიტერატურაში გამოყენებულია მეტაფორა “დამუნჯებული ჯგუფი”, ანუ ეს იყო სოციალური ერთობა, რომელიც თავის პოზიციას მხოლოდ სხვა ერთობის, ამ შემთხვევაში – მამაკაცების ერთობის მეშვეობით და მათი ერთგამონახატავდა.

ქალთა სოციალური ემანსიპაციისაკენ მიმართულმა ფემინისტურმა მოძრაობამ ისტორიკოსები წაახლისა წარსულისადმი დაესვათ ახალი კითხვები – ის კითხვები, რომლებიც უკავშირდებოდნენ მამაკაცთა ბატონობას და ამ პირობებში ქალთა გავლენის არაოფიციალური სფეროებს გარკვევას. კითხვები ქალთა მიერ შესრულებულ სამუშაოს ხასიათსაც შეეხებოდა. კვლევის საგნად გადაიქცა თემა, თუ რა გავლენა მოახდინა ქალთა მდგომარეობაზე მეცნიერების განვითარებამ.

ადრე ისტორიკოსები ქალების ისტორიას უგულვებელყოფდნენ არა მარტო იმიტომ, რომ დიდხანს, მოდერნულ ეპოქაშიც კი, ქალები “დამუნჯებულ ჯგუფად” მიიჩნეოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ წყაროებში მათ შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია იყო. ანუ პრობლემას ქმნიდნენ წყაროებიც, რადგან ისინი მომდინარენი იყვნენ სწორედ გენდერული დისბალანსით მარკირებული ეპოქებიდან და კულტურებიდან.

ითვლება, რომ წარსულისადმი გენდერული მიდგომა თავისი მნიშვნელობით ეტოლება “ისტორიას ქვემოდან”. ორივე ამ მიდგომის მიაზნია მოახდინოს კომპლესაცია ტრადიციული ისტორიოგრაფიის ხარვეზისა, რომელიც თავის ფოკუსში

ექსკლუზიურად პოლიტიკურ ელიტას და დომინანტურ სოციალურ ფენებს აქცევს. თუმცა ამ მიდგომათა აბსოლუტიზაცია აშკარად საფრთხის შემცველია. საქმე ისაა, რომ პირველ შემთხვევაში ვიღებთ დაპირისპირებას ელიტისა და ხალხის ისტორიებს შორის, მეორე შემთხვევაში კი – მამაკაცთა და ქალთა ისტორიების სრულ გამოჯენას. რეალურად კი ეს ისტორიები გამოჯნული არ ყოფილა. ამიტომ გაცილებით მიზანშეწონილი ჩანს, რომ ტოტალური ისტორიისათვის, რომელიც თანამედროვე ისტორიოგრაფიული პრაქტიკის ყველაზე მიღებული პარადიგმაა, ცალ-ცალკე კი არ დაიწეროს ქალთა და მამაკაცთა ისტორიები, არამედ ყურადღება გამახვილდეს სქესთა შორის ურთიერთობების ცვლილებების ხასიათზე. ეს იქნება ნამდვილი გენდერული ისტორია და არა ფემინისტური ისტორია.

თუ განსხვავებები ქალსა და მამაკაცს შორის უფრო კულტურული ხასიათისაა, ვიდრე ბუნებრივი, თუ “მამაკაცი” და “ქალი” სხვადასხვა პერიოდში და გარემოში სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული და ეს ორგანიზებული სოციალური როლებია, მაშინ, ბუნებრივია, რომ ისტორიულ პრობლემატიკაში ამ ფენომენების კვლევა უმთავრეს ადგილს იკავებს. ეს გარემოება კი აქამდე სრულიად ყურადღების მიღმა იყო დატოვებული ანუ ანალიზის ობიექტს არ წარმოადგენდა წესები, რომელთა დაცვითაც რომელიმე საზოგადოებაში და ასაკობრივ ჯგუფში უნდა ყოფილიყავი ქალი ან მამაკაცი.

ზემოთ უკვე არაერთხელ ნახსენები ბრიტანელი მეცნიერი პ. ბერკი ძალიან სიანტერესო შენიშვნას აკეთებს გენდერული პრობლემატიკის კვლევის პერსპექტივებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი მიუთითებს:

“ახალი დროის დააწყისში ევროპაში კუდიანთა წინააღმდეგ სასამართლო პროცესების გახშირების ახსნა არის და უნდა იყოს სქესის ისტორიკოსისათვის საინტერესო პრობლემა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრალდებულთა უმრავლესობა ქალები იყვნენ. ამ გამოწვევაზე ჯერჯერობით არ გაცემულა ჯეროვანი პასუხი. კიდევ: მონასტრების, ლევიონების, გილდიების, საძმობის, ამქრებისა და კოლეგიუმების მსგავს ინსტიტუციათა ისტორიას შეიძლება მეტი ნათელი მოეფინოს, თუ მათ “მამაკაცთა

კავშირებად” განვიხილავთ. იგივე ითქმის პოლიტიკაზეც, რადგან ქალები “საჯარო სფეროდან” გამორიცხულნი იყვნენ”.

3. ბერკს მიაჩნია, რომ ასევე ისტორიულად უნდა იქნეს გამორკვეული სქესთა სოციალური კონსტრუირების პროცესიც.

გენდერული ისტორია, რომელიც სოციალური მოძრაობის შედეგად აღმოცენდა, წარსულის წვდომის ახალ პერსპექტივებს გვთავაზობს. თავიდან გენდერული ისტორია გულისხმობდა მხოლოდ ქალთა ისტორიას. მაგრამ ახლა ის ორივე სქესის ისტორიას გულისხმობს.

სქესი არის კაცობრიობის დაყოფის უძველესი კატეგორია. ეს ფუნდამენტური კატეგორიაა და უცვლელია უმეტეს შემთხვევებში. ამიტომ ისტორიკოსები მას თავის კვლევის საგნად არც ხდიდნენ. მაგრამ მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ სქესი იმავდროულად კულტურული კონსტრუქტიცაა, ცხადია, რომ მას აქვს ისტორია და ამიტომაც მოექცა ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშიც.

გენდერული ისტორიის ერთ-ერთი მიმართულება ფოკუსირებულია ქალთა მდგომარეობაზე წარსულში. სხვა მიმართულება კი გულისხმობს ისტორიის რადიკალურ გადაზრებას. მაგალითად, როგორც იოანა კელი აღწერს, მისი პირველი ურთიერთობა ფემინისტური ისტორიის ფუძემდებელთან გერდა ლერნერთან დაგვირგვინდა სტატიით “ჰქონდათ კი რენესანსი ქალებს?” კელის მიხედვით, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია: ქალებს არათუ არ ჰქონიათ რენესანსი, ქალთა ისტორია საერთოდ სულ სხვაგვარ პერიოდიზაციას ექვემდებარება.

დიდ ბრიტანეთში გენდერული ისტორია გარკვეულწილად მარქსიზმს დაუკავშირდა. როგორც ითქვა, მარქსისტული ისტორიოგრაფია ფოკუსირებული იყო სოციალური მარგინალების ისტორიის კვლევაზე, ე.წ. “ისტორიაზე ქვემოდან”. შესაბამისად, ქალებიც, როგორც სოციალური მარგინალები, მოხვდნენ მარქსისტთა თვალსაწიერში.

თავიდან ფემინისტური ისტორია ეფუძნებოდა პოსტულატს, რომ ქალები ყველგან ერთნაირნი არიან. მაგრამ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან აღინიშნება საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომის შემთხვევები, კერძოდ, ჩნდება თვალსაზრისები, რომელთა მიხედვითაც, ფერედკანიანთა “ქალობა” რამდენადმე

სხვაგვარად არის კონსტრუირებული, ვიდრე ესაა თეთრკანიანთა შემთხვევაში და ა.შ.

ქალთა და მამაკაცთა სოციალურ როლებს განიხილავენ დიქტომიების – ბუნება / კულტურა, სამუშაო / ოჯახი, საზოგადო / პრივატული და ა.შ. – ჭრილში. სახლი, სახლის საქმე ქალის პრეროგატივად აღიქმებოდა; ომი, და საზოგადოებრივი აქტივობა – მამაკაცის. მაგრამ გარკვეულ სოციალურ კიბეზე მდგომი ქალის “სახლის საქმე” დიდ ძალაუფლების შემცველი იყო. მაგალითად, ზოგიერთ წინამოდერნულ საზოგადოებაში დედოფლები სამეფო ხაზინის გამგებელნიც (და ამის გამო დიდი გავლენის მქონენიც) იყვნენ, რადგან ეს იყო, ასე ვთქვათ, ოჯახური ეკონომიკა.

ქალთა ისტორია, როგორც კვლევის ორგანიზებული სფერო ჩნდება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან და უკავშირდება ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მიმართულებას თავიდან ძალიან გაუჭირდა სამეცნიერო წრეებში ფეხის მოკიდება. ისტორიკოს ქალთა წილიც არ იყო დიდი. თავდაპირველად ქალთა ისტორიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია წარმატებას. სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ის გზას უფრო რთულად იკაფავდა.

თავი VII

ისტორიის სწავლება და ბოლონიის პროცესი

რა ცოდნა და გაგებანი, უნარ-ჩვევებია აუცილებელი, რომ გახდეთ ისტორიკოსი, როგორია ისტორიკოსის როლი საზოგადოებაში და რა პერსპექტივები აქვს ამ პროფესიის ადამიანს დასაქმების თვალსაზრისით?

1998 წლის 25 მაისს საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის დიდი ბრიტანეთის განათლების მინისტრებმა სორბონაში ხელი მოაწერეს დეკლარაციას ევროპის უმაღლესი განათლების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ. ეს იყო ბოლონიის პროცესის მოსამზადებელი დოკუმენტი. ბოლონიის პროცესი დაიწყო მას შემდეგ, რაც ოცდაცხრა ევროპული სახელმწიფოს განათლების მინისტრმა ბოლონიაში 1999 წლის ივნისში ხელი მოაწერეს დეკლარაციას იმის შესახებ, რომ ჩაატარებდნენ საკუთარი საგანმანათლებლო სისტემების რეფორმებს, მიმართულს მათი დაახლოებისა და განათლების ერთიანი ევროპული დონის შექმნისაკენ. ეს პროცესი იშვა იმის გაცნობიერებისაგან, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, ევროპის უმაღლესი განათლების სისტემები დგანან ერთნაირი საშინაო და საგარეო ცვლილებების აუცილებლობის წინაშე, რაც უკავშირდება უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობის მატებას, კურსდამთავრებულთა შრომით დასაქმებას, უმთავრესს სფეროებში ინტელექტის დაუნჯებას ანდა საკუთარი თუ ტრანსნაციონალური განათლების გავრცელებას. ამჟამად ბოლონიის დოკუმენტების ხელმოწერთა შორის ორმოცდახუთი ქვეყანაა.

ბოლონიის დეკლარაციის მიხედვით, 2010 წლისათვის უნდა დასრულდეს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება და ეს მთელ მსოფლიოშიც გავრცელდეს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ადვილად განსამარტავი და ერთმანეთან შესატყვისი აკადემიური ხარისხების დანერგვას. ბოლონიის პროცესის მიზანია სტუდენტის საჭიროებებზე ორიენტირება. ბოლონიის პროცესი განსაზღვავს ჩარჩოს, იმას, რომ პროცესში გაერთიანებული ყველა ქვეყანა უმაღლესი

განათლების საკითხებზე ერთმანეთისათვის გასაგებად საუბრობდეს, რომ ჰქონდეთ ურთიერთშეთანხმებული სასწავლო სტრუქტურები (სასწავლო პროგრამების ციკლები, კრედიტები, ხარისხის შემოწმების ერთგვაროვანი პროცედურები და ა.შ.). ეს საშუალებას იძლევა, რომ სტუდენტის მუშაობა ბოლონიის პროცესში გაერთიანებულ ყველა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში შეფასდეს ერთგვარად. ბოლონიის პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს გამჭვირვალობას, ხარისხს და მის საერთაშორისო ცნობადობას და დასაქმებას და, არა უბრალოდ, მობილობას. ბოლონიის პროცესის განვითარებას პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად დიდად უწყობენ ხელს თავად სტუდენტები.

უკვე ბოლონიის დეკლარაციის გაფორმებიდან დაიწყო ერთი წლის შემდეგ მოქმედება ე.წ. “თიუნინგის” პროგრამამ, რომლის მიზანია ბოლონიის პროცესის იმგვარი წარმართვა საუნივერსიტეტო დონეზე, რომ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებები ამა თუ იმ დისციპლინის სწავლების დარგში ერთმანეთს შეეთანადოს, ამასთან ეს ისე მოხდეს, რომ თითოეული მათგანის თავისებურებები და სპეციფიკა არ წაიშალოს: ავტონომიურობა და მრავალფეროვნების დანარჩუნება ამ შეთანადების უმთავრესი პირობაა.

ამჟამად საერთო ევროპული თვალსაზრისით რამდენიმე დისციპლინაა განსაზღვრული. მათ შორის არის ისტორია.

პროფესორების, მეცნიერების, ამ პროექტში ჩართული სხვა ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით დადგინდა იმ კომპეტენციების წრე, რომელიც უნდა ჩამოუყალიბდეს ადამიანს იმისათვის, რომ ის იყოს სრულფასოვანი ისტორიკოსი. ეს კომპეტენციები ორი ტიპისაა: პირველია ზოგადი უნარები, რომლებიც შეიძლება საერთო იყოს სხვადასხვა დარგისათვის და აგრეთვე დარგისათვის სპეციფიკური კომპეტენციები.

ზოგადი უნარები ძირითად სამი სახისაა: 1. ინსტრუმენტური კომპეტენციები ანუ შემეცნებითი, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური და ლინგვისტური კომპეტენციები; 2. ურთიერთობების კომპეტენცია – სოციალური ურთიერთობის უნარის, თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის უნარის

გამომუშავება; და 3. სისტემური კომპეტენცია ანუ უნარი ყველა კომპეტენციის კომბინირებულად გამოყენებისა.

რაც შეეხება დარგისათვის სპეციფიკურ კომპეტენციებს, ისტორიისათვის ისინი საკმაოდ ძნელი განსასაზღვრელი აღმოჩნდა. ბოლოს სპეციალისტებმა დაასახელეს ოცდაათამდე ასეთი კომპეტენცია, რომელთა ჩამონათვალსაც ქვემოთ გთავაზობთ:

– კრიტიკული ცოდნა იმისა, რომ თანამედროვე და წარსულში განვითარებულ პროცესებს შორის არსებობს შინაგანი კავშირი;

– ცოდნა იმისა, რომ სხვადასხვა ეპოქაში და კონტექსტში არსებობს განსხვავებული ისტორიოგრაფიული შეხედულებები;

– ცოდნა და პატივისცემა იმისა, რომ არსებობს ისტორიული კონცეფციები, რომლებიც წარმოშობილია განსხვავებულ ეროვნულ გარემოში;

– გაცნობიერება იმისა, რომ ისტორიულ გამოკვლევებს და დებატებს აქვთ გარდამავალი ხასიათი ანუ ყოველ ეტაპზე მხოლოდ ფარდობითი ჭეშმარიტება მიიღწევა;

– თანამედროვე ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემების დეტალური ცოდნა;

– კაცობრიობის ისტორიის რომელიმე სპეციალური მონაკვეთის დეტალური ცოდნა;

– მშობლიურ ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი პროფესიაში გამოყენებადი ტერმინებითა და სათანადო ტექნოლოგიით;

– უცხო (საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობის) ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი ისტორიოგრაფიაში გამოყენებადი შესაბამისი ტერმინებითა და ტექნიკით;

– ისტორიოგრაფიული ტექსტებისა და დოკუმენტების გაცნობის, ანოტირების და შეჯამების უნარი;

– აკადემიური წერის პრინციპების დაცვით მშობლიურ ენაზე წერის უნარი;

– აკადემიური წერის პრინციპების დაცვით უცხო (საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობის) ენაზე წერის უნარი;

– ბიბლიოგრაფიის, საარქივო მონაცემების, ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი;

- ისტორიული ტექსტების კითხვისათვის სპეციფიკური საგნების (პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა) ცოდნა;
- კომპიუტერის, ინტერნეტის გამოყენების ცოდნა;
- სხვა დისციპლინების (სტატისტიკის, სოციოლოგიის) მეთოდების გამოყენების ცოდნა და მათი მეშვეობით მონაცემთა ბაზის შექმნის უნარი;
- ძველი ენების ცოდნა;
- ადგილობრივი (ე.წ. ლოკალური) ისტორიის ცოდნა;
- ნაციონალური ისტორიის ცოდნა;
- ევროპის ისტორიის ცოდნა შედარებით ჭრილში;
- ევროპული ინტეგრაციის ისტორიის ცოდნა;
- მსოფლიო ისტორიის ცოდნა;
- სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების (ტექსტოლოგიის, ენის ისტორიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, სამართლის, სოციოლოგიის, ფილოსოფიის) მეთოდებისა და მეთოდების გამოყენების ცოდნა და უნარი;
- ისტორიის სხვადასხვა განშტოების (ეკონომიკური, სოციალური, გენდერული) პრობლემატიკის ცოდნა;
- ისტორიული პრობლემის განსაზღვრის უნარი;
- ინფორმაციის წყაროების იდენტიფიკაციის და კვლევისათვის მათი გადამუშავების უნარი;
- არსებული ისტორიული ინფორმაციის მწყობრად ჩამოყალიბების უნარი;
- მოპოვებული დასკვნებისათვის ისტორიის დარგის შესაბამისი თხრობითი ფორმის მიცემის, ტექსტების ანოტირების, დისციპლინის კრიტიკული კანონების შესაბამისად მათი კომენტირების უნარი;
- ისტორიის დიდაქტიკის ცოდნა.

2005 წლიდან საქართველოც შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა თანდათან შეეთანადება ევროპულს, ჩვენშიც შემოვიდა საერთო ევროპული საკრედიტო სისტემა, რაც მთელი ევროპის მასშტაბით სტუდენტთა მობილობის გარანტიას იძლევა. ისტორიის სწავლება წარიმართება სამ საფეხურად: არსებობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეები. თითოეულ დონეს

კრედიტების გარკვეული რაოდენობა შეესაბამება. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში და ერთი და იგივე ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელშიც კი ეს კრედიტები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ძირითად პროგრამა და მეორადი პროგრამა ერთობლიობაში შეადგენს 240 კრედიტს. ძირითადი პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან. არჩევითი საგნების წილი საკმაოდ დიდია, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მრჩევლებთან თუ პროფესორთან კონსულტაციების გზით სრულიად ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა შეიძინოს. ამგვარად კურსის დამთავრების შემდგომ არცერთი სტუდენტი თავისი განათლების შინაარსით ზუსტად არ დაემთხვევა სხვას, რაც ზრდის თითოეულის დასაქმების შესაძლებლობას. მაგისტრატურა არის 120 კრედიტიანი, აქედან 30 კრედიტი მოდის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე, ხოლო დანარჩენი ეთმობა არჩევით და სავალდებულო საგნებს.

ბაკალავრიატის ხარისხის მქონე ისტორიკოსის შესაძლო დასაქმების არეალი საკმაოდ ფართოა: მას მუშაობის დაწყება შეუძლია სკოლაში, ბიბლიოთეკაში, არქივში, ჟურნალისტიკის სფეროში, დიპლომატიურ სამსახურში – მოკლედ ყველგან, სადაც საჭიროა კომუნიკაბელური, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ზოგადი კულტურის მქონე პიროვნებები. ყველა ჩამოთვლილი ადგილის დასაკავებლად გაცილებით დიდია ისტორიის დარგში მაგისტრის პერსპექტივები, რომელსაც, ამას გარდა, კვლევით დაწესებულებებში და უმაღლეს სკოლებში აქვს შესაძლებლობა იმუშაოს. რაც შეეხება დოქტორებს, მათი კარიერა, ცხადია, არის სამეცნიერო, დოქტორანტურაში სწავლა ხომ ნიშნავს უმაღლეს სპეციალიზაციას მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. სწორედ ისტორიის დოქტორებით კომპლექტდება ამ დარგის საუნივერსიტეტო პროფესურა.

თავი VIII ისტორიული წყარო

რა ადგილი უკავია ისტორიულ წყაროს ისტორიულ შემეცნებაში? რა არის პირველადი ან მეორადი ან ავთენტური წყარო? როგორ უკავშირდება წყაროთა კლასიფიკაციის და წყაროთა სანდოობის პრობლემები ერთმანეთს? რა და რა სახის ინფორმაცია შეიძლება იყოს ისტორიულ წყაროში დაცული?

ისტორიული შემეცნება ხორციელდება მედიუმის გზით. ეს ნიშნავს, რომ დამკვირვებელსა და შესასწავლ ფაქტს შორის არსებობს შუალედური რგოლი, რომელიც აიოლებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის მოცემული ფაქტის აღქმას. საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ამგვარ შუალედურ რგოლად ხშირად გამოდის ესა თუ ის ხელსაწყო ან ფიზიკური თუ თეორიული მოდელი. ისტორიკოსებიც მიმართავენ მოდელირების მეთოდს, მაგრამ ჯერჯერობით (და, შესაძლოა, სამომავლოდაც) ამ მეთოდის ანუ მოვლენათა კვლევის მიზნით ისტორიული მოდელის შექმნას გამოყენება შეზღუდულია. ამის მიზეზი, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, არის ისტორიული მოდელის შექმნის სირთულე და ამავე დრის თავად ისტორიული მოვლენების ურთიერთგანსხვავებულობა (გარეგნული თვალსაზრისით მაინც), რაც ზღუდავს ისტორიული მოვლენების მოდელირებას.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ისტორიულ შემეცნებაში ენიჭება ისტორიულ წყაროს. ხელსაწყოსაგან და მოდელისაგან მას ის განასხვავებს, რომ წყარო დამკვირვებლისაგან სავსებით დამოუკიდებელი მოცემულობაა. თუკი ბუნებისმეტყველი, გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეარჩევს გამზომ ხელსაწყოს ან აღმწერი მოდელის პარამეტრებს და ცდის მსვლელობაში ცვლის შესასწავლ ობიექტზე ზემოქმედების ინტენსივობებს, ისტორიკოსისათვის შემეცნების ისეთი მედიუმის მიმართ, როგორც ისტორიული წყაროა, ასეთი რამ წარმოუდგენელია. პარამეტრების თვალსაზრისით, წყარო არის დამკვირვებლისაგან (ისტორიკოსისაგან) დამოუკიდებელი რეალობა.

მაგრამ ისტორიული წყაროსათვის არსებითია ისაა, რომ იგი ინფორმაციის მატარებელ რეალობას წარმოადგენს. ყურადღება მივაქციოთ, რომ დაუშვებელია წყაროს გაიგივება მის ინფორმაციასთან. შეიძლება ითქვას, რომ წყარო არის მატერიალიზებული (ნივთიერად ან სიტყვიერად) ინფორმაცია.

კულტურული ტექსტისათვის²⁵ წყაროს სტატუსის მიღება არის გარკვეული მიმართების გამოხატულება. კულტურული ტექსტი წყაროდ იქცევა მას შემდეგ, რაც მას გარკვეული ისტორიული კითხვით მიმართავენ. მაგალითად, “წმ. შუშანიკის მარტვილობა” არის ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძეგლი. იგი წყაროდ შეიძლება განვიხილოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისგან ისტორიული ინფორმაციის ამოღებას მოვინდომებთ. აქედან გამომდინარე უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული ტექსტები მხოლოდ ისტორიკოსის ნაშრომებში იძენენ წყაროების მნიშვნელობას ანუ წყაროება არის მიმართება.

წყარო ასახავს სინამდვილეს, ინახავს ინფორმაციას ამ სინამდვილის შესახებ. მაგრამ სინამდვილე უსასრულოდ მრავალსახოვანია, შესაბამისად, მრავალგვარია ის კვალიც, რომელსაც ტოვებს ისტორიული პროცესი, ე.ი. მრავალია წყაროთა გამოვლინების ფორმები.

ვინაიდან მეცნიერება და, მათ შორის, ისტორიული მეცნიერებაც არის სისტემატიზებული ცოდნა, შესაძლებელია და აუცილებელიცაა მის შესამეცნებელ ობიექტთა მოწესრიგება გარეგანი და შინაგანი ნიშნების მიხედვით ანუ მათი კლასიფიციება გარკვეული პრინციპით. კლასიფიკაცია არის ყოველი მეცნიერების საწყისი და ამავე დროს სამომავლო პრობლემა: თავიდანვე აუცილებელია ობიექტების გარკვეული მოწესრიგება, შემდგომში კი მათი შეცნობის კვალობაზე ეს სისტემა იხვეწება და რეალობის სულ უფრო და უფრო ადექვატურად აღმწერი ხდება.

სპეციალისტების დიდი განსჯის საგანია სწორედ ის ძირითადი პრინციპი, რის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს

²⁵ ამ ტერმინში იგულისხმება როგორც წერილობითი, ისე არაწერილობითი კულტურული მოცემულობანი, ანუ “ტექსტს” ამ შემთხვევაში აქვს ფართო გაგება.

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია. საქმე ისაა, რომ მრავალფეროვნება და მრავალგვარობა ართულებს ამ საქმეს. მაგრამ ვინაიდან არსებითია ის, რომ წყარო არის ინფორმაციის მატარებელი, მათი დაჯგუფება ანუ კლასებად დაყოფა უნდა მოხდეს მათში ინფორმაციის კოდირების (სპეციფიკური ფორმით ჩაწერის) პრინციპის გათვალისწინებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ისტორიულ წყაროთა დაყოფამ შვიდ კლასად. ეს კლასებია: ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირი, ენობრივი, წერილობითი, კინო-ფოტო და ფონური. უკანასკნელი ორი კლასი დიდხანს გაერთიანებული იყო ერთ ჯგუფში. ზოგი მკვლევარი ამგვარ კლასიფიკაციას ტიპოლოგიურს უწოდებს.

ამ ტრადიციულ კლასიფიკაციასთან შედარებით უფრო მართებული ჩანს ს. შმიტის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია: ნივთიერი, სახვითი, სიტყვიერი, ბგერითი, ქცევითი, კონვენციური ანუ პირობითი (ნოტები, ელექტრო კარდიოგრამები და სხვ.).

როცა უკანასკნელად წარმოდგენილი სქემის სრულყოფილების შესახებ შევნიშნავ, პირველ რიგში ვგულისხმობ მასში საკლასიფიკაციო პრინციპის უფრო თანამიმდევრულ დაცვას იმ თვალსაზრისით, რომ საკლასიფიკაციო ერთეულები არ გადაკვეთენ ერთმანეთს, როგორც ეს, მაგალითად, ხდება ზემოთ მოყვანილ ტრადიციულ კლასიფიკაციაში: აქ ეთნოგრაფიული წყაროები ერთ-ერთ კლასად გამოყოფილი, მაშინ როცა ეს ფაქტობრივად არ არის ერთი კლასი ინფორმაციის კოდირების (ჩაწერის) თვალსაზრისით. აქ იგულისხმება როგორც ნივთიერი, ასევე სიტყვიერი თუ ქცევით სახის ინფორმაციის მატარებლები. თავდაპირველად წარმოდგენილ ტრადიციულ კლასიფიკაციას აქვს სხვა პრობლემაც: მის მიხედვით დამოუკიდებელ ჯგუფებად გამოყოფილი წერილობითი და ზეპირი წყაროები ფაქტობრივად ერთი კლასია თუ კლასიფიკაციის კრიტერიუმად ინფორმაციის კოდირების პრინციპს მივიჩნევთ. ოროვე შემთხვევაში ინფორმაციის მატარებელია სიტყვა.

ცნობილია, რომ წყარო შეიცავს არა მარტო იმ ინფორმაციას, რომელიც მასში გამიზნულად არის ჩადებული, არამედ აგრეთვე ისეთსაც, რომელიც არ არის დამოკიდებული ავტორის ნებაზე.

პირველი სახის ინფორმაცია არის პირდაპირი, გამოხატული, აქტუალიზებული ღია, განზრახული ინფორმაცია. მეორე სახის ინფორმაცია კი არის არაპირდაპირი, ფარული, პოტენციური, სტრუქტურული და უნებლიე.

პირველწყარო და *მეორადი წყარო* – ამ ცნებებს ხშირად იყენებენ ისტორიკოსები. ცხადია, პირველწყაროა ის, რომელიც სინამდვილის პირველად ასახვას წარმოადგენს, მეორადი კი მისი გადამუშავებაა. *პირველწყაროს* ცნებასთან მიმართებაში სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება *ავთენტური* წყაროს საკითხი. სპეციალისტები ამ ორ ფენომენს ანუ მოვლენას ერთმანეთისაგან განასხვავებენ. პირველწყაროს უმთავრესი მახასიათებელი არის ის, რომ მასში პირველად ხდება სინამდვილის ამა თუ იმ ფაქტის ფიქსირება, ავთენტურისა კი ის, რომ ამბების აღმწერი თავად არის თვითმხილველი და ფაქტის თანამონაწილე. ზოგჯერ სპეციალისტებიც კი ამ ორ ტერმინს შეცდომით სინონიმებად მიიჩნევენ, თუმცა არ არის სწორი მათ შორის განმასხვავებელი იმ ნიუანსის მხედველობიდან დაკარგვა, რომლის შესახებაც ზემოთ ითქვა. ყველა ავთენტური წყარო პირველწყაროა, მაგრამ ყველა პირველწყარო როდი არის ავთენტური წყარო, რადგან ფაქტის პირველად ჩამწერი არ არის აუცილებელი თვითმხილველიც იყოს.

წყაროთა კლასიფიკაციით ბუნებრივია ავტომატურად არ წყდება წყაროთა ვერიფიცირების პრობლემა, მაგრამ კლასიფიკაცია გარკვეულ საფუძველს უდავოდ ქმნის ამისათვის. ამგვარად, კლასიფიკაცია მჭიდროდ უკავშირდება წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის პრობლემებს. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ტიპის, გვარის, თუ სახეობის წყაროს ახასიათებს გარკვეული სახის სტერეოტიპულობა, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითად, სიგელ-გუჯრებს (ესაა წერილობითი წყაროები, რომლებიც განეკუთვნებიან დოკუმენტურ წყაროთა გვარს) აქვთ სრულიად გამოკვეთილი სტრუქტურა, სტერეოტიპული ფორმა და ნაწილობრივ შინაარსიც კი. სტერეოტიპულობა ახასიათებთ შუა საუკუნეების ისტორიის რეკონსტრუქციისას ძალიან ხშირად წყაროებად გამოყენებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსაც. საჭიროა ამ სტერეოტიპების ცოდნა,

რომ ნამდვილი და ლიტერატურული კლიშეებით²⁶ ნაკარნახევი ინფორმაცია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს.

ყველა სხვა წყაროს შორის თავისი ინფორმატულობით განსაკუთრებით გამოირჩევა სიტყვიერი წყაროები. ამიტომ ისინი სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს და მათი კლასიფიკაციის საკითხიც უკეთ არის შესწავლილი. სოციალური ფუნქციის მიხედვით ამ ტიპის წყაროებში გამოიყოფა ორი გვარი. ესაა ის სიტყვიერი წყაროები, რომლებიც ადამიანთა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წარმოიშვნენ და ისეთი სიტყვიერი წყაროები, რომლებიც აკმაყოფილებენ ადამიანის შემეცნებით, ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს. სპეციალურ ლიტერატურაში პირველი გვარი ნაშთის, ისტორიული რელიქტის დოკუმენტური წყაროების სახელწოდებითა არის ცნობილი, ხოლო მეორე იწოდება თხრობით (ნარატიულ) წყაროებად, ისტორიულ ტრადიციად.

უფრო კონკრეტული სოციალური ფუნქციების მიხედვით, გვარები ნაწევრდება სახეებად, ქვესახეებად, ნაირსახეობებად და ა.შ. კონკრეტული წყაროების სახეებად დაყოფა დიდ სირთულეს წარმოადგენს. სპეციალისტები ვერ თანხმდებიან დაყოფის კრიტერიუმების შერჩევის საკითხში. ზოგჯერ ჯგუფებს ინფორმაციის კოდირების მიხედვით გამოყოფენ. ზოგჯერ მხედველობაში იღებენ ძეგლის შინაგან ფორმას ან მის სოციალურ ფუნქციას, ხანაც ამ ორივე ნიშანს ერთად. არის შემთხვევები, როცა კლასიფიკაციის კრიტერიუმად ირჩევენ ისეთ მახასიათებელს, რომელიც, მხოლოდ წყაროთმცოდნეობითი ანალიზის დამთავრების შემდეგ ვლინდება. ცხადია, ის ნიშანი, რომელიც თავდაპირველად დაფარულია, საწყის საკლასიფიკაციო კრიტერიუმად არ გამოდგება. ამიტომ მართებულია სახეებად

²⁶ “კლიშე” ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სურათის პირს გამოყვანილს რელიეფურად. მას იყენებდნენ საბეჭდავად. მოყვანილ კონტექსტში იგი ნიშნავს ლიტერატურული ჟანრის მოთხოვნილებით ჩამოყალიბებულ გარკვეულ ფორმატს, რომლის ჩარჩოშიც უნდა დაიწეროს თხზულება. კლიშესათვის დამახასიათებელი არის განმეორებადობა უცვლელად. ამიტომ ამ სიტყვამ ერთგვარი უარყოფითი მნიშვნელობაც კი შეიძინა, როგორც არაშემოქმედებითი მიდგომის მაჩვენებელმა.

დაყოფა მოხდეს ძეგლების სოციალური ფუნქციების მიხედვით. ჯერ წყაროთა მასივი გვარებად უნდა დანაწევრდეს უფრო ზოგადი სოციალური ფუნქციების მიხედვით, ხოლო სახეებად და ქვესახეებად – შედარებით ვიწრო, კონკრეტული ფუნქციების მიხედვით. თუმც, ცხადია, წყაროთა არსის წვდომისათვის ინფორმაციის კოდირების პრინციპის მიხედვით კლასიფიკაცია საუკეთესაა. შეჭველია, ამგვარ ვითარებას თანდათან მიუახლოვდება ისტორიული მეცნიერება, რადგან, როგორც ითქვა, კლასიფიკაცია არის არა მარტო ყოველი მეცნიერების დასაწყისი, არამედ მისი საბოლოო მიზანიც.

თავი IX

ისტორიული შემეცნების წყაროთმცოდნეობითი ეტაპი და მისი როლი ისტორიული სურათის რეკონსტრუქციაში

რას ნიშნავს წყაროს ჰერმენევტიკული ანალიზი, წყაროს ატრიბუცია ან წყაროს “უდანაშაულობის პრეზუმპციის” პრინციპი?

წყაროთმცოდნეობა ისტორიული სამეცნიერო დისციპლინაა, რომლის საგანსაც წყაროთა ინფორმაციული შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს. ისტორიული მეცნიერების სტრუქტურაში ამგვარი მიზანდასახულების დარგის გაფორმებას აუცილებლობით განაპირობებს ისტორიული შემეცნების უმთავრესი თავისებურება, კერძოდ ის, რომ შემეცნების ობიექტი – გარდასული სინამდვილე – დამკვირვებელს უშუალოდ ცდაში არ ეძლევა, ისტორიკოსი მას “აღადგენს” წარსულისაგან დატოვებული კვალის ანუ ისტორიული წყაროს მეშვეობით. რამდენად უფრო სრულყოფილად იცნობს ისტორიკოსი ამ წყაროს, რამდენად უფრო გარკვეულია მისთვის ინფორმაციის ამ “აკუმულატორის” ტევადობა, მით უფრო კორექტულია კითხვები, რომლებსაც ის, როგორც მკვლევარი, სვამს წყაროს მიმართ; მით უფრო ცხოველმყოფელია ამ კითხვების მეშვეობით რეკონსტრუირებული წარსულის სურათი. ეს მარტივი ჭეშმარიტება კარგად ესმოდათ ძველთგანვე. ამიტომ იყო, რომ წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის პირველი ნაბიჯები გადაიდგა უხსოვარ დროში – ისტორიული ცოდნის დაგროვების თითქმის თანადროულად. თავიდან ეს ნაბიჯები მეტად მოკრძალებული იყო და ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში მსჯელობა წყაროს სანდოობის შესახებ მოკლე რემარკების²⁷ სახით გვევლინებოდა და “სალი აზრის” ლოგიკას არ სცილდებოდა. მაგრამ ისტორიული

²⁷ “რემარკა” ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს “შენიშვნას”, “მინაწერს”.

მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ XIX ს II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მოიტანა თვისებრივად ახალი პრობლემები, წამოჭრა საკითხები, რომელთა კვლევა კარდინალურ²⁸ ცვლილებებს მოითხოვდა არსებულ წყაროთა ბაზაში. ეს ბაზა გადახალისდა, შეივსო. ამასთან, რადგან გაიზარდა ისტორიული რეკონსტრუქციის რაციონალიზაციის²⁹ მოთხოვნილება, გამკაცრდა წყაროთა ღირებულების შეფასების კრიტერიუმები. ყოველივე ამან კი წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის გაინტენსიურებაც გამოიწვია, რაც აისახა წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების მოცულობაშიც. მსჯელობანი წყაროს სანდობისა თუ სისრულის შესახებ ლაკონიური³⁰ რემარკით კი არ ამოიწურებოდა, არამედ წარმოადგენდა ვრცელ წყაროთმცოდნეობით ნარკვევს, რომელიც ხშირად ისტორიული ნაშრომის შესავალ პარაგრაფებს მოიცავდა.

ემპირიული ცოდნის დაგროვებას მოჰყვა პირველი განზოგადებანი, გაჩნდა თეორიული წყაროთმცოდნეობითი ნაშრომები, დაიწყო წყაროთმცოდნეობითი რეფლექსია. აშკარა გახდა ისტორიულ კვლევაში წყაროთმცოდნეობითი ეტაპის ავტონომიურობა.

წყაროთმცოდნობა არსად “არ წასულა” ისტორიული მეცნიერებისაგან, თვით მის შიგნით შემოიფარგლა გარკვეულწილად, რადგან წყაროთმცოდნეობითი ანალიზის გართულებამ შეუძლებელი გახდა ერთდროულად ორი მიზნის – წყაროს ინფორმაციული შესაძლებლობების განსაზღვრა და ისტორიული რეკონსტრუქცია – სრულყოფილად მიღწევა.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი: წყაროთმცოდნეობის ავტონომიურობა არ ნიშნავს არც დედა-მეცნიერებისაგან, ე.ი. ისტორიისაგან მის გამოყოფას, არც მის დაცილებას ისტორიული შემეცნების უზოგადესი მიზნიდან. ისტორიული შემეცნება იწყება წყაროს შემეცნებით, ისტორიული კვლევა იწყება წყაროთმცოდნეობითი კვლევით. ისტორიული მეცნიერების

²⁸ კარდინალური (ლათ.) – მთავარი, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი.

²⁹ რაციონალური (ლათ.) – გონივრული, მიზანშეწონილი.

³⁰ ლაკონიზმი (ლათ.) – აზრის გამოთქმა მოკლედ და მკაფიოდ.

სტრუქტურის არსების თვალსაჩინოდ გამოვლენის მიზნით საერთოდაც უმჯობესია ვილაპარაკოთ არა წყაროთმცოდნეობით კვლევაზე, არამედ ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობით ეტაპზე. ამ საწყის ეტაპს მოსდევს ისტორიული კვლევის საკუთრივ ისტორიოგრაფიული და შემდგომ ისტორიული რეკონსტრუქციის სოციოლოგიურად ორიენტირებული ეტაპები.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობისათვის საფუძველს კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკა იძლევა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ვითარება სპეციალისტების მიერ გაცნობიერებული არ ყოფილა ისტორიული მეცნიერების დიფერენციაციის³¹ პროცესის თანადროულადვე. აღნიშნულს ასაჩინოებს თუნდ სპეციალისტთა შორის ხანგრძლივად მიმდინარე პოლემიკა იმის შესახებ, წყაროთმცოდნეობა დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაა თუ დამოუკიდებელი.

ისტორიული შემეცნების უზაგადესი მიზანია საზოგადოებაში მოქმედი კანონების შემეცნება, ე.ი. ისტორიული პროცესის შემეცნება და ახსნა არსების დონეზე. ამ მიზანთან მიმართებაში წყაროთა კვლევას, რა თქმა უნდა, აქვს დამხმარე მნიშვნელობა. წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგები ყოველთვის მიმართულია ისტორიულ ძიებთა უფრო “მაღალი” ეტაპებისაკენ. “მაღალი”, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ წყაროთმცოდნეობითი კვლევა უფრო დაბალი რანგის საქმიანობაა, ვიდრე საკუთრივ ისტორიული ან რომ წყაროთმცოდნისათვის ნაკლები პროფესიონალიზმია საჭირო. პირიქით, აქ სიძნელებები მეტიცაა.

ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობითი ეტაპი არც მნიშვნელობით ჩამოუვარდება სხვა ეტაპებს. წყაროთმცოდნეობა ისტორიული კვლევის საფუძველია. როცა ვამბობ “მაღალი”, მხედველობაში მაქვს წყაროთმცოდნეობის მიმართება ისტორიული შემეცნების უზენაეს მიზანთან. დისტანცია ამ მიზანსა და წყაროთმცოდნეობით სინთეზს შორის უფრო დიდია, ვიდრე ამ მიზანსა და ისტორიოგრაფიულ (ისტორიულ) რეკონსტრუქციას

³¹ “დიფერენციაცია” ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მთელის დაყოფას, დანაწევრებას.

შორის. ამიტომ ვამბობთ, რომ ისტორიული რეკონსტრუქცია, წყაროთმცოდნეობით სინთეზთან შედარებით, შემეცნებით იერარქიაში უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ბუნებრივია, სპეციალისტების მიერ გაცნობიერებული რომ ყოფილიყო – წყაროთმცოდნეობის გამოყოფა ისტორიული მეცნიერების დიფერენციაციის შიდა პროცესია, ხოლო მისი საგნის გამოკვეთა ნიშნავს მხოლოდ მთელის შიგნით ავტონომიურობას და არა დედამეცნიერებისაგან გამოცალკევებას – საკითხი იმის შესახებ დამოუკიდებელია თუ არა წყაროთმცოდნეობა, როგორც დისციპლინა, არც კი უნდა დასმულიყო სპეციალურ ლიტერატურაში.

წყაროთმცოდნეობითი რეფლექსიისას პრაქტიკისაგან თეორიის დაშორება იგრძნობა წყაროთმცოდნეობის დეფინიციის საკითხშიც: “წყაროთმცოდნეობა შეისწავლის ისტორიულ წყაროებს” – ეს განმარტება თავისთავად არაინფორმაციულია, ტავტოლოგიურია³². უნდა განიმარტოს სწორედ ის, თუ რა მხრივ შეისწავლის, რომელია ზუსტად ის კუთხე, რომლიდანაც წყაროთმცოდნის გარდა არავინ დამზერს ძეგლს.

წყაროთმცოდნეობას წარსულის ობიექტები აინტერესებს ინფორმაციის თვალსაზრისით, მისი მიზანია ძეგლის ინფორმაციული შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა შემდგომ შესაძლებელი გახდეს ამ ინფორმაციის გამოყენება ისტრიოგრაფიულ რეკონსტრუქციაში. სწორედ აღნიშნულ ამოცანას უმორჩილებს ეს დისციპლინა თავის კონკრეტულ თუ თეორიულ კვლევას.

წყაროთმცოდნეობაში პრაქტიკისაგან თეორიის ერთგვარი ჩამორჩენის მაჩვენებელია “ისტორიული ძეგლისა” და “ისტორიული წყაროს” ცნებების გამოყენების შესახებ კამათიც.

³² “ტავტოლოგია” ბერძნულიდან მომდინარე ტერმინია. სიტყვაა, რომელიც სიტყვისიტყვით “იგივესიტყვაობას” ნიშნავს. ანუ ესაა ერთი და იგივე აზრის გამეორება სხვადასხვა სიტყვებით. მტკიცება, რომ “წყაროთმცოდნეობა შეისწავლის წყაროებს” არის აშკარა ტავტოლოგია. ”მცოდნეობა” და “შესწავლა” ერთი და იმავე აზრის მქონე სიტყვები. ტავტოლოგია სტილისტური ხინჯია, მაგრამ სრულიად მოუთმენელი ხარვეზია ტავტოლოგია ტერმინის განმარტებისას.

წყაროთმცოდნის კვლევის ობიექტია “ისტორიული ძეგლი” და არა “ისტორიული წყარო”. საქმე ისაა, რომ “წყარობა” ძეგლისათვის არაა მუდმივი ატრიბუტი. წყაროსთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა მას ისტორიკოსი მიმართავს კითხვით ანუ როცა ღებება ძეგლისაგან ისტორიული რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი ინფორმაციის ამოღების ამოცანა.

როგორც ითქვა, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მიზანია წყაროთა ინფორმაციული შესაძლებლობების გარკვევა. წყაროთმცოდნეობითი ანალიზი კი არის ამ მიზნის მისაღწევად მიმართულ ინტელექტუალურ ღონისძიებათა ერთობლიობა. ეს ღონისძიებანი სხვადასხვაა სხვადასხვა ტიპის წყაროთა შესწავლის შემთხვევაში. განმასხვავებელი ნიუანსები ახლავს გვართა, სახეთა ანალიზს. ამჯერად მე შეგჩერდები მხოლოდ სიტყვიერ, ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამიზნულ, წყაროებზე. ასეთია ნარატიული წყაროები.

წყაროთმცოდნეობითი ანალიზის უპირველესი მოთხოვნაა მკვლევარს ხელთ ჰქონდეს საკვლევი ძეგლის სრულყოფილად აღდგენილი ტექსტი. წყაროთმცოდნეობითი ანალიზი არსებითად იწყება ტექსტოლოგიური ძიებებით. უნდა ამოკითხულ იქნას სიტყვები, რომელთა ნაწილი ზოგჯერ წარხოცილია, გაიხსნას ქარავმები, ტექსტი დაიყოს წინადადებებად, დაისვას პუნქტუაციის ნიშნები. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ პუნქტუაციის დასმა ამ ეტაპზე მხოლოდ მასალის პირველადი გააზრების ამსახველია. ტექსტის შინაარსის ღრმა წვდომა ანალიზის მომდევნო ეტაპებზე აისახება პუნქტუაციის ცვლილებებში. ამასთან, თუ ძეგლმა ერთი ხელნაწერით მოაღწია, მკვლევარი იძულებულია მრავალი პრობლემა ვარაუდით გადაწყვიტოს.

ნარატიული ძეგლებისათვის დამახასიათებელია მრავალი რედაქცია არსებობა. ამიტომ არქეტაპული³³ ტექსტის დადგენისათვის მიმართულ ღონისძიებათა განხორციელების შემდგომ იწყება რედაქციების ურთიერთმიმართების გარკვევის რთული და საინტერესო სამუშაო. კვლევის ამ ეტაპზე წარმოჩნდება ტექსტის ისტორია. უნდა ვეცადოთ ცალკეული

³³ არქეტაპი (ბერძ.) – პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა.

რედაქციების დათარიღებას, მათ ატრიბუციას³⁴, მათი სოციალური პროფილის გარკვევას, რაც გარკვეულად აიოლებს არქტიპული რედაქციის მიმართ ანალოგიური ამოცანების გადაჭრას.

აღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტის თანამიმდევრობის რაიმე მკაცრად დადგენილი წესი არ არსებობს. ზოგჯერ ერთდროულად ირკვევა თხზულების დაწერის თარიღი და ავტორის ვინაობა. ზოგჯერ ჯერ დგინდება თარიღი და ამის საშუალებით იდენტიფიცირდება ავტორი ან, პირიქით, ავტორის მოღვაწეობის მიხედვით ლოკალიზდება დროში ძეგლი.

არქტიპული რედაქციის მოძიებისაკენ მიმართული კვლევა თავისი ხასიათით ისტორიულ-ფილოლოგიურია. ამ დროს სტილისტური ანალიზიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს, ლიტერატურულ წყაროთა ძიებაც, ისტორიული რეკონსტრუქციაც.

წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი და, ამავე დროს, შემოქმედებითი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ეტაპია ძეგლის ჰერმენევტიკული³⁵ შესწავლა. გაგება დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული მაშინაც, როცა კულტურული ტექსტის ენა ცნობილია და ძირითადი შინაარსი თვალსაჩინოა. საქმე ეხება ავტორისეული თვალსაზრისის გაცნობიერებას. ამას დიდი კულტუროლოგიული მნიშვნელობა აქვს თავისთავად.

მაგრამ აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს წყაროთმცოდნეობითი კვლევისას. კულტურული ტექსტის ავტორის ცნობიერება სარკე არაა, რომ მასში არსებული სინამდვილის სურათი მარტოოდენ ასახვის ობიექტური კანონზომიერებებით იყოს განპირობებული. მწერალი მოაზროვნე არსებაა, მასში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები კი ემოციურად არის შეფერილი. ხშირად ტექსტის ავტორი ამა თუ იმ ფაქტის შესახებ დუმს, არა მარტო იმიტომ, რომ ვერ ამჩნევს ფაქტს, არამედ იმიტომაც, რომ არ სურს დაინახოს. ამგვარად,

³⁴ ატრიბუტი (ლათ.) – თვისება, კუთვნილება, რისამე დამახასიათებელი ნიშანი. ტექსტოლოგიაში, უმეტესწილად, ნიშნავს ავტორის ვინაობის დადგენას.

³⁵ ჰერმენევტიკა (ბერძ.) – გაგება, ტექსტის ავტორის პოზიციის ამოცნობა.

დაფარულის ამოსაცნობად ერთადერთი გზაა ზუსტი ცოდნა იმისა, თუ რა არის ავტორის მიერ თქმული.

გაგებას მოსდევს განმარტება, ახსნა. ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზი იწყება ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობით სტადიაზე, მაგრამ იგი აქვე არ სრულდება. მომდევნო სტადიებზე მუდმივად ხდება დაბრუნება მიღებული შედეგებისადმი, მათი შევსება-კორექტირება. წყაროთმცოდნეობითი ანალიზის შედეგების მიახლოებითი მნიშვნელობა, მათი გადასინჯვის ტენდენცია კვლევის უფრო მაღალ ეტაპებზე – დამახასიათებელი მოვლენაა ისტორიული შემეცნებისათვის.

მას შემდეგ რაც აღდგენილია ძეგლის წარმოშობის ისტორია, გასაგება (გარკვეულ მიახლოებაში მანც) პროტორედაქციის შინაარსი, წყაროთმცოდნეობითი ანალიზი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ამის შემდეგ იწყება წყაროთმცოდნეობითი სინთეზი, რომლის შედეგიც გამოკრისტალდება დასკვნაში წყაროს ინფორმაციული შესაძლებლობების შესახებ.

ამ დროს უმთავრეს სირთულედ იქცევა წყაროში აკუმულირებული ინფორმაციის არაერთგვაროვნება, კერძოდ ის, რომ წყარო შეიცავს აქტუალიზებულ, ნებელობით ინფორმაციას და უნებლიეს (მონაცემები, რომლებიც დარჩა ავტორის ნება-სურვილის, მისის ცნობიერი მოქმედების გარეშე). ამ უკანასკნელის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. წყაროთმცოდნეობითი სინთეზის დროს მიღებული დასკვნა ეხება ნებელობით ინფორმაციას, ე.ი. ინფორმაციის აქტუალიზებულ ნაწილს. არააქტუალიზებული ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხზე მითითება ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობით ეტაპზე შეიძლება მხოლოდ გარკვეული ალბათობით.

დაბოლოს, უნდა გაესვას ხაზი შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებას: წყაროთმცოდნეობითი ანალიზის თუ სინთეზის შედეგები მიისწრაფვიან ისტორიული კვლევის შემდგომი დონეებისაკენ, მაგრამ ისტორიული კვლევის ეტაპები ერთმანეთისაგან მტკიცე საზღვრებით არ არიან გამოყოფილნი,

ისინი დიფუზურად³⁶ მსჭვალავენ ერთმანეთს. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს, რომ წყაროთმცოდნეობითი ძიებების შედეგად არ მიიღება ფაქტები. საქმე ეხება ზოგად ტენდენციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ წყაროთმცოდნეობითი სინთეზის შედეგებს არა აქვთ კატეგორიული ხასიათი. ისინი შემოწმებას საჭიროებენ ისტორიული კვლევის შემდგომ სტადიებზე. ისტორიული შექცევების პროცესში განუწყვეტლივ ხდება წყაროთმცოდნეობითი საფუძვლებისადმი დაბრუნება. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი არ შეიძლება შეწყდეს ისტორიული კვლევის არცერთ ეტაპზე. საქმე შეფარდებაშია: სხვადასხვა დონეზე ისინი სხვადასხვა დონით არის წარმოდგენილი. წყაროთმცოდნეობითი რეკომენდაციები ისტორიკოსს თავდაპირველი ორიენტაციის მართებულ შერჩევაში ეხმარება.

წყაროთმცოდნეობით და ისტორიულ კვლევას რომ ობიექტური, მეცნიერული ხასიათი ჰქონდეს აუცილებლად უნდა დავიცვათ გარკვეული პრინციპები. ერთ-ერთი უმთავრესია “წყაროს უღანაშაულობის პრეზუმპციის” პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ წყაროს უარყოფა, მისი ინფორმაციის იგნორირება არ შეიძლება ისე, თუ არ იქნა ნაჩვენები, რომ მისი ინფორმაცია მცდარია და არ აიხსნა, რატომაა მცდარი ინფორმაცია. ასე თუ არ მოვიქცევით, მაშინ მეცნიერება სუბიექტურ თვალსაზრისთა სარბიელად იქცევა და ობიექტური ცოდნის მიღების საშუალება აღარ იქნება.

³⁶ დიფუზია (ლათ.) – განბნევა, გავრცელება, გაფართოება. ტერმინი გამოიყენება ფიზიკაში და ნიშნავს ერთი ნივთიერების ატომების ან მოლეკულების თანდათან შეღწევას მეორე ნივთიერების ატომებს (მოლეკულებს) შორის არსებულ შუალედებში. ჩვენს შემთხვევაში მას აქვს გადატანითი მნიშვნელობა და ისტორიული კვლევის ეტაპების ურთიერთშეღწევადობას მიუთითებს, იმ ფაქტს გამოკვეთს, რომ საზღვარი ეტაპებს შორის არ არის მკაფიო და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი.

თაზი X

სპეციალური და “დამხმარე” ისტორიული დისციპლინები

ისტორიული პროცესი მრავალწახნაგოვანია; მრავალფეროვანია წყაროებიც, რომლებიც ამ პროცესს ასახავს; სხვადასხვაგვარია კვლევის ტექნიკა და მეთოდოლოგია, რომლითაც ეს წყაროები შეისწავლება, შესაბამისად, ისტორიული მეცნიერება შედგება ქვედისციპლინებისაგან. რომელია ეს დისციპლინები და როგორია მათი ადგილი ისტორიული შემეცნების უზოგადეს მიზანთან მიმართებაში?

ისტორიული წყაროების შესასწავლად, მათგან ინფორმაციის ამოსაღებად, თუნდაც ამ წყაროების მოსაპოვებლად, შეუძლებელია გამოვიყენოთ ერთნაირი მეთოდები და კვლევის ზუსტად ერთნაირი ტექნიკა. ამიტომ მოხდა, რომ თანდათან, იმის შესაბამისად, რომ სიზუსტის თვალსაზრისით მეტი მოთხოვნილებები წაეყენა ისტორიის სფეროში მიღებულ დასკვნებს, ისტორიული მეცნიერების წიაღში გამოიკვეთა ცოდნის ცალკეული სფეროები, რომლებიც უფრო ვიწრო პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაკავებული, ვიდრე საზოგადოდ ისტორიული პროცესის შემეცნებაა. ამიტომაც, რომ ისტორიის დამხმარე დისციპლინებს შემეცნებითი იერარქიის კიბეზე შედარებით დაბალი საფეხური უკავიათ. თუმცადა ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ამ სპეციფიკურ სფეროებში ჩატარებული კვლევა ან მეორეხარისხოვანია ან ადგილია.

ამ დისციპლინებმა დამოუკიდებელი ფუნქციონირება უფრო ადრეც დაიწყეს, ვიდრე ის განდებოდა მკვლევართა განსჯის საგანი, თუ რა ადგილი უკავიათ მათ ისტორიული ცოდნის სისტემაში. ამიტომ შესაბამისი საკითხების თეორეტიზება ზოგჯერ საკმაოდ ცხარე მეცნიერულ დებატებს იწვევდა.

ისტორიული მეცნიერების სისტემაში გამოიყოფა შემდეგი ოთხი სპეციალური დისციპლინა: ისტორიული წყაროთმცოდნეობა, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ისტორიული მეცნიერების ისტორია

ანუ ისტორიოგრაფია. ზედმეტია იმის გამეორება, რომ როგორც ყველა კლასიფიკაცია, ესეც გარკვეულწილად პირობითია.

როგორც უკვე იცით, წერილობითი ისტორიული წყაროებიდან ისტორიული ინფორმაციის მიღებას ემსახურება სპეციალური დისციპლინა – წყაროთმცოდნეობა, რომელიც ისტორიული მეცნიერების შემადგენელი ნაწილია.

ვიდრე ისტორიკოსი წერილობით წყაროს შეისწავლის, ჯერ საჭიროა მისი მოძებნა. ამიტომ წერილობითი ისტორიული წყაროს გამოვლენა და საჭირო წყაროთა თავმოყრა ისტორიული კვლევის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამისათვის არსებობს დამხმარე დისციპლინა ისტორიული ინფორმატიკა (სხვაგვარად მას წყაროთმცოდნეობით ვერისტიკასაც უწოდებენ), რომელიც ისტორიული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

პალეოგრაფიაც დამხმარე ისტორიული დისციპლინაა, რომელიც ისტორიული წყაროთმცოდნეობის კომპლექსში შედის. ის არის მეცნიერება დამწერლობის განვითარების შესახებ. ზოგის აზრით, პალეოგრაფია მხოლოდ ეტრატზე და პაპირუსზე დაწერილ ტექსტებს უნდა სწავლობდეს. ეს პალეოგრაფიის საგნის გაუძარბოებელი შეზღუდვაა. პალეოგრაფია რეალურად სწავლობს ყველა სახის და, მათ შორის, მაგარ მასალაზე დაწერილ, წყაროებს. პალეოგრაფია მეთოდიც არის და მეცნიერებაც. ახალი დროის წყაროების შესასწავლად ერთხანს შემოიღეს ტერმინი “ნეოგრაფია”. მისი კვლევის საგანი იყო ახალი დროის წერილობითი წყაროები. მაგრამ ეს ტერმინი მეცნიერებაში ვერ დამკვიდრდა და ახალი დროის ტექსტების შემთხვევაშიც იყენებენ იგივე ტერმინს – “პალეოგრაფია”.

ტექსტოლოგია ისტორიულ-ფილოლოგიური დისციპლინაა, რომლის მიზანიც ისტორიული წყაროს ტექსტის დადგენაა და რომელიც ისტორიული კვლევის განუყოფელი ნაწილია.

ტექსტოლოგიას მოსდევს არქეოგრაფია. წყაროთმცოდნეობის ამ დამხმარე დისციპლინის ამოცანაა ისტორიული წყაროების პუბლიკაციის მეთოდების შემუშავება და მათი მომზადება გამოსაცემად.

ისტორიული წყაროთმცოდნეობის შემადგენელი დისციპლინებია, აგრეთვე, ეპიგრაფიკა, პაპიროლოგია, ეპისტოლოგრაფია, კოდიკოლოგია. ეს უკანაენელი არის მეცნიერება ხელნაწერი წიგნების შესახებ, რომელიც სწავლობს ამ წიგნების ბედსა და მატერიალურ მხარეს. დიპლომატიკა არის აქტების წყაროთმცოდნეობა. აქტების რიცხვს კი განეკუთვნება გარიგებითი თუ ხელშეკრულებითი ხასიათის დოკუმენტები ანუ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები.

ისტორიული წყაროთმცოდნეობის შემადგენელი ნაწილია არქივთმცოდნეობაც. არქივთმცოდნეობის კვლევის საგანია საარქივო საინფორმაციო გარემო – არქივში დაცული დოკუმენტების ერთობლიობა და არქივთმცოდნეობის თეორია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური ისტორიული დისციპლინა – ისტორიული მეცნიერების ისტორია (ისტორიოგრაფია), რომელსაც თავად აქვს თავისი დამხმარე ისტორიული დისციპლინა – ისტორიული ბიბლიოგრაფია, რომელიც აღწესსავს ყველა დაბეჭდილ ნაშრომს ისტორიის დარგში და გააწყობს მათ ქრონოლოგიურ რიგზე.

ერთ-ერთი სპეციალური ისტორიული დისციპლინა, როგორც აღინიშნა, არის არქეოლოგია. მის თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ეს მეცნიერება თავის დასკვნებს აფუძნებს განათხარ ძეგლებზე. გათხრების გზით წყაროთა მოპოვებას კი თავისი სპეციფიკა აქვს: იგი მოითხოვს სპეციალური კვლევის მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნას. ყოველივე ეს კი არქეოლოგიის თეორიული ნაწილის შესწავლის საგანს წარმოადგენს. მაგრამ ხშირად საკამათო ხდება არქეოლოგიური სინთეზის ხასიათი. რას უნდა შეეხებოდეს ის, მხოლოდ ამ განათხარი წყაროების მოპოვებას, მათ კლასიფიკაციას, თუ მათი მეშვეობით ისტორიის რეკონსტრუქციასაც. ზოგი ფიქრობს, რომ არქეოლოგიის საგანი არის პირველყოფილი ისტორიის რეკონსტრუქცია. ჩემი აზრით, არქეოლოგიას ისტორიული ცოდნის სისტემაში იმის ანალოგიური ადგილი უკავია, რაც წყაროთმცოდნეობას. მათი განმასხვავებელი ისაა, რომ ერთი წერილობით წყაროებს აქცევს კვლევის ობიექტად, მეორე კი – ნივთიერს. წყაროების მოპოვების და დამუშავებისათვის ორივეს აქვს თავისი მეთოდები.

წყართმცოდნეობითი სინთეზის ანალოგიურია არქეოლოგიური სინთეზიც. როგორც მარტო წერილობითი ძეგლების წყართმცოდნეობითი ანალიზის მეშვეობით შეუძლებელია საკმაოდ სრული ისტორიული სურათის აღდგენა, ასევე მარტო არქეოლოგიური ძეგლების ანალიზით ვერ მოხერხდება წარსულის სრულყოფილი სურათის რეკონსტრუქცია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ იმას, რომ წარსულის სურათი არ მიიღება კვლევის იმ ეტაპზე, როცა წყართა (სულერთია ეს იქნება წერილობითი თუ ნივთიერი) დამუშავებას აქვს ადგილი, ანუ არქეოლოგიური სინთეზი არსებითად გადადის ისტორიულ რეკონსტრუქციაში.

მეორე მნიშვნელოვანი სპეციალური ისტორიული დისციპლინაა ეთნოლოგია. ამ, დღევანდელ დასავლეთში ძალიან პოპულარულ, დისციპლინას კულტურული ან სოციალური ანთროპოლოგიის სახელით მოიხსენიებენ. როგორც სახელწოდებაც აჩვენებს, ეს არის ეთნოსების ანუ კოლექტიური კულტურული იდენტობების საფუძველზე აღმოცენებული ჯგუფების შემსწავლელი მეცნიერება. რა თქმა უნდა, ეთნოლოგია ეფუძნება სპეციფიკურ წყაროებს, მათი მოპოვებისა და დამუშავების სრულიად სპეციფიკურ ხერხებს. თუმცა ხშირად თავადაც იყენებს წერილობით წყაროებსაც და წმინდა ისტორიული რეკონსტრუქციის შედეგად მოპოვებულ მასალასაც.

საინტერესოა, რომ საბჭოთა კავშირში “ეთნოლოგიის” ნაცვლად დამკვიდრებული იყო ტერმინი “ეთნოგრაფია”. მხოლოდ სულ ბოლო ხანებში ჩაენაცვლა საქართველოში მას ტერმინი ეთნოლოგია. ეს ტერმინოლოგიური ცვლილება სულაც არ არის შემთხვევითი. საბჭოთა კავშირში, როცა ერთიანი საბჭოთა ხალხის დაჩქარებული ფორმირების პროცესის განვითარებას ესწრაფვოდნენ, ეთნიკური თავისებურებების კვლევა არ იყო მიჩნეული მიზანშეწონილად. ამიტომ ხდებოდა მხოლოდ ფაქტების ფიქსირება და არა მათი ანალიზი. შესასწავლ ჯგუფად კი ხშირად შეირჩეოდა არა კოლექტიური კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებულ ეთნიკური ერთობა, არამედ რეგიონალურ იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობა. მაგალითად, ეთნოგრაფები აკვირდებოდნენ სოფლის მოსახლეობის

ყოფას ან პროფესიულ ჯგუფის, მაგალითად, მუშების ყოფას. ანუ ხდებოდა ეთნიკური ნიშნების ჩანაცვლება რეგიონალური და სხვა იდენტობების ნიშნებით, რითაც ეთნოგრაფიას ფაქტობრივად შეცვლილი ჰქონდა თავისი არსი და გადაქცეული იყო ეთნიკური ნიშნების განმტკიცების კი არა, მათი ნიველირების იარაღად. ეთნოლოგიაც ახდენს ისტორიულ სინთეზს, ოღონდაც ისტორიის მხოლოდ გარკვეულ ასპექტს შეეხება. მისი დამზერის ობიექტი არ არის ინდივიდი. ეთნოლოგია წარმოადგენს ადამიანურ ისტორიას ჯგუფის დონეზე. ამდენად, ეთნოლოგიაც ისტორიული დისციპლინაა, მაგრამ მოიცავს უფრო ვიწრო სფეროს, ვიდრე ისტორია.

ამრიგად, ისტორიულ დისციპლინათა ნაწილი უფრო წყაროთმცოდნეობით ძიებებს უკავშირდება, ვიდრე უშუალოდ ისტორიულ რეკონსტრუქციას. ასეთია, მაგალითად, ეპიგრაფიკა, რომლის ცალკე დისციპლინად გამოყოფის საფუძველი ის კი არაა, რომ შეძენების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მიზანს ისახავს, არამედ ის, რომ წარწერების კვლევის ტექნიკა განსხვავდება სხვა წერილობითი ტექსტების შესწავლისაგან. ეპიგრაფიკისათვის დამხმარეა პალეოგრაფია, მეცნიერება ძველ დამწერლობათა შესახებ. ეპიგრაფიკას შეიძლება ეწოდოს სპეციალური წყაროთმცოდნეობითი დისციპლინა. პალეოგრაფია, საერთოდ ტექსტების ამოკითხვას ეხება და მაინცდამაინც ისტორიული ინფორმაციის მოპოვებაზე არაა ორიენტირებული. ამიტომაც პალეოგრაფია არსებითად ფილოლოგიური დისციპლინაა.

ისტორიულ მეცნიერებას აქვს დამხმარე ისტორიული დისციპლინები, რომლებსაც თავისი საგანებ გაჩნდიათ და რომლებიც ისტორიულ კვლევაშიც დამხმარე ფუნქციას ასრულებენ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი დამხმარე დისციპლინები, რომლებიც ისტორიკოსს ისტორიული მოვლენის, ფაქტის დროსა და სივრცეში ლოკალიზებაში ეხმარებიან.

ერთ-ერთი ასეთი დამხმარე ისტორიული დისციპლინაა ისტორიული ქრონოლოგია, რომელიც სწავლობს ძველი წელთაღრიცხვის სისტემებს, კალენდრებს და ისტორიკოსს ეხმარება ისტორიულ წყაროებში მოცემული ისტორიული

თარიღების, დროის აღრიცხვის თანამედროვე სისტემაზე გადმოტანაში.

ასევე დამხმარე ისტორიულ დისციპლინად გამოდის ისტორიული გეოგრაფია, რომელიც ორი მეცნიერების – ისტორიისა და გეოგრაფიის მიჯნაზეა შექმნილი. ისტორიული გეოგრაფია ჩვენს ისტორიულ წარმოდგენებს უკავშირებს გარკვეულ ტერიტორიებს. ისტორიული გეოგრაფია განისაზღვრება როგორც ისტორიისა და გეოგრაფიის დარგი და სწავლობს ისტორიულ ფიზიკურ გეოგრაფიას, მოსახლეობის ისტორიულ გეოგრაფიას, ისტორიულ პოლიტიკურ გეოგრაფიას, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობას, გეოგრაფიული გარემოს გავლენას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე, ადამიანის მოღვაწეობაში ბუნების გამოყენებას, ქალაქების ისტორიულ ტოპოგრაფიას. დამხმარე ისტორიული დისციპლინებია აგრეთვე ნუმიზმატიკა (მის გვერდით შეიძლება დავასახელოთ ბონისტიკა, რომელიც ქალაქის ფულის ნიშნებს სწავლობს) და სფრაგისტიკა – მეცნიერება ბეჭდების შესახებ, რომელიც არსებით დახმარებას უწევს ისტორიულ მეცნიერებას, უმთავრესად ძველი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ისტორიის შესწავლაში. საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფულს საზოგადოებაში. ამიტომ თავად მისი არსებობის ფაქტის კვლევაც ძალიან მნიშვნელოვანია. საინტერესოა სამონეტო რეგალიის განხორციელების ყოველი შემთხვევა. ოღონდაც ნუმიზმატიკური წყაროების შესწავლა მოითხოვს სპეციალურ დახელოვნებას, რაც ყველა ისტორიკოსს, მათ შორის, წყაროთმცოდნე ისტორიკოსსაც, არ შეიძლება მოეთხოვებოდეს. საქმე ისაა, რომ ნუმიზმატიკის სფეროში საჭიროა გამოყენებული ლითონის შემადგენლობის ანალიზი, გამოსახულებათა ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი და ა.შ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნუმიზმატიკა კომპლექსური დარგია. იმის გარკვევაც კი ძნელია რა ტიპის წყაროებს უნდა მივაკუთვნოთ ნუმიზმატიკური ძეგლები: წერილობითს? მაგრამ ყველა მონეტა ხომ არაა წარწერიანი. ნივთიერს? მონეტა ხომ გაცილებით მეტი ინფორმაციის შემცველია ვიდრე უბრალოდ ლითონის ნაჭერი.

ისტორიულ კვლევაში მეცნიერს ეხმარება ისტორიული დისციპლინა ჰერალდიკა – გერბთმცოდნეობა. ჰერალდიკა მიზნად ისახავს სოციალურ და ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის პრობლემების გადასაჭრელად მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანოს, აითვისოს, შეისწავლოს, გაშიფროს გერბი და ემბლემა, როგორც ისტორიულ წყარო.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დამხმარე ისტორიულ დისციპლინად შეიძლება ჩამოყალიბდეს ფილატელია, რადგანაც საფოსტო მარკა – მისი ემბლემა, გამოსახულება, წარწერა, ნომინალური ფასი, მარკის გავრცელების არეალი გარკვეულ ისტორიულ ცოდნას იძლევა. საფოსტო მარკა გამოდის, როგორც ახალი დროის ისტორიულ წყარო.

ისტორიული მეცნიერების განვითარებამ გამოიწვია გენეალოგიის აღორძინება. გენეალოგია ამჟამად არ იფარგლება უბრალოდ ნათესაობის ფაქტის დადგენით, არამედ ამ ფაქტს იყენებს გარკვეული პირის ან სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბებისა და განვითარების პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მიზეზებისა და პირობების გამოსარკვევად. დღეს გენეალოგია ისტორიის ბევრ მოყვარულს იზიდავს.

მეცნიერების განვითარებასთან არის დაკავშირებული კვლევა-ძიების გაფართოება ისტორიული მეტროლოგიის დარგში. ისტორიკოსებს ბოლო ხანებში სულ უფრო და უფრო უხდებათ ეკონომიკური ხასიათის ისტორიული წყაროების გამოყენება. ამიტომ, ისტორიული მეტროლოგია, როგორც ცოდნის სფერო საზოგადოების გაზომვადი პარამეტრების შესახებ, ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ დამხმარე ისტორიულ დისციპლინად გადაიქცა.

დამხმარე ისტორიული დისციპლინაა ისტორიული დემოგრაფია, რომელიც ისტორიულ ასპექტში შეიწავლის ხალხთმოსახლეობის პრობლემებს და ამ ფონზე განიხილავს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მასობრივი განწყობის მიზანსწრაფვის გამოხატულებას.

ისტორიულ მეცნიერებაში შემოადღია მთელმა რიგმა საზოგადებრივმა თუ საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა კვლევის მეთოდებმა. ამიტომ შემოტანილია ე.წ.

დამხმარე არაისტორიული დისციპლინების ცნება. ეს დარგები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: საზოგადოებრივი მეცნიერებები (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ეკონომიკური მეცნიერებები) და საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებები. ამ დისციპლინებისათვის ამგვარი სტატუსი ანუ მათი “დამხმარეობა” ცხადია, ნაკლებად ზუსტია, რადგან ესენი არიან ისტორიისაგან სავსებით დამოუკიდებელი მეცნიერებები. სხვა საკითხია, რომ არსებობს ისტორიული პრობლემები, რომელთა გადაჭრა მოითხოვს სხვა მეცნიერებების მიღწევების, მეთოდების გამოყენებას ისტორიკოსების მიერ. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს პრობლემის ინტერდისციპლინურ კვლევას.

თავი XI

ისტორიული ფაქტი

ისტორიკოსის ძიების მთავარ მიზანს ისტორიული ფაქტების მოპოვება წარმოადგენს. ეს, ცხადია, ძალიან ძნელად მისაღწევია, მაგრამ თუ ნათლად აქვს ისტორიკოსს წარმოდგენილი, რასაც ეძიებს, მაშინ მას აღნიშნულ ამბიციურ საქმიანობაში წარმატების მიღწევის გარკვეული იმედი შეიძლება იყოს. მაგრამ, ვიცით კი რა არის ისტორიული ფაქტი? არის იგი მართლაც, სრულიად ინერტული სამშენებლო მასალა, როგორც ფიქრობენ ემპირიციისტები, გამზადებული აგური, რომელსაც ისტორიკოსი ისტორიის შენობის კედელს უმატებს?

ისტორიული ფაქტის კატეგორია ისტორიული მეცნიერების საფუძველს წარმოადგენს. შეუძლებელია წარმოდგენა ისტორიული აზრის რაიმე განვითარებისა ფაქტობრივი მასალისაგან მოწყვეტით. მაგრამ თავად ფაქტის ცნება მოითხოვს დაზუსტებას, რამდენადაც ისტორიულ შემეცნებაში იგი ძალიან მრავალწახნაგოვანია. ფაქტის შესწავლის მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც წესი, იგი არ არის უშუალო დაკვირვების ობიექტი და მისი შემეცნება ხდება მხოლოდ წყაროების მეშვეობით.

ისტორიის ემპირიციისტული გაგებით, როგორც ითქვა, ფაქტი, როგორც კვლევის ობიექტი, არსებობს ისტორიკოსის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად; ისტორიული პროცესი, რომელიც წარმოადგენს ჯაჭვს სხვადასხვა ისტორიული ფაქტებისა, თავადაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ისტორიული ფაქტი; და შემეცნების სუბიექტის ცნობიერებაში, მართალია, წყაროს გზით (ე.ი. არა უშუალოდ), მაგრამ მაინც მიიღება რეალური ფაქტის ადექვატური სურათი. ტრადიციული ისტორიოგრაფიის მიმდევარნი თვლიან, რომ ადამიანის ცნობიერებაში გატარების მიუხედავად, სინამდვილის ფაქტი არ იცვლის თავის არსს და რჩება ობიექტურ რეალობად. ამ რეალობასთან მიახლოება არის სწორედ ისტორიული შემეცნების მიზანი.

ფაქტისადმი დამოკიდებულების საკითხში ისტორიულმა მეცნიერებამ განვლო საკმაოდ რთული გზა. თავდაპირველად ისტორიკოსის მოვალეობად ითვლებოდა ფაქტების შეგროვება. საკითხი მათი ბუნების შესახებ საერთოდაც არ ისმოდა. ისტორიკოსების ერთი ნაწილი, როგორც ვნახეთ, ეწინააღმდეგებოდა ფაქტების განზოგადებისა და ახსნის აუცილებლობას. მათ ეჩვენებოდათ, თითქოს ისტორიული ფაქტი კარგაეს თავის ობიექტურ მნიშვნელობას, თუ შევეცდებით მის ინტერპრეტაციას. ამგვარი მიდგომა კი მიჩნეული იყო ობიექტურობის გარანტიად. ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი, მაგალითად, თვლიდა, რომ წყარო – ეს ყველაფერია. ყოველგვარი გამოსვლა ტექსტების კვლევის ჩარჩოებიდან გაუძარტლებელია.

მაგრამ ასეთი აზრი, ცხადია, ზედაპირულია. სინამდვილეში ისტორიკოსის მიერ მასალის თავდაპირველი ფიქსაციაც კი არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ნეიტრალური დამკვირვებლისაგან. ფაქტების თავად შერჩევა, გარკვეული ხარისხით ასახავს დამკვირვებლის პოზიციას. ფაქტი, როგორც ისტორიული კვლევის ობიექტი, არ შეიძლება არსებობდეს თავისთავად, ყოველგვარი შეფასების გარეშე. ამიტომაც, რომ სპეციალისტთა ნაწილი მართებულად მიიჩნევდა აზრს ფაქტის მოპოვებისა და მისი განზოგადების ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ.

თანდათან გამოვლინდა წინააღმდეგობანი ფაქტსა და მის ინტერპრეტაციას შორის. გარკვეული პერიოდიდან დაიწყო ამ ორი მხარის დაპირისპირება. მაგალითად, უკვე XIX საუკუნის მიწურულს რიგი ცნობილი ისტორიკოსებისა თვლიდა, რომ ისტორიული ფაქტები მთლიანად განპირობებულია მეცნიერის სუბიექტური პოზიციით, რომელიც “ქმნის” მათ.

ამგვარად, ერთი მიმართულება ახდენდა ფაქტების აბსოლუტიზაციას, ანუ უარს ამბობდა მათ ყოველგვარ შეფასებაზე და გააზრებაზე, ხოლო მეორე – სრულიად უარყოფდა ფაქტს, როგორც ისტორიული რეალობას. ამ უკანასკნელი მიმართულების მიმდევართა აზრით, ფაქტის ცნება ყალიბდება ისტორიკოსის

ცნობიერებაში. ჰ. რიკერტი³⁷, ვ. ვინდელბანდი³⁸, მაგალითად, იცავდნენ ფაქტების შეუცნობადობის თეზისს და, შესაბამისად, გარდუვალად მიიჩნევდნენ ისტორიკოსის სუბიექტივიზმს. კ. ბეკერი საერთოდაც უარყოფდა ისტორიული ფაქტების სანდოობას:

“გამქრალმა რეალობამ ადგილი დაუთმო მათ მკრთალ ასახვას, არამატერიალურ სახეებს და იდეებს. ეს მკრთალი ასახვანი, არამატერიალური სახეები, რომელთა შეხება ან ხელში აღება შეუძლებელია, არის ყველაფერი ის, რაც გადარჩა სინამდვილისაგან”.

ჯორჯ კოლინვუდი³⁹ სრულიად უარყოფს წყაროების დამოუკიდებელ მნიშვნელობას ისტორიულ შემეცნებაში. იგი აქცენტს მათ ინტერპრეტაციაზე აკეთებს. მისი აზრით, ისტორიკოსი არის წარსულის დამოუკიდებელი ინტერპრეტატორი, რითაც ეს წარსული კარგავს თავის ობიექტურ ხასიათს. ამგვარად, ისტორიული ფაქტის ცნება, გარკვეული აზრით, ილუზიაა.

ე. კარი⁴⁰ კი თვლის, ისტორიული ფაქტია არა ყოველი მოვლენა, არამედ მხოლოდ ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენები. მისთვის საინტერესო ეპოქის შესახებ მეცნიერმა უნდა ფლობდეს მაქსიმალურ ინფორმაციას, რათა შეძლოს შეარჩიოს მნიშვნელოვანი ცნობები და გადააქციოს ისინი ისტორიულ ფაქტებად. ე. კარის აზრით, ისტორია არის ინტერპრეტაცია. ინტერპრეტაცია კი ისტორიის არტერიული სისხლია. ამავე დროს ე. კარი ხაზს უსვამს, რომ მეცნიერი არ არის ფაქტების “ტირანული მბრძანებელი”. ისტორიკოსსა და ისტორიულ ფაქტებს შორის ურთიერთობა არის თანასწორობა. ისინი აუცილებელია

³⁷ ჰაინრიხ რიკერტი (1863-1936) – გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი, ვინდელბანდთან ერთად ნეოკანტიანელობის *ბადენის სკოლის* ლიდერი.

³⁸ ვ. ვინდელბანდი (1848-1915) – გერმანელი ფილოსოფოსი იდეალისტი, ე.წ. *ბადენის სკოლის* ფუძემდებელი.

³⁹ ჯორჯ კოლინვუდი – XX საუკუნეში მოღვაწე მკვლევარი. მას ეკუთვნის ნაშრომი “ისტორიის იდეა”.

⁴⁰ ე. კარი (1892-1982) ბრიტანელი მეცნიერი, ცნობილი წიგნის “რა არის ისტორია” ავტორი.

ერთმანეთისათვის. ისტორიკოსს ფაქტების გარეშე არა აქვს ნიადაგი ფეხქვეშ, იგი გამოუსადეგარია. თავის მხრივ, ფაქტები ისტორიკოსის გარეშე მკვლარი და უაზროა. პასუხობს რა კითხვას, თუ “რა არის ისტორია”, ე. კარი შენიშნავს:

“ისტორია არის ისტორიკოსსა და ფაქტებს შორის მუდმივი ურთიერთქმედების პროცესი, აწმყოსა და წარსულის უსასრულო დიალოგი”.

ისტორიკოსის სამუშაო გულისხმობს ემპირიული და თეორიული მონაცემების და მიდგომის თავისებურ სინთეზს. თავად კვლევის მასალის არჩევა გულისხმობს არა მარტო პროფესიულ კვალიფიკაციას, არამედ თეორიული კონცეფციის ან ჰიპოთეზის ქონას, რაც არსებით გავლენას ახდენს ფაქტების შერჩევაზე.

როცა ზღვა მასალიდან ისტორიკოსი გარკვეულ ფაქტებს აარჩევს, უკვე რეალურად ახორციელებს მათ თეორიულ გააზრებას და გარკვეულად ახსნასაც. შემდგომ, მასალის ანალიზის კვალობაზე, იგი შესასწავლი ისტორიული მოვლენის გაგების სულ უფრო და უფრო მაღალ დონეებზე ადის. შესაბამისად, იგი სულ უფრო და უფრო ცილდება კვლევის ემპირიულ დონეს და სულ უფრო ხშირად მიმართავს აბსტრაქციის მეთოდს ანუ ლოგიკურ მსჯელობას, რომელსაც შეუძლია დახმარება არსის გამოვლენაში.

გავრცელებულია შეხედულება, რომ უნდა განვასახვავოთ რეალური ფაქტი ანუ ობიექტური რეალობის პროდუქტი და სამეცნიერო ფაქტი ანუ ისტორიული კვლევის ობიექტი. სამეცნიერო ფაქტი, ზოგის აზრით, არის არა თავად მოვლენა, არამედ – მისი ასახვა სპეციფიკური ფორმით. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი საუბრობს ისტორიოგრაფიულ ფაქტზეც. ამ ტერმინით აღნიშნავენ სწორედ სამეცნიერო ფაქტს.

სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ შეინიშნება ტენდენცია, რომ ხელოვნურად გაართულონ ისტორიული ფაქტის პრობლემა. მსჯელობანი მისი ხასიათის შესახებ, თუ ფაქტთა კლასიფიკაციის წესების შესახებ ზოგჯერ მთლიანად სპეკულაციურ (ჭვრეტით) ხასიათს ატარებს და მცირედ ეხმარება კონკრეტულ ისტორიულ გამოკვლევას. მიუხედავად ამისა, ამ რიგის საკითხების თეორიულად დასმა მაინც აუცილებელია სრულყოფილი ისტორიული რეკონსტრუქციისათვის.

ქვემოთ მინდა მოგიყვანოთ ერთი მაგალითი ჩემი სამეცნიერო პრაქტიკიდან, იმის საჩვენებლად, თუ როგორ ეხმარება ისტორიული ფაქტის თეორიის ცოდნა კონკრეტულ ისტორიულ კვლევას. ეს მაგალითი იმით არის საინტერესო, რომ აქ მე თეორია დამენმარა არა ისტორიული შემეცნების უმაღლეს ეტაპზე ანუ ისტორიული სინთეზის დროს, როცა ლოგიკური მეთოდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, არამედ ისტორიული კვლევის წყაროთმცოდნეობით ეტაპზე ანუ ისტორიული შემეცნების შედარებით დაბალ საფეხურზე, იქ, სადაც აბსტრაქციის ხვედრითი წილი ჩვეულებრივ უფრო უმნიშვნელოა.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი თავის ანდერძ-მინაწერში შენიშნავს, რომ მან დაწერა “მეფეთა ცხოვრება”, “ნინოს მიერ ქართლის მოქცევა” და “არჩილის წამება”. ამასთან ჩვენთვის ცნობილია, რომ სამივე ძეგლის ადრეული ვერსიები არსებობდა ლეონტიმდეც. მამ რატომღა სახავს ლეონტი თავს მათ აღმწერელად ანუ ავტორად?

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, რომ ავტორობა თავდაპირველად საერთოდ გაუცნობერებელი იყო, ხოლო შემდგომ ვრცელდებოდა მხოლოდ ნაწარმოების ფორმაზე, რაც ფაქტობრივად ნიშნავს არასრულყოფილ ავტორობას, რადგან ნაწარმოების შინაარსს არ შეეხება. ლეონტი მროველი “მეფეთა ცხოვრების” “წმ. ნინოს ცხოვრების” “წმ. არჩილის წამების” რედაქტორი, გამფორმებელი იყო და ამიტომაც მიაჩნდა თავი მათ ავტორად. ირკვევა, რომ საზოგადოდ შუა საუკუნეების ლიტერატურაში მხოლოდ ფორმის ავტორობა იყო შესაძლებელი. აღნიშნული მოვლენის მიზეზი კი ისტორიული ფაქტის თავისებური კონცეფციაა. ისტორიული ცოდნის განვითარების ყოველ ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია მეცნიერების საერთო დონის და, კერძოდ კი, ფილოსოფიის განვითარებასთან, როგორც ითქვა, ამ ცნების სხვადასხვაგვარი გაგება შესაბამება. ასე მაგალითად, ასახვის ზოგი თეორიის თანახმად, ისტორიულ წყარო – ეს ობიექტური რეალობის სუბიექტური სახეებით წარმოდგენილი სურათია. ამის შესაბამისად, სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ისტორიული ფაქტი, იგივე აღარა, რაც თვით ისტორიული მოვლენა, რადგან იგი ისტორიკოსის

განმაზოგადებელი მუშაობის ნაყოფია, უკვე თვით არის თავისებური თეორია. მაგრამ აღნიშნული გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ნაკლებად ობიექტურია, ვიდრე თავად მოვლენა. ამგვარად, ისტორიული ფაქტის გაგებაში სუბიექტურის გვერდით ფიგურირებს ობიექტურიც. აქ ობიექტური და სუბიექტური ურთიერთკავშირშია. საისტორიო წყაროში წარმოდგენილი სურათი კი შექმნილია შემეცნების ობიექტისა და სუბიექტის გასაყარზე.

არსებობს ისტორიული წყაროსა და ისტორიულ ფაქტის სხვაგვარი გაგებანიც. მაგალითად, ნეოკანტიანურ⁴¹ მეთოდოლოგიაში ხდება ისტორიული ფაქტის სუბიექტური ნაწილის აბსოლუტიზაცია, ისტორიული ფაქტი მთლიანად ისტორიკოსის შემოქმედებითი აქტივობის შედეგად წარმოდგინება: ისტორიული ფაქტები ცნობიერების ფაქტები გამოდის და არა სინამდვილის. ისტორიული ფაქტის ამგვარი გაგებებისას მის კონსტრუირებაში რედაქტორის და ავტორის წვლილის აღრევისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან იგულისხმება, რომ ისტორიული ფაქტის შემუშავებაში ავტორის გარკვეული წვლილი ურევია.

მაგრამ ეს ცნებები, როგორც ითქვა, ყოველთვის ასე არ გაიგებოდა. ე.წ. კლასიკურ ისტორიოგრაფიაში, რომლის ძირითადი პრინციპები შემუშავებულ იქნა XIX საუკუნის I ნახევარში, საკითხი ისტორიული ფაქტის შესახებ, როგორც ითქვა, პრობლემას არ წარმოადგენდა და მარტივად წყდებოდა. შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის შეფარდების ამგვარ გაგებას, საბოლოო ჯამში მივეყვართ ისტორიული რეკონსტრუქციის დროს ისტორიკოსის როლის შეუფასებლობამდე. შემდგომში ისტორიული ფაქტის ამგვარი, ნაივეურად რეალისტური არაფილოსოფიური გაგება გაიზიარეს პოზიტივისტებმა, ემპირიციისტებმა. ამ დროს ისტორიული ფაქტის სტრუქტურაში ობიექტური აბსოლუტიზებულია, რის შედეგადაც ხდება სამეცნიერო ფაქტისა და რეალური მოვლენის გაიგივება. იქნება შთაბეჭდილება, რომ

⁴¹ ნეოკანტიანელობა – იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის II ნახევრის გერმანიაში ლოზუნგით “უკან კანტისაკენ”.

ისტორიკოსი ოპერირებს რეალურ მოვლენებზე, მათ უშუალოდ იღებს სინამდვილიდან. ასეთ შემთხვევაში კი ავტორობისა და რედაქტორობის აღრევა, დიახაც, შესაძლებელია, რადგანაც თავდაპირველ თხზულებაში დაცული ფაქტები მისი ავტორის კი არა, ისტორიის კუთვნილებად განიხილება. ასეთია ფაქტისადმი არა მარტო “მეცნიერული” პოზიტივისტური დამოკიდებულება, არამედ, პრეინდუსტრიული ეპოქის ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებაც და ინტერპრეტაციაც “სალი აზრის” ლოგიკის ფარგლებში. ამიტომაც წინარე მოდერნულ დროში ისტორიოგრაფიული თხზულებიდან ფაქტის დასესხება სულაც არ ითვლებოდა პლაგიატად ან იმის საბაბად, რომ ამ თუ იმ ავტორს თავი სხვისაგან დავალებულად ეგრძნო.

ლენტი მროველი არ თვლიდა, რომ მეფე მირიანის ქრისტიანობაზე მოქცევის, წმ. ნინოს გარდაცვალების და ა.შ. ფაქტები “მოქცევაი ქართლისაის” შემთხვევლის საავტორო საკუთრება არ იყო (ამის პრეტენზია, არც ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონოდა). როცა ცნობები გარკვეული წესით დააკავშირა, ლენტი მროველმა, ბუნებრივია, მიიჩნია, რომ თხრობის ავტორი უკვე თვითონ იყო (ფაქტები ისტორიას ეკუთვნოდა ანუ არავის საკუთრებას არ წარმოადგენდა, ხოლო ტექსტის რედაქციულ დამუშავება – მას). ეს უკვე გასაგებს ხდის, თუ რატომ უთითებს ლენტი საკუთარ თავს ანდერძ-მინაწერში ზემოთ დასახელებული თხზულებების ავტორად, რომლებიც, კარგად არის ცნობილი, რომ მას არ შეუქმნია.

ჩემი სამეცნიერო პრაქტიკიდან აღებული ამ ერთი მაგალითითაც კარგად ჩანს რაოდენ აუცილებელია კონკრეტული ისტორიული ფაქტის რეკონსტრუქციისას თეორიული საკითხების საქმის კურსშიც ვიყოთ. რომ არა თეორიის გათვალისწინება, ნამდვილად გამიჭირდებოდა ამეხსნა ლენტი მროველის თანამედროვეობის გადასახედიდან საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება “საავტორო უფლებასთან”.

თავი XII

ისტორიული კვლევის მეთოდები და ტექნიკა

რომელი მეთოდები გამოიყენება ისტორიულ მეცნიერებაში? რას წარმოადგენს აღწერილობითი მეთოდი ისტორიაში და რამდენად უპირატესია ან ნაკლოვანია იგი რაოდენობრივ მეთოდებთან შედარებით? რას ნიშნავს კონტენტ-ანალიზი?

ყოველგვარ შემეცნებას, მათ შორის, ისტორიულ შემეცნებას აქვს შემეცნების ობიექტი და საგანი. ისტორიული შემეცნების ობიექტია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალმხრივი გამოვლინებანი უძველესი დროიდან დღემდე. ყოველ კონკრეტულ ეტაპზე ხდება ამ გამოვლინებების ცალკეული მხარეების შესწავლა. ისინი წარმოადგენს ისტორიული შემეცნების საგანს.

გამოკვლევის ჩატარებისა და დასმული ამოცანის გადაწყვეტისათვის ისტორიკოსს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დარგის წარმომადგენელს, ესაჭიროება იდეების გარკვეული ერთობლიობა, რომლებიც საშუალებას იძლევიან გაიხსნას მოვლენების არსი. აღნიშნული იდეების ერთობლიობა წარმოადგენს შემეცნების თეორიას. ნებისმიერი გამოკვლევის ჩატარებისათვის ასევე აუცილებელია გარკვეული პრინციპები, გზები და ხერხები. ეს პრინციპები, გზები, წესები, ხერხები, კვლევის ტექნიკა ერთობლიობაში შეადგენს მეცნიერული კვლევის მეთოდებს.

სამეცნიერო მეთოდებს აქვთ რამდენიმე დონე. ესაა ზოგად-ფილოსოფიური, ზოგად-სამეცნიერო, სპეციალურ-სამეცნიერო და კონკრეტული ანუ პრობლემურ-სამეცნიერო მეთოდები.

ფილოსოფიური მეთოდები ხსნიან შემეცნების ზოგად პრინციპებსა და მისი განვითარების ტენდენციებს. ზოგად-სამეცნიერო არის ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენებიან მრავალ მეცნიერებაში. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, აღწერილობითი და რაოდენობრივი ანალიზი და ა.შ. ფილოსოფიური მეთოდებისაგან ისინი განსხვავდებიან იმით, რომ მოიცავენ არა მთლიანად შემეცნების პროცესს, არამედ – მხოლოდ მის ცალკეულ

ასპექტებსა და ტენდენციებს. ანალიზი და სინთეზი ხსნიან კონკრეტული მონაცემების გამოკვლევის პრინციპებს; ინლუქცია და დელუქცია აჩვენებენ მოვლენათა არსების შემეცნების ძირითად გზებს. აღწერილობითი და რაოდენობრივი მეთოდები კი უკავშირდებიან გამოსაკვლავი ობიექტების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოსახვის ხერხებს.

სპეციალურ-სამეცნიერო მეთოდებს განეკუთვნებიან ისინი, რომლებითაც სარგებლობენ ცალკეული მეცნიერებები. მაგალითად, ასეთია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომლითაც ძირითადად სარგებლობენ ისტორიკოსები. თუმც, საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმატებით გამოყენება შეუძლიათ სხვა ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებსაც.

არსებითად ისტორიული კვლევის მეთოდების რიცხვს განეკუთვნება საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის სინქრონული და დიაქრონული მეთოდები. სინქრონული მეთოდით კვლევისას მოვლენებისა და ობიექტების ერთობლიობა განიხილება, როგორც გარკვეული ვარიაციები ერთსა და იმავე დროით ჭრილში. დიაქრონული მეთოდის გამოყენებისას კი მოვლენები განიხილება მათ ისტორიულ განვითარებასა და მოძრაობაში.

ცხადია, მეთოდები იმის მიხედვით შეიცვლება, თუ რას სწავლობს ისტორიკოსი: ეკონომიკურ ისტორიას, კულტურას, საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებას, ძველ ტექსტს, თუ თანამედროვე პრესას და ა.შ. ყოველ მეცნიერებას, და, რა თქმა უნდა, ისტორიასაც, სპეციალური კვლევის მეთოდების გვერდით აქვს კონკრეტულ-პრობლემური მეთოდების დიდი არსენალი. კონკრეტული სამეცნიერო ანუ პრობლემურ-სამეცნიერო მეთოდები მიზნად ისახავენ სინამდვილის რომელიმე ერთი მხარის სპეციფიკურ შესწავლას.

სამეცნიერო კვლევის ზემოთ დასახელებული დონეები მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. თითოეული მეთოდი თავის თავში შეიცავს სამ კომპონენტს: პირველ რიგში, ეს არის კვლევის ძირითადი პრინციპები, წესები, საშუალებები და ხერხები, რომლებიც წარმოადგენენ მეთოდის თეორიას ანუ *მეთოდოლოგიას*. კვლევის პრინციპების, წესების, საშუალებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი პროცედურებისა და

წესების შემუშავება. მათი ერთობლიობა ქმნის კვლევის *მეთოდიკას*. დაბოლოს, ყოველი გამოკვლევის ჩატარება მოითხოვს გარკვეულ ინსტრუმენტარიუმს. სწორედ კვლევის საშუალებათა ანუ ინსტრუმენტთა ერთობლიობა ქმნის კვლევის *ტექნიკას*.

ყოველი სამეცნიერო გამოკვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოვლენის შინაარსობრივ ანუ თვისებრივ ანალიზს. თვისებრიობის გამოვლენაა მეცნიერული გამოკვლევის მიზანი. არსებობს ობიექტური რეალობის შესახებ ინფორმაციის გადმოცემის ორი გზა: აღწერილობითი და რაოდენობრივი. აღწერილობითი და რაოდენობრივი ანალიზი ახასიათებს მოვლენას, ხოლო თვისებრივი – მის არსებას. სამეცნიერო კვლევისას ფაქტობრივად ადგილი აქვს ან არსებით-აღწერილობით ანდა არსებით-რაოდენობრივ ანალიზს. როგორც მიუთითებენ, რაოდენობრივი ანალიზი არის არა თვისებრივის ალტერნატივა, არამედ აღწერილობითის. ისტორიული სინამდვილის შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას როგორც აღწერილობით, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს აქვს თავისი უპირატესობანი და ნაკლოვანებანი. არცერთის აბსოლუტიზება არ იქნებოდა მართებული. ყოველთვის მკაფიოდ უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, თუ სად არის მათი გამოყენება მიზანშეწონილი და – სად არა. ზოგჯერ კი განსაკუთრებულად ეფექტურია აღწერილობითი და რაოდენობრივი მეთოდების კომბინირებული გამოყენება.

ისტორიული მეცნიერებაში ყოველთვის ყურადღება ექცეოდა ხდომილებების რაოდენობრივ მახასიათებლებს. მიუხედავად ამისა, აღწერილობითი მეთოდები ისტორიოგრაფიისათვის იყო და დღემდეც ინარჩუნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი უთუოდ ამ მეთოდის შედარებით სიმარტივეში მდგომარეობს: წყაროებში მასალა ხომ სწორედ აღწერილობითად არის წარმოდგენილი და ამგვარი გადამუშავებისას ისტორიკოსისაგან არ მოითხოვს ისეთ რთულ ოპერაციებს, როგორსაც – მათემატიკური ანუ რაოდენობრივი მეთოდები. ამასთან ფართო მკითხველისათვის ისინი ადვილად ხელმისაწვდომია. ეს კი არსებითია ისტორიული მეცნიერებისათვის, რადგან ისტორია, როგორც უკვე ითქვა, რეალურად არის არა მარტო სინამდვილის შემეცნების საშუალება,

არამედ ნაციონალური იდენტობის მარკერიც და მისი ნარატივი ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს ჯგუფის ნებისმიერი წევრისათვის.

აღწერილობითი მეთოდით კარგად ხერხდება უნიკალურ მოვლენათა ფიქსირება, მაგრამ აღწერილობით მეთოდის დიდი ნაკლია მისი საშუალებით მიღებულ დასკვნათა არაცალსახობა. გარკვეული სახის წყაროებიდან ინფორმაციის ამოსაღებად ეს მეთოდი თითქმის სრულიად გამოუსადეგარია. ასეთია, მაგალითად, მასობრივი წყაროები.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ აღწერილობითი მეთოდის გვერდით სულ უფრო მეტად გამოიყენება ისტორიაში რაოდენობრივი მეთოდები. რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ისტორიაში უპირველესად არის შედეგი თავად ისტორიული მეცნიერების განვითარებისა, რომელიც სულ მეტი და თვისებრივად ახალი ინფორმაციის ამოღებას ესწრაფვის წყაროებიდან: კერძოდ, სულ უფრო აქტუალური ხდება პრობლემები, რომლებიც ორიენტირებულია არა კონკრეტულ ფაქტზე, არამედ საშუალოზე, არა უნიკალურზე, არამედ საზოგადო მახასიათებელზე, აგრეთვე ინფორმაციაზე, რომელიც პირდაპირი სახით არაა წარმოდგენილი წყაროებში. ამასთან საზოგადოებაში ისტორიული მეცნიერების დასკვნების სიზუსტისადმი მოთხოვნილებაც მკვეთრად გაიზარდა.

თეორიულად ყველაფრის გაზომვაა შესაძლებელი, იმიტომ რომ ყოველ თვისებრიობას შეესაბამება სრულიად გარკვეული რაოდენობრიობა. მაგრამ პრობლემა ისტორიული ფაქტების ისე დამუშავებაა, რომ ისინი დათვლისათვის, გაზომვისათვის მოსახერხებელი შეიქმნენ. ისტორიაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას ძალიან მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ დავთვალოთ (გამოთვლითი ტექნიკა და მეთოდები დღეს ამისათვის საკმაოდ დახვეწილია და აქ პრობლემა არ არის), არამედ რა დავთვალოთ. ისტორიკოსმა უნდა შეძლოს მოვლენის თვისებრივი მოდელის მოაზრება და ამის საფუძველზე დათვლის ერთეულების შერჩევა. სწორედ ამ ეტაპზე იკვეთება იდეოლოგიური პოზიციის მნიშვნელობა ისტორიკოსისათვის და აქ არის სუბიექტურობის გამოვლენის გარკვეული საშიშროებაც. ასე რომ, შეცდომისაგან არც მათემატიკური მეთოდების გამოყენებისას ვართ დაზღვეულნი.

გარდა ამისა, ისტორიული კვლევის მათემატიზებამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგების ზედმეტად აბსტრაქტულობა და, შესაბამისად, დავაკარგავინოს მოვლენის ინდივიდუალური ნიშნები. მათემატიკური მეთოდები შრომატევადია, რთულია გასაგებად და გამოსაყენებლად. ფაქტია, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობას დღეს კიდევ არ ძალუძს ამ მეთოდების გამოყენება მათ წინაშე დასმული პრობლემების გადასაჭრელად.

როგორც ითქვა, რაოდენობრივი მეთოდების შემოტანა ისტორიაში გამოიწვია თავად ამ მეცნიერების საჭიროებებმა. მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრივ გამოთვლითი ტექნიკის დიდად განვითარებასაც. როგორც მიუთითებენ, მეცნიერების კომპიუტერიზაცია არ არის უბრალოდ მისი უზრუნველყოფა კვლევის ახალი ტექნიკით და ტექნოლოგიებით. ეს უპირველეს ყოვლისა, არის კონკრეტული მეცნიერების პრობლემების ახალი ხედვა. ჰაროლდ აბელსონი – პროფესორი კომპიუტერულ მეცნიერებებში – თავის ერთ-ერთ ლექციაში მიუთითებს: კომპიუტერული მეცნიერებანი არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. მათ ნაკლები მნიშვნელობა აქვთ თავად კომპიუტერებისათვისაც. კომპიუტერული რევოლუცია არის რევოლუცია ადამიანის აზროვნების წესში და ამ ნააზრვეის გამოხატვის გზებში. კომპიუტერული რევოლუციით გამოწვეული ცვლილების არსი მართებულია იწოდებოდეს პროცედურულ ეპისტემოლოგიად⁴².

თვისებრივი მახასიათებლების გაზომის აუცილებლობის მოთხოვნამ გამოიწვია ფორმალიზაციის და გაზომვის სპეციალური მეთოდების ჩამოყალიბება. ერთ-ერთმა ასეთმა მეთოდმა შეიძინა კონტენტ-ანალიზის სახელწოდება. ის გამოსადეგია მარტივი და რთული თვისებრივი ნიშნების გასაზომად და განსაკუთრებით ეფექტურია დიდი მოცულობის და მრავალფეროვანი ნარატიული წყაროების (პრესის მასალები, სხვადასხვა აღწერილობითი საანკეტო მონაცემები და ა.შ.) დასამუშავებლად. კონტენტ-ანალიზისათვის უნდა გამოიყოს მოვლენის თვისებრივი

⁴² ეპისტემოლოგია – ფილოსოფიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ცოდნას.

მხასიათებლების სისტემა ანუ გამომუშავდეს გარკვეული ფორმულარი. საჭიროების შემთხვევაში ეს მონაცემები კოდირდება ანუ იღებს რიცხვითი გამოსახულების ფორმას.

კონტენტ-ანალიზს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტების ატრიბუციისათვის. თავად ატრიბუციის პრობლემა კი წყაროთმცოდნეობითი ძიებების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ხშირად სწორედ ატრიბუცია იქცევა საფუძვლად ამა თუ იმ ძეგლის დათარიღებისათვის. ატრიბუციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია შუა საუკუნეებისათვის. ამ პერიოდიდან ხომ ხშირია ანონიმური ძეგლების მოღწევის შემთხვევები. ძეგლის ატრიბუციის პრობლემა საკმაოდ ძნელად გადასაჭრელია და მოიცავს ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებების მთელ კომპლექსს. ჩვეულებრივ არგუმენტაცია ეხება პრობლემის სამ მხარეს: ტექსტის წარმომავლობის მიმანიშნებელ გარეგნულ ნიშნებს, ტექსტის შინაგან კრიტიკას ანუ შინაარსის და იდეოლოგიური დატვირთვის ანალიზს და ავტორის სტილის კვლევას. ერთად სამივე სახის არგუმენტის მოშველიება კარგ შედეგს იძლევა. ამ ტიპის კვლევა “მოქცევაი ქართლისაიში” დაცული “წმ. ნინოს ცხოვრების” ორ რედაქციასთან დაკავშირებით ჩემ მიერაც იქნა ჩატარებული.

მათი შედარებით-ტექტოლოგიური კვლევა, აგრეთვე, სხვა მონაცემები, გვიჩვენებს, რომ ეს ძეგლები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე ერთ ძეგლში გაერთიანებული სახით მოაღწიეს, განეკუთვნებიან სხვადასხვა ავტორს. ამ დასკვნის შემოწმება ჩემ მიერ მოხდა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებითაც, რომლის არსი მოკლედ შემდეგია.

ავტორისეულ სტილს ახასიათებს წინადადების შიგნით გარკვეული გრამატიკული კლასებისკენ მიდრეკილება, რაც რაოდენობრივ გამოხატულებას პოულობს გრამატიკული კლასების წყვილადი შეხვედრის სიხშირეებში. გრამატიკულ კლასებს აკუთვნებენ ნომერს და საკვლევ ტექსტს გადაწერენ მათი გარკვეული თანამიმდევრობის ფორმით. შემდეგ ითვლიან წყვილადი შეხვედრის სიხშირეებს და ადგენენ სპეციალურ მატრიცებს. მატრიცაში აისახება როგორც ძლიერი (მაღალი სიხშირის), ე.ი. კანონზომიერი, ისე სუსტი (დაბალი სიხშირის), ე.ი. შემთხვევითი

კავშირები. დაბალი სიხშირის კავშირები მხედველობაში არ მიიღება. მაღალი სიხშირეების გათვალისწინებით კი აიგება ე.წ. ძლიერი კავშირების გრაფი. მაგრამ კანონზომიერი კავშირები, რომელიც ამ გრაფში აისახება, განპირობებულია არა მარტო ავტორის სტილის თავისებურებებით, არამედ ენის ზოგადი კანონებითაც, რაც გამოხატულებას პოულობს ე.წ. საერთოენობრივი ბირთვის გრაფში. ეს გრაფი შესადარებელი ტექსტების ერთნაირი ნაწილია. მათი გამორიცხვით ძლიერი კავშირების გრაფიდან მივიღებთ არსებითი კავშირების გრაფს, რომელიც უკვე მხოლოდ ავტორისეული სტილის მახასიათებელია.

საერთოდ ამ მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა, რომ მინიმუმ სამი ტექსტი მაინც გვქონდეს, რომ შედარება მოვახერხოთ და ეს ტექსტები არ იყოს ძალიან მოკლე, რადგან სტატისტიკური ანალიზისათვის საჭიროა ე.წ. რეპრეზენტატიული ამონარჩევი ანუ ისეთი ნაწილი, რომელიც მთელის თვისებრიობას ინარჩუნებს. რადგანაც ჩემს მიზანს წარმოადგენდა ტექსტების რაოდენობრივი ანალიზის გზით შემემოწმებინა ტექსტოლოგიური დასკვნა, რომ “მოქცევაი ქართლისაიში” წარმოდგენილი “წმ. ნინოს ცხოვრების” რედაქციები სხვადასხვა ავტორს ეკუთვნიან, ავიღე მოკლე რედაქცია მთლიანად: მისი მოცულობა უდრის ხუთას სიტყვას, ასევე ხუთას-ხუთასსიტყვიანი ორი ნაწყვეტი “წმ. ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქციიდან და სამივე ტექსტი ზემოთ მითითებული წესით შევისწავლე. აღმოჩნდა, რომ რაოდენობრივი ანალიზით “წმ. ნინოს ცხოვრების” ვრცელი რედაქციის ორი მონაკვეთი სტილისტულად თანაბრად განსხვავდება “წმ. ნინოს ცხოვრების” მოკლე რედაქციისაგან. ამგვარად, ჩემ მიერ ტექსტოლოგიური კვლევის მიღებული დასკვნა სტატისტიკური ანალიზითაც დადასტურდა. ეს არის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების საკმაოდ მარტივი შემთხვევა. მაგრამ ის ნათლად აჩვენებს ამ მეთოდების გამოყენების დიდ პერსპექტივას ისტორიაში. “მოქცევაი ქართლისაის” სტილის ანალიზი რაოდენობრივი მეთოდების საშუალებით, ამგვარი კვლევის პირველი ცდა იყო საქართველოში. შემდეგში ამ მიმართულებამ გარკვეული გაგრძელებაც ჰპოვა.

ლიტერატურა

კურსი “ისტორიული მეცნიერების შესავალი”, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვი, რამდენიმე წელია ვკითხულობ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომლის კონსპექტურ გადმოცემასაც წინამდებარე წიგნი წარმოადგენს, შექმნილია მრავალრიცხოვანი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სახელმძღვანელოები, რომლებიც უკავშირდება ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, თეორეტიკების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი მონაცემების თვალსაზრისით ამ წიგნის ზოგი მონაკვეთი მნიშვნელოვნად არის დავალებული აღნიშნული სახელმძღვანელოებისაგან, არც ცალკეული თავების დიზაინი, არც წიგნის საერთო სტრუქტურა არცერთ არსებულ პუბლიკაციას არ იმეორებს და თვისებრივად ახალია. ამას გარდა, კურსის შედგენისას ვითვალისწინებდი ლიტერატურას, რომელიც არსებობს ზოგადი და ქართული წყაროთმცოდნეობის და ისტორიოგრაფიის დარგებში. კონკრეტული საილუსტრაციო მასალა უმეტესწილად მომყავს ჩემივე სამეცნიერო პრაქტიკიდან. მარქსისტული სოციოლოგიის ანალიზისას, გარდა დასახელებული ევროპელი და ამერიკელი ავტორებისა, გამოვიყენე საბჭოთა მეცნიერების ნაშრომებიც. წიგნში გათვალისწინებულია ის ლიტერატურაც, რომელიც შეეხება ისტორიული მახსოვრობის და ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, საზოგადოებრივ ფუნქციას, ისტორიაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. ბოლონის პროცესისადმი მიძღვნილი თავი ეფუძნება ინტერნეტულ რესურსებს, აგრეთვე, სპეციალურ წიგნს. ყველაფერი ამის დამატებით გამოყენებულია სხვადასხვა ვებ-გვერდების მასალა, ცნობარები და ლექსიკონები.

ქვემოთ ანბანური რიგით მომყავს წინამდებარე წიგნის შედგენისას გამოყენებული ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ლიტერატურის ჩამონათვალი.

ალასანია გ. და **კიკნაძე რ.** წყაროთმცოდნეობის თეორიული პრობლემები. თბილისი: მეცნიერება, 1983.

ბერკი ჰ. ისტორია და სოციალური თეორია (ინგლისურიდან თარგმნა ნ. ლადარიამ). თბილისი: ლოგოს პრესი, 2002.

გურაბანიძე მ. ქართული საისტორიო წყაროების კომპიუტერული დამუშავება (ლენტი მროველის თხზულებათა მიხედვით). თბილისი: თსუ, 2004.

გურაბანიძე მ. ისტორია და საინფორმაციო ტექნოლოგიები. თბილისი: უნივერსალი, 2005.

თორია მ. წარსულის გააზრებისა და მენსიერების პოლიტიკის როლი კონფლიქტური იდენტობების ჩამოყალიბებაში (ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მაგალითი). ცივილიზაციური ძიებანი, № 4, 2008.

კასირერი ე. რა არის ადამიანი? ცდა ადამიანური კულტურის ფილოსოფიის აგებისა (გერმანულიდან თარგმნა ლ. რამიშვილმა). თბილისი: განათლება, 1983.

კიკნაძე ზ. შუემრული ისტორიოსოფია. ენა და კულტურა, № 3, 2002.

კიკნაძე რ. თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა. საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები II. თბილისი: მეცნიერება, 1992.

კიკნაძე რ. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი. საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები II. თბილისი: მეცნიერება, 1992.

მარქსი კ. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი: სახელგამი, 1953.

მეკრავიშვილი შ. ისტორის მეთოდოლოგიის საკითხისათვის. ცივილიზაციური ძიებანი, № 1, 2004.

მელიქიშვილი ლ. ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია. თბილისი: მემატანე, 2000.

მინდაძე ი. ვაგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მენსიერების ხატები. თბილისი: საარი, 2005.

ნადირაძე ქ. ისტორიოგრაფია – ისტორიული მეცნიერების ისტორია. თბილისი: მერიდიანი, 2005.

სმითი ე.დ. ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია (ინგლისურიდან თარგმანი მ. ჩხარტიშვილის, ქართული ტექსტის რედაქტორი რ. ამირეჯიბი-მალენი). თბილისი: ქეცე, 2004.

სიღამონიძე უ. ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები. თბილისი: მეცნიერება, 1978.

ფირცხალავა ლ. ისტორიული მეცნიერების შესავალი. თბილისი, 1997.

ღამბაშიძე მ. ხეთური ანალისტიკა. ენა და კულტურა, № 3, 2002.

ყორანაშვილი გ. პროფესია – ისტორიკოსი. თბილისი: ნაკადული, 1986.

ჩხარტიშვილი მ. “არაკი სინდთა მეფისა”. ქართული წყაროთმცოდნეობა VIII. თბილისი: მეცნიერება, 1993.

ჩხარტიშვილი მ. “მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი”. “ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაი” (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა). თბილისი: მეცნიერება, 1994.

ჩხარტიშვილი მ. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან (“მოქცევაი ქართლისაი”). სმა მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), № 3, 1985.

ჩხარტიშვილი მ. ქართული ისტორიული აზრი XI საუკუნეში. მნათობი, № 12, 1989.

ჩხარტიშვილი მ. წყაროებზე მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. სმა მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), № 2, 1982.

ჩხარტიშვილი მ. და **ჩხარტიშვილი ლ.** “მოქცევაი ქართლისაი”. ავტორისეული სტილის მათემატიკური ანალიზი. მეცნიერება და ტექნიკა, № 1, 1980.

ჯავახიშვილი ი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I. თხზულებანი 12 ტომად. ტომი VIII, თბილისი: თსუ, 1977.

Breisach E. Historiography. Ancient, Medieval and Modern (Third edition). Chicago: The University of Chicago Press, 2007.

Burke P. (Ed.). New Perspectives on Historical Writing (Second edition). Polity Press, 2001.

Gonzalez J. and **Wagenaar R.** (Eds.) Tuning Educational Structures in Europe. II. Universities' Contribution to the Bologna Process, 2005.

Green A. and **Troup K.** (Selec. and Introd.) The Houses of History. A Critical Reader in Twentieth-Century History and Theory. Manchester: Manchester University Press, 1999.

Howell M. and **Prevenier W.** From Reliable Sources. An Introduction to Historical Methods. Itaca – London: Cornell University Press, 2001.

Iggers G.G. Historiography in the Twentieths Century. From Scientific Objectivity to Postmodern Challenge with a New Epilogue by the Author. Middetown: Wesleyan University Press, 2003.

Lambert P. and **Schofield P.** Making History: An Introduction to the History and Practice of a Discipline. London – New York: Routledge, 2004.

Roudometof V. Collective Memory and Cultural Politics. J. Political & Military Sociology, Vol. 35, No 1: Special Issue – Collective Memory and Cultural Politics (Ed. V. Roudometof), 2007.

Zerubavel E. Time Maps. Collective Memory and Social Shape of the Past. Chicago and London: The University of Chicago Press, 2003.

Азбелев С.Н. Историзм былин и специфика фольклора. Ленинград: Наука, 1982.

Аласания Г.Г. Классификация грузинских письменных исторических источников. Тбилиси: Мецниереба, 1986.

Антипов Г.А. Историческое прошлое и пути его познания. Новосибирск: Наука, 1987.

Блок М. Апология Истории. Москва: Наука, 1986.

Боряз В.Н. (Ред.) Категории исторических наук (Сборник статей). Ленинград: Наука, 1988.

Гацак В.М. (Ред.) Фольклор. Проблема историзма. Москва: Наука, 1988.

Жуков Е.М. Очерки методологии истории (Второе издание). Москва: Наука, 1987.

Каштанов С.М. Русская дипломатика. Москва: Высшая школа, 1988.

Кикнадзе Р.К. О предмете и структуре источниковедения. Вопросы истории Грузии и источниковедения II. Тбилиси: Мецниереба, 1992.

Клосс Б.М. (Отв. ред.). Математика в изучении средневековых повествовательных источников (Сборник статей). Москва: Наука, 1986.

Ковальченко И.Д. (Ред.). Количественные методы в исторических исследованиях. Москва: Высшая школа, 1984.

Ковальченко И.Д. (Ред.). Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях. Москва: Наука, 1977.

Ковальченко И.Д. (Ред.). Математические методы в исторических исследованиях. Москва: Наука, 1972.

Ковальченко И.Д. (Отв. ред.). Математические методы в социально-экономических и археологических исследованиях. Москва: Наука, 1981.

Лихачев Д.С. Текстология (На материале русской литературы X-XVII веков). Ленинград: Наука, 1983.

Лурье Я.С. О гипотезах и догадках в источниковедении. Источниковедение отечественной истории (1976). Москва: Наука, 1977.

Миронов Б.Н. и **Степанов З.В.** Историк и математика. Ленинград: Наука, 1975.

Ревуненкова Н.В. (Пер. и прим.) История в энциклопедии Дидро и Д'Аламбера. Ленинград: Наука, 1978.

Рожин В.П. (Ред.). Актуальные проблемы исторического материализма. Ленинград: ЛГУ, 1981.

Славко Т.И. Математико-статистические методы в исторических исследованиях. Москва: Наука, 1981.

Томашевская М. (Перев., сост., вступ. ст. и прим.). Историки Античности. Том первый: Древняя Греция. Москва: Правда, 1989.

Томашевская М. (Перев., сост., вступ. ст. и прим.). Историки Античности. Том второй: Древний Рим. Москва: Правда, 1989.

Фарсобин В.В. Источниковедение и его метод. Москва: Наука, 1983.

Хвостова К.В. Контент-анализ в исследованиях по истории культуры. Одиссей. Человек в истории. Исследования по социальной истории и истории культуры (1989). Москва: Наука, 1989.

Челидзе Л.Л. Что такое история? Тбилиси: Мецниереба, 1978.

Чичуров И.С. Место «Хронографии» Феофана в ранневизантийской историографической традиции. Дрнейшие государства на территории СССР (Материалы и исследования 1981). Москва: Наука, 1983.

ღამატიპა

მარიამ ჩხარტიშვილი

გენდერის კატეგორიის პერცეფცია V საუკუნის ქართულ საზოგადოებაში “წმ. შუშანიკის მარტვილობის” მიხედვით

გამოკვლევა V საუკუნის ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების “წმ. შუშანიკის მარტვილობის” გენდერული თვალსაზრისით კვლევას ისახავს მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თხზულების მთავარი გმირი ქალია და მისი ისტორია – ქმრის მხრიდან შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლა – ზუსტად თავსდება ფემინისტური პროტესტის “კლასიკურ” პარადიგმაში, იგი აქამდე არასოდეს ყოფილა განხილული, როგორც წყარო შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების გენდერული პერცეფციების შესასწავლად. არადა, ყოველი საზოგადოების დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ როგორი იყო ქალთა მდგომარეობა რეალურად და საზოგადოების წევრები როგორ აღიქვამდნენ ისეთ კატეგორიას, როგორიცაა სქესი.

როგორც ცნობილია, აღნიშნული ძეგლის ავტორია მასში აღწერილი მოვლენების თანამედროვე და უშუალო მონაწილე, წმ. შუშანიკის სულიერი მამა იაკობ ზუცესი. ამგვარად, “წმ. შუშანიკის მარტვილობა” არის ავთენტური წყარო, შესაბამისად, რეპრეზენტატიულიც წინამდებარე გამოკვლევისათვის, რადგან საზოგადოებრივ პერცეფციებზე დაკვირვება სწორედ ავთენტურ წყაროებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

საკვლევი თხზულება, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, გვიჩვენებს, მისი ავტორის მსოფლადქმას, მაგრამ ამავე დროს, იგი ასახავს მკითხველი საზოგადოების შეხედულებებსაც, რადგან, როგორც ცნობილია, ყოველი ლიტერატურული ქმნილება სწორედ პოტენციური მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით

იწერება. ამიტომ ვფიქრობ, რომ იაკობ ხუცესის თანამედროვე ქართული საზოგადოების პერცეფციების შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია “წმ. შუშანიკის მარტვილობის” ავტორის მიხედვით შევიქმნათ.

უკვე ის გარემოება, რომ იაკობმა თავისი თხზულების მთავარ გმირად ქალბატონი აირჩია, ააშკარავებს მის მიერ გენდერული საკითხის ხედვას: მას ქალი საზოგადოების სრულუფლებიან და ანგარიშგასაწევ წევრად მიაჩნია.

ეს რაც შეეხება მთავარ პერსონაჟს. მაგრამ ამაზე არანაკლებ საგულისხმოა დეტალები, კერძოდ, ის, რომ ცალკეული ეპიზოდების გადმოცემისას იაკობს მხედველობიდან არ რჩება პროცესებში ქალების მონაწილეობა. აი, მაგალითად, როგორია იაკობისეული დახასიათება იმ ამბოხისა ანუ ადამიანთა სიმრავლისა, რომელიც უთანაგრძნობდა წმ. შუშანიკს:

“და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჳ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, კმად აღემაღლა და ტიროდეს და იკაკდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისათჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: “ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შეილნო ჩემნო” ”⁴³.

როგორც ვხედავთ, ორივე სქესის წარმომადგენელთა დაფიქსირება ხდება არა მარტო გულშემატკივართა მასის განსაზღვრისას, არამედ მარტვილის მიმართვაშიც. საინტერესოა უმცროსი თაობის ანუ “შვილთა” გამოყოფაც. ერთის მხრივ, საზოგადოება დაყოფილია სქესთა მიხედვით, მეორეს მხრივ – ასაკის მიხედვით. სრულასაკოვნება გენდერიზებულია, არასრულწლოვანება კი – არა. ორივე სქესის არასრულწლოვანნი, როგორც ვხედავთ, მოიხსენიებიან ტერმინით “შვილი”, მაშინ როცა სრულასაკოვნებში ანუ ტოლებში შუშანიკი განარჩევს “დებსა” და

⁴³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად ავტორთა კოლექტივმა ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. ტომი I. თბილისი: მეცნიერება, 1963 (შემდგომში ძეგლები I), გვ. 20-21.

“ძმებს”. წარმოდგენილი პასაჟის ჩემულ ინტერპრეტაციას განამტკიცებს და ახალი ნიუანსით ავსებს ის ადგილიც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ წმ. შუშანიკის გულშემატკივართა შორის არიან არა მარტო მისი ტოლები ანუ სრულასაკოვანნი, ან უმცროსები ანუ “ყრმები”, არამედ უფროსებიც ანუ “მოხუცებულნი”:

“და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათად და დედათად, მოხუცებულთა და ყრმათად...”⁴⁴

უფროსი თაობა, ისევე როგორც უმცროსი, როგორც ვხედავთ, არ არის გენდერიზებული: არიან “მამანი” და “დედანი”, და ყოველგვარი სქესობრივი დაყოფის გარეშე “მოხუცებულნი” და “ყრმანი”.

სხვა მაგალითები გვიჩვენებს, რომ ავტორს აუცილებლად მიაჩნია გენდერული დეტალები იყოს მის აღწერილობაში. აი, როგორ წარმოაჩენს იგი წმ. შუშანიკის თავყვანისმცემლებს:

“და მიერთგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმც მისი და მოვიდოდეს მამანი და დედანი”.⁴⁵

და კიდევ ანალოგიური მაგალითი: წმ. შუშანიკმა თავის ღვაწლით “განამცნნის მამანიცა და დედანიცა”.⁴⁶

გარკვეულ ასაკში გენდერული დაყოფა განირჩევა ყველა სოციალურ ფენაში, მაგრამ ეს ტიხარი განსაკუთრებით მკაფიოა სოციალური კიბის მაღალ საფეხურებზე:

“მსგავსად მასვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს”.⁴⁷

“აზნაურნი და უაზნონი” – ეს ჯგუფები ქალებითაც თუ არიან წარმოდგენილნი, აღნიშნული არ არის, შესაძლოა, რომ არც. მაგრამ დიდ აზნაურთა ფენის ქალბატონები ანუ “ზეპურნი დედანი” ყოფილან საზოგადოებრივად იმდენად მნიშვნელოვანნი, რომ მათი ცალკე აღნიშვნა აუცილებლად მიუჩნევა ავტორს. გენდერული ბალანსი, ჩანს, უმაღლესი სოციალური კიბის

⁴⁴ ძეგლები I, გვ. 21.

⁴⁵ ძეგლები I, გვ. 22.

⁴⁶ ძეგლები I, გვ. 28.

⁴⁷ ძეგლები I, გვ. 27.

რეალობაა. არ შეიძლება აქ არ გაგვახსენდეს შოთა რუსთაველი და მისი ცნობილი გენდერული ფორმულა “ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, გინა ხვადა”. ძუ და ხვადა თანასწორნი არიან, ოღონდაც ეს არის “ლომთა სოციალური ფენის” ანუ პოლიტიკური ელიტის უპირატესობა და პრივილეგია და არა მთელი საზოგადოების მახასიათებელი.

თხზულებიდან ჩანს, რომ V საუკუნის ქართულ საზოგადოებაში, მართალია, სქესებს შორის სრული თანასწორობა არ არის (და ეს შეუძლებელია არსებობდეს, რადგან, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ფემინისტები, სახელმწიფო მამაკაცთა დომინანტობის ეპოქაში წარმოქნილი ინსტიტუციაა და წარმოადგენს მამაკაცთა ძალაუფლების განხორციელების ინსტრუმენტს, ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო იგი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე), მაგრამ საკმაოდ თავისუფლად კი გამოიყურებიან ქალბატონები, ყოველ შემთხვევაში, შუშანიკის წრის ქალები.

ამგვარი შთაბეჭდილება გვექმნება მიუხედავად იმისა, რომ თხზულების მთავარი გმირი გარკვეულწილად პატრიარქალური საზოგადოების არტახებისაგან განთავისუფლებას ეწირება.

გენდერული პერცეფციების შეფასების თვალსაზრისით უმნიშვნელო როდია, რომ შუშანიკი, მიუხედავად იმისა, რომ ვერავინ და ვერავითარი ზედწოლა ვერ უშლის მას საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულებას მიატოვოს სახლი იმის გამო, რომ მისთვის მიუღებელია ქმრის კონფესიური არჩევანი, თავს უუფლებოდ მიიჩნევს. სწორედ ეს არის მთავარი მიმანიშნებელი საზოგადოებაში არსებული ვითარების გასარკვევად: ამგვარი თავისუფლების პირობებშიც კი შუშანიკი თავს დაჩაგრულად მიიჩნევს.

ჩანს სწორედ ამ განცდის მიზეზით, შუშანიკი კონფლიქტამდეც განიხილავდა ვარსკენთან განშორების შესაძლებლობას და ამ ნაბიჯისათვის გამართლების არგუმენტის მოძიებას ცდილობდა *წმინდა წერილში*. ამაზე, ვფიქრობ, მეტყველებს მისი მყისიერი პასუხი პავლე მოციქულის სიტყვების დამოწმებით ხუცესის მიმართვაზე, რომელიც შუშანიკმა აღიქვა შეკითხვად, შეურიგდებოდა თუ არა იგი ვარსკენს:

“უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებად და წარწყმედად სულისა ჩემისაჲ; რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ”.⁴⁸

ამ ადგილმა მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. ბ. კილანავა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ იაკობი ამ შემთხვევაში თავისუფალ მიდგომას იჩენს ბიბლიურ ტექსტთან: თუ კონტექსტში გავიზრებთ მოყვანილ ფრაზას, ირკვევა, რომ ურწმუნო ქმარი არ უნდა მიატოვოს ცოლმა.⁴⁹

ამრიგად, ბ. კილანავას მიხედვით გამოდის, რომ იაკობი ბიბლიური ტექსტის არასწორ დამოწმებას უკრავს კვერს. მაგრამ განსახილველი ადგილი (I კორ., 7:15) ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ერთის მხრივ, აქ მართლაც ვკითხულობთ შემდეგს:

“და ცოლიც, რომელსაც ჰყავს ურწმუნო ქმარი, და კაცი თანახმა იცხოვროს მასთან, ნუ მიატოვებს მას, ვინაიდან ურწმუნო ქმარი მორწმუნე ცოლისაგან განიწმინდება და ურწმუნო ცოლი – მორწმუნე ქმრისაგან. თორემ თქვენი შვილებიც არაწმინდები იქნებოდნენ, ახლა კი წმინდანი არიან. ხოლო თუ ურწმუნოს გაყრა სურს, დე, გაეყაროს. ამ შემთხვევაში არც ძმა და არც და შეკრებილ არ არიან. ვინაიდან მშვიდობით გვიხმო უფალმან (I კორ., 7:13,14,15).

მაგრამ, მეორეს მხრივ, აქვე ვკითხულობთ:

⁴⁸ ძეგლები I, გვ. 14.

⁴⁹ ბ. კილანავა. მიახლოება ცურტაველთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1985, N1, გვ. 4. ზ. ტყეშელაშვილიც ფიქრობს, რომ “ნაწარმოებში მოცემული სიტუაცია პავლე მოციქულის სიტყვებს არ შეესაბამება. შეიძლება ითქვას, რომ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ გამოთქმულია რადიკალურად საწინააღმდეგო აზრი”. იხ. ზ. ტყეშელაშვილი. “წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა”. ბიბლიური პარალელები და სიმბოლიკა. თბილისი: საქართველო, 1998, გვ. 10-11. თუმც მკვლევარი ფიქრობს, რომ შუშანიკის ქმედება მაინც *წმინდა წერილის* ავტორიტეტს ეფუძნება.

“რა იცი, ქალო, იხსნი თუ არა ქმარს? ან შენ რა იცი, კაცო, იხსნი თუ არა ცოლს? არამედ ყველა მოიქცეს ისე, როგორც განუწესა ღმერთმა” (I კორ., 7:16,17).

ანუ გაყრა *წმინდა წერილის* აღნიშნული ადგილის მიხედვით, დასაშვებია, თუმც სავალდებულო არ არის. შუშანიკი კი აძლიერებს მოციქულის მსჯელობის მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც დაცვილების შესაძლებლობაზეა საუბარი და ისე წარმოადგენს საქმეს, თითქოს ეს ვალდებულება იყოს.⁵⁰

შუშანიკს მიაჩნია, რომ ვარსქენმა იგი გააუბედურა და ამის მიზეზი არის ამ ქვეყნის არასრულყოფილება, რისი ერთ-ერთი გამოხატულება არის სწორედ სქესთა შორის არათანასწორობა: ქალს ამქვეყნად მამაკაცის თანაბარი სიტყვა ვერ უთქვამს. შუშანიკის რწმენით, ეს ვითარება რადიკალურად შეიცვლება. ეს მოხდება ისტორიის ფინალის დროს ანუ განკითხვისას:

“მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: “განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიანში მუნ, სადა არა არს თუალდებად წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთადასა და მეუფისა მის მეუფეთადასა, სადა არა არს რჩევად მამაკაცისა და დედაკაცისად, სადა მე და მან სწორი სიტყვად ვთქუათ წინაშე უფლისა” ”.⁵¹

თუმც თანასწორობის მომხრეა, შუშანიკი არ იზიარებს მამებისა და დედების პურის ერთად ჭამის წესს:

“ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დეათა ერთად ეჭამათ პური?!“⁵²

შუშანიკს, ჩანს, ეს ტრადიციის მსხვერველად, გამაზღვანების შედეგად მიაჩნია და ამიტომ ეწინააღმდეგება. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ კვლავ გენდერულ საკითხზე ამხვილებს ყურადღებას ანუ პურის ცალკ-ცალკე ჭამის ფაქტს იგი დაუფიქრებია საგანგებოდ.

⁵⁰ მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰავიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (IV-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი: თსუ, 1996, გვ. 296-297, შენ. 25.

⁵¹ ძეგლები I, გვ. 26.

⁵² ძეგლები I, გვ. 17.

ჩანს, ტრადიცია იყო ქალს არ “ეუფროსა” ქმარზე. ამას გვაჩვენებს გაკვირვებული და აღშფოთებული ვარსკენის შემდეგი ფრაზა:

“რადსა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევეითარისა საკმედ?”⁵³

საინტერესოა, რომ ფემინური იდენტობა ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში გამოკვეთილად ეფუძნება გარკვეული მენტალური მარკერის სტერეოტიპს, კერძოდ, აზრს ქალთა ბუნების „იწროობის“ შესახებ. ირანიდან დაბრუნებულ ვარსკენს მისი ერთგული სპარსი სიფრთხილეს ურჩევს ცოლთან ურთიერთობაში და ამის აუცილებლობას ასაბუთებს სწორედ დედათა ბუნების თავისებურებაზე მითითებით:

“შე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყვ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნებად იწრო არს”⁵⁴.

ტრადიციულად “იწროობა” ესმოდათ, როგორც “შეზღუდულობა”. მ. რობაქიძემ ეს გაგება უარყო და სიტყვა განმარტა, როგორ “ემოციურობა”.⁵⁵ ჩანს, ეს მართლაც ასეა, თუმცა ორივე ატრიბუტი ურთიერთდაკავშირებულია: სწორედ ვითარების არაადექვატური აღქმით არის ემოციურობა განპირობებული.

ეს სტერეოტიპი არსებობდა და მის შესახებ, ცხადია, შუშანიკისთვისაც იყო ცნობილი.

იაკობ ხუცესის აღწერილობათა მიხედვით, საკმაოდ უშუალოდ და დაუძაბავი ჩანს ურთიერთობები ქალებსა და მამაკაცებს შორის. პიტიანში გამოკეტავს შუშანიკს და უბარებს მცველს, რომ არავინ შეუშვას. საინტერესოა, რომ არასოდეს არ ავიწყდება ხაზი გაუსვას, რომ აკრძალვა ეხება ყველას, იქნება ეს მამაკაცი თუ დედაკაცი:

⁵³ ძეგლები I, გვ. 14-15.

⁵⁴ ძეგლები I, გვ. 14.

⁵⁵ მ. რობაქიძე. “შუშანიკის წამების” ერთი ადგილის გაგებისათვის. “შუშანიკის წამება” – საიუბილეო კრებული (ედღვნება იაკობ ცურტაველის “შუშანიკის წამების” 1500 წლისთავს). თბილისი: თსუ, 1978, გვ.140.

“გეტყუ თქუენ, უკეთუ ვინმე შევიდეს მისა, მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილეთ თავნი თქუენნი, და ცოლნი და შვილნი და სახლნი თქუენნი, უბრალომცა ვარ, რად გიყო თქუენ”.⁵⁶

ან კიდევ: “ბრძანა განტეგებად და სენაკსა ერთსა შეყვანებად და კრძალულად დაცვად მისი ერთითა მსახურითა და რადათა სხუად არავინ შევიდეს ხილვად მისა – არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი”.⁵⁷

ანუ შუშანიკის მოსანახულებლად შეიძლებოდა, რომ მამაკაცებიც მისულიყვნენ, ქალებსა და მამაკაცებს შორის ასეთი უშუალო დამოკიდებულება ქცევის ნორმა იყო.

ახლა კვლავ ორიოდ სიტყვა ასაკის პერცეფციაზე: მართალია, საზოგადოების ასაკობრივი ნიშნით დაყოფა აღქმადი, და, ამდენად, სოციალურად მნიშვნელოვანი ფაქტია, უფალთან მიმართებაში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იაკობი თხზულებას, როგორც ცნობილია, იწყებს შუშანიკის დახასიათებით, აქ, სხვათა შორის, იგი აღნიშნავს შემდეგსაც:

“სიყუარულით სახელი მისი შუშანიკი, მოშიში ღმრთისად, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თქსით”.⁵⁸

ამგვარად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პიროვნება სიყრმიდან ღვთისმოშიშია. ის რომ ადამიანი ყრმაა, ჩანს, რომ არ შეიძლება ამართლებდეს მის ურწმუნობას.

ამ აზრს განამტკიცებს ისიც, რომ, იაკობის მიხედვით, გამაზდიანების შემდგომ შუშანიკი შვილებს აღარ ახსენებდა, მათი სახელის გავონებაც კი სძაგდა, ფაქტობრივად მათ დაკარგულად მიიჩნევდა. ამგვარად, მათი მცირეწლოვნება მათი საქციელის შემამსუბუქებელ გარემოებად არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული. როგორც ვხედავთ, “შვილები” ანუ უმცროსი თაობა კი განირჩევა სოციალურ სტრუქტურაში, მაგრამ ბავშვისა და დიდის განსხვავება უფალთან მიმართებაში არ არსებობს.

ეს მცირე გამოკვლევა მინდა დავასრულო ციტატით, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავს იაკობ

⁵⁶ ძეგლები I, გვ. 21.

⁵⁷ ძეგლები I, გვ. 17.

⁵⁸ ძეგლები I, გვ. 22.

ხუცესის გენდერულ პერცეფციას და იმ რევოლუციურ ცვლილებას, რომელიც ამ სფეროში მოიტანა ქრისტიანობამ, როცა ღმერთის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობა აღიარა:

“ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ჭვიჭნაუხტიისა საქმისა დიდითა გულს-მოდგინებითა კელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღს და ღამს ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა გალობასა შესწირვიდა ცრემლით“.⁵⁹

მრავალმხრივ საინტერესო ნაწყვეტია. ძველქართული “ჭვიჭნაუხტი” ნიშნავს “თითისტარს”. თითისტარი, ხელსაქმე კი წინარე მოდერნულ კულტურებში ქალის სიმბოლოს წარმოადგენდა.⁶⁰ იაკობ ხუცესი აშკარად მოწონებით შენიშნავს, რომ ტრადიციულ ქალურ საქმიანობას შუშანიკმა ფსალმუნება ამჯობინა. ერთის მხრივ, შუშანიკი ქალთა და მამაკაცთა საზოგადოებაში ქცევის ტრადიციული ნორმების შენარჩუნების მომხრეა (ქალთა და მამაკაცთა ერთად პურის ჭამა მის აღმფლეთებას იწვევს), მაგრამ, მეორეს მხრივ, იგი არღვევს პატრიარქალური საზოგადოების მიერ ქალობის გააზრების სტერეოტიპს (სახლში მყოფი ქალი, ქალი თითისტარით, “ღიაცო ქსლისა მბეჭველი”) და საზოგადოებრივად უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადამდგმელად გვევლინება. მისი მთელი მოღვაწეობა აჩვენებს, რომ სახლი არ არის ერთადერთი სარბიელი ქალისათვის.

მაგრამ მნიშვნელოვანი მხოლოდ ის კი არ არის, რომ შუშანიკმა ასე მოქმედებს, არამედ ის, რომ ძველ ფასეულობათა ამგვარ გამოწვევას აღფრთოვანებით ეკიდება მწერალი და, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მისი მკითხველი საზოგადოებაც, რადგან საზოგადოების თანაგრძნობის იმედი, რომ არ ჰქონოდა, იაკობი ვითარებას ამგვარად ვერ წარმოადგენდა.

⁵⁹ ძეგლები I, გვ. 23.

⁶⁰ “თითისტარი” ყოველთვის დედაკაცთან არის ასოცირებული, მისი ძირითადი ატრიბუტია სამკაულთან ერთად (შდრ. ქართული ზღაპრის “თითისტარი ატარე, ხმალი რა შენი საქმეაო, უთხრა მამამ ქალს”). იხ. ზ. კიკნაძე. შუშანიკი ისტორიოსოფია. ენა და კულტურა, № 3, გვ. 95, 2002.

კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ საკითხს ქალთა და მამაკაცთა მიერ ერთად პურობის შესახებ. ამჟამად, რომ ეს არ იყო ნორმა და ეს ინოვაცია ვარსკენმა იმ მომენტში, ამჟამად, შუშანიკის გულის მოსაგებად, შემოიტანა. ცალ-ცალკე პურის ჭამა მათ არათანაბრობას, ერთად პურის ჭამა ქალთა და მამაკაცთა თანაბრობის მიმანიშნებელი იყო. ვარსკენის ეს ნაბიჯი აჩვენებს იმას, თუ რა მიიჩნია მან შუშანიკის პროტესტის მოტივაციად: ქმრისა და ცოლის არათანასწორობა. ვარსკენი შეეცადა, ეჩვენებინა, რომ ეს ასე აღარ იქნებოდა, რომ, პირიქით, მისი გამაზღვანების შემდეგ ტრადიცია კი დაირღვეოდა და ქალები სუფრაზე მამაკაცთა გვერდით დაიკავედნენ ადგილს. გასაგებია, რომ სუფრა მართო საკვების მიღების პროცესად არ უნდა იქნეს გაგებული. ეს, უპირველესად, არის სოციალიზაციის ფორმა. ერთად ჭამა ნიშნავდა ქალთათვის კარის გახსნას მამაკაცთა სოციალურ ერთობაში, მიპატიჟებას “მამაკაცურ კლუბში”.

რატომ უარყო ეს “მიპატიჟება” შუშანიკმა? ის მიხვდა, რომ თანაბრობის ეს გარეგნული გამოხატულება იყო რეალური თანასწორობის სუროგატი. ფუნდამენტური გადაწყვეტილება ოჯახის რწმენის შეცლის შესახებ ვარსკენმა ცოლის თვალსაზრისის გაუთვალისწინებლად მიიღო. შუშანიკს კი გარეგნული ანუ მოჩვენებითი თანასწორობა შესთავაზეს. ამ შეთავაზების უარყოფით შუშანიკმა აჩვენა, რომ მისთვის არსებითი არ იყო პატრიარქალური ტრადიციის გარეგნული გამოვლინებების მოსპობა, მისთვის მთავარი იყო ფუნდამენტური ცვლილება ურთიერთობებში და საზოგადოებრივი სტერეოტიპების მსხვერვა: ქალებს დე, კვლავ მამაკაცებისაგან ცალკე ეჭამათ პური, მაგრამ ქალობის მარკირება არ უნდა მომხდარიყო “იწროობით”, თითისტარით და მასთან ასოცირებული სახლით. შუშანიკის თავგანწირვა სარწმუნოებისათვის არაერთხელ ყოფილა მკვლევართა განსჯის საგანი, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის ქმედებათა გენდერულ მოტივაციას. არადა, როგორც ვხედავთ, ამ კუთხით საანალიზო ჰავიოგრაფიული თხზულების შესწავლა წარმოაჩინეს წარსული სინამდვილის მეტად საინტერესო, აქამდე მკვლევართათვის სავსებით უცნობ, მხარეს.